ახალი
ივერია

სექტემბერი 2025
N.10

რატი მუჯირი
მონობა მშვიდობის სახელით

იელხერ ხრუნეველდ
პოლიტიკური პარტიების აკრძალვა არ არის ევროპული

თინათინ ერაძე
"განწმენდილების" მეორე სიცოცხლე

თავს ნულარ „შეაკლავ" – გაიმარჯვე!

“ახალი ივერია” - საზოგადოებრივ პოლიტიკური ჟურნალი

გამომცემელი:
ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

მთავარი რედაქტორი: ზაზა ბიბილაშვილი
რედაქტორი: ქეთი ქურდოვანიძე
დიზაინი: ანი გველესიანი
დაკაბადონება: ლაშა გაბელია

ნომერზე მუშაობდნენ:
შამილ შუგაევი
კოკა თოფურია
გიორგი ხარებავა
გიგა ჯოხაძე

© 2025 “ახალი ივერია”
ყველა უფლება დაცულია

ჟურნალი გამოიცემა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის თავისუფლებისთვის, საქართველოს უნივერსიტეტისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

ტირაჟი 1000 ცალი
www.akhaliiveria.ge

www.akhaliiveria.ge

ბოლოს მაინც ჩვენ მოვიგებთ!

ზურაბ გირჩი ჯაფარიძე

საჩჩევი

6
ზაზა ბიბილაშვილი
თავს ნუ „შეაკლავ“ - გაიმარჯვე!
მთავარი რედაქტორის სვეტი

10
რატი მუჯირი
მონობა მშვიდობის სახელით
პოლიტიკა

14
იელხერ ხრუნეველდ
პოლიტიკური პარტიების აკრძალვა არ არის ევროპული
პოლიტიკა

18
ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილი
რუსეთის ომი უკრაინაში: ბრძოლა გადარჩენისთვის თუ...?!
უკრაინა

24
თინათინ ერაძე
“განწმენდილების“ მეორე სიცოცხლე
მედია

28
ქეთი ქურდოვანიძე
დაწერე შენი ოცნება?!
საზოგადოება

33
გია გოთუა
სხვა რესპუბლიკა
ალტერნატიული ისტორია

38
დავით ხვადაგიანი
ქართველი „ჯეიმს ბონდი“
მეხსიერება

50
ლაშა გაბელია
საჩხერიდან და სკაღამდე
და შემდეგ გულაგში
ცოცხალი ისტორია

56
ნანა კალანდაძე
„უდელის“ ქარხანა, ვერა და მთაწმინდა
ცოცხალი ისტორია

60
მარიამ ქვარიანი
რისი მაქნისია სასამართლო, თუკი სამართლიანობამდე არ მიგვიყვანს?!
მართლმსაჯულება

64
ირაკლი ლაითაძე
თანამედროვეობის იღუზია
ნაწილი 3: მოტივაცია VS დისციპლინა
საზოგადოება

66
კონსტანტინო ჯიაკვინტო
ნასესხები რამ
სტუდენტური სივრცე

70
ილია ნიკოლაიშვილი
თქვენ გაქვთ ჩვენი მხარდაჭერა, ახლა პატივი გვეცით ჩვენ!
სპორტი

ზაზა ბიბილაშვილი

თავს ნუ „შეაკლავ“ - გაიმარჯვე!

ქართველი რომ სუფრასთან ჯდება, პირველად მშვიდობას ადღეგრძელებსო - გვეუბნება ის, ვინც მშვიდობის იდეის გარყვნამდე ჯერ „ღირსება“, „იმედი“ და „ოცნება“ მოგვპარა.

მაგრამ ვიდრე ქართველი სუფრასთან დაჯდება და მშვიდობის სადღეგრძელოს ასწევს, ის ჯერ „გამარჯობით“ ესალმება მოყვასს. აი, ასე:

გამარჯობა, შენი!

„გამარჯობა“.

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა.

ჯერ გამარჯვება უნდა იზეიმო, რომ მერე მშვიდობამ დაისადგუროს.

ასე განსაზღვრა ჩვენმა ისტორიამ, საღმა აზრმა, გენეტიკად ქცეულმა მეხსიერებამ.

სუფრამდე უნდა მიხვიდე - ამაყი, ლაღი, თავაწეული - რომ მშვიდობის დღეგრძელობის ფუფუნება გქონდეს. შენი მშვიდობის.

უნდა *გედღეგრძელებოდეს.*

რამეთუ დამარცხებულები არ ქეიფობენ.

დამარცხებულებს მშვიდობა არც აქვთ. დამარცხებულებს აქვთ სირცხვილი და სალაფავი.

დამარცხებაში ნეტარებს, ქედის მოდრეკის აპოლოგეტებსა და მონობით ხეირის მნახველებს კი, სირცხვილსა და სალაფავთან ერთად, ხალხის გულწრფელი ზიზღის პიროებებში უწევთ „მოღვაწეობა“. ზიზღისა, რომელიც უბრალო ადამიანების პატრიოტიზმის, თავისუფლების, ადამიანური კეთილშობილებისა და მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერების განუყოფელი ნაწილია.

„ჩვენ ჩვენს მიწაზე ვართ, თქვენ მასში იქნებით“ - ამ წარწერით დახვდა უკრაინა ბარბაროს მტერს.

ამ განწყობით მარხავს მას უკვე მეოთხე წელია. და ასე გაიმარჯვებს.

დიდ ფასად? - რა თქმა უნდა!

ამით სპეკულირებს ქართულენოვანი რუსული პროპაგანდა, ისტორიულ ჭრილობებზე მარილს გვაყრის, ცნობიერების ფსკერზე ჩაბუდებულ შიშებს აღვიძებს და ბნელი კონსპირაციებით კვებავს.

არადა თითქოს უხერხულია თავისუფლების ფასზე კამათი ქვეყანაში, რომლისთვისაც თავისუფლებისთვის თავგანწირვა ეროვნული იდენტობის სისხლხორცეული ნაწილია და რომელიც დღემდე იმით მოვიდა, რომ ამგვარ ფასს არ უფრთხოდა.

სირცხვილია თავისუფლების ფასზე საუბარი მათთან, ვის თვითშეგნებას და მსოფლმხედველობას ბავშვობიდან რუსთველის უკვდავი სიტყვები ადუღაბებს:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ასე რომ არ ყოფილიყო - ამ გზით რომ არ გვევლო - ასე რომ არ გაგვემარჯვა - დღეს საქართველო არ იარსებებდა და გრუზინი მანქურთები ფორმალურადაც რომელიმე სხვა სახელმწიფოს სამსახურში იდგებოდნენ (არ კი შეაწუხებდათ ეს - ესეც ვაღიაროთ).

დღეს 100 ათასი მოწამის ამბით, ერეკლე მეორითა და საქართველოს ისტორიის სხვა, საამაყო თუ არც თუ ისე საამაყო, ეპიზოდებით სირცხვილის უნარდაკარგული ჩარჩები ვაჭრობენ - ზოგი სასულიერო უნიფორმის ქვეშ პაგონებდამალული და მტრის ერთმორწმუნეობაზე მოქადაგე, ზოგიც - „შტატსკიში“ გადაცმული და პრაგმატულობის ყალბ არგუმენტს ამოფარებული:

დამარცხებულებს
მშვიდობა არც აქვთ.

დამარცხებულებს აქვთ
სირცხვილი და სალაფავი.

თავისუფლების არმქონეთ სირცხვილი არ აწუხებთ, ვიდრე გობში საკმარისი სალაფავია.

ისინი, ვინც გმირული ისტორიებიდან ლეგიტიმაციის მიღებას ლამობს, მაგრამ იმავდროულად ზიზღით აკნინებს თავგანწირვის იდეას და დაუფარავი სიძულვილით მოიხსენიებს ქვეყნისთვის წამებულ რაინდებს (მარტო ერთ-ერთი ნეობოლშევიკის მიერ გიორგი ანწუხელიძეზე ნათქვამი ღვარძლიანი „უაზროდ განწირული ვიღაცის პიარისთვის“ რად ღირს?!).

ისინი, ვინც ღალატის კომისია შექმნა.

ისინი, ვინც სრულ სინქრონშია თანამედროვე საქართველოს ერთადერთ მტერთან.

ისინი, ვინც ამ მტერს ოცნება აუსრულა: „5 მილიონი ყველა სოფელს“, „უფასო ფული“, „სოლარიუმი ურეკის ყველა ოჯახს“ და სხვა თაღლითური დაპირებები კი არა - ნაღდი, დამპალი, ანტიქართული ოცნება - დაახრევინა რა ქართულ სახელმწიფოს თავი, აღაზევა რა ყველაზე უღირსი და ახდევინა რა ბოდიშები გენოციდის ავტორებისთვის!

ისინი, ვინც მამულის დაცვა და სამშობლოდან მტრის განდევნის მცდელობა (რომც დავიჯეროთ, თითქოს ომი ჩვენ დავიწყეთ) დანაშაულად შერაცხა.

ისინი, ვინც ცხინვალელი არარაობებისა და ცინიკოსი დამპყრობლების ყოველდღიურ ქებას იმსახურებს.

...გიფიქრიათ, რა ფასი გადაიხადა დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანება-გამთლიანებაში?

გიორგი ბრწყინვალემ?

და პატარა კახმა რამდენი „უწვერულვაშო ბიჭი ჩააწვინა მიწაში“ მტრებთან ბრძოლისას თავის 80 ომში, სანამ რუსის არცნობის ფასს გადაიხდიდა?!

ჩვენი - თავისუფალი ადამიანების - ტრაგედია ისაა, რომ ჩვენ გვერდით მცხოვრებ თავისუფლების არმქონეთ სირცხვილი არ აწუხებთ, ვიდრე გობში საკმარისი სალაფავია. სწორედ ამიტომ გვიწევს ამაზე საუბარი საქართველოში, სადაც „მშვიდობის“ წინაპირობა მუდამ და მხოლოდ გამარჯვება იყო.

„თავს შევაკლავ, მაგრამ არ დავნებდები!“ - გიფიქრიათ, როგორ უყვარს ქართველს ამის თქმა? რა ლამაზია, პოეტურიც... დაუცხრომელი სულისკვეთების მანიშნებელი.

მაგრამ იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ ვინც თავი შეაკლა, იმან წააგო. ჰეროიკული ლეგენდა დაგვიტოვა, მაგრამ... უფრო ხშირად დამარცხდა (სხვა ამბავია, რომ არ გვებრძოლა და თავი არ შეგვეკლა, გადავგვარდებოდით და გავქრებოდით).

ჩვენ კი გამარჯვება გვჭირდება ჰაერივით.

გამარჯვება.

ჩვენ აღარ გვინდა „თავის შეკვლა". არც მომხდურთა აღმაფრთოვანებელი გმირული ისტორიების აპოლოგია. დაე, მტრის ჟამთააღმწერლებმა წერონ ეპოსები იმაზე, თუ როგორ სახელოვნად ებრძოდნენ ქართველებს. ჩვენ კი ვაქოთ. და ვუქოთ სიქველე. დამარცხებულებს - გამარჯვებულის პოზიციიდან.

„ახალი ივერიის" მეათე ნომერი გამოდის მაშინ, როცა ლეგიტიმაციადაკარგული რეჟიმი კრემლის დავალებით საქართველოს უერთგულეს მეგობრებს ებრძვის, როცა მთელი ოპოზიცია - ალალიცა და საეჭვოც - ციხეშია (საეჭვონი - „გასარეცხად" და ალალების გასანეიტრალებლად), არასამთავრობო სექტორი პრაქტიკულად პარალიზებულია, თავისუფალი მედია სულს ღაფავს და როცა ეროვნული მოძრაობის მიმართ რეპრესიები გრძელდება „ოცნებაში" მიმდინარე შიდაბოლშევიკური წმენდის პარალელურად...

ჩვენ აღარ გვინდა „თავის შეკვლა". არც მომხდურთა აღმაფრთოვანებელი გმირული ისტორიების აპოლოგია. დაე, მტრის ჟამთააღმწერლებმა წერონ ეპოსები იმაზე, თუ როგორ სახელოვნად ებრძოდნენ ქართველებს. ჩვენ კი ვაქოთ. და ვუქოთ სიქველე. დამარცხებულებს - გამარჯვებულის პოზიციიდან.

განა საკვირველია, რომ ქოციანობის მეცამეტე წლისთავზე ყველა სიტყვა გაცვდა? რომ რაციომ ხიბლი დაკარგა და ყველაფერი პირველყოფილ ინსტინქტებამდე დავიდა?

აქ, ინსტინქტების საუფლოში, მთავარი გამარჯვებაა. არსებობისთვის ბრძოლაში გამარჯვება. ამიტომ, მოდი, განვეწყოთ გამარჯვებისთვის. შესაბამისად:

თავს ნუღარ „შეაკლავ", ქართველო, -
გაიმარჯვე! ■

რატი მუჯირი

მონობა მშვიდობის სახელით

ომი თუ მშვიდობა?

როცა მავანი ასეთ კითხვას გისვამს, უდავოდ შლეგი უნდა იყო, მშვიდობა რომ არ აირჩიო, მაგრამ თუ იქვე საკუთარი თავს არ ჰკითხავ, რა არის მშვიდობა თავისუფლების გარეშე, მაშინ ასევე უდავოა, რომ სხვას გაუჩნდება კითხვა - რა ადამიანი ხარ შენ?!

მშვიდობა თავისუფლების გარეშე მონობაა - ეს მოცემულობა მოსაწყენად ბანალური ჭეშმარიტება რომ არაა და ამ საკითხზე რომ მსჯელობა უწევს საზოგადოებას, როგორ ავცდებით კითხვას - რა საზოგადოება ვართ ჩვენ?!

რა საზოგადოება და ნაომარიო - გეტყვის იგივე მავანი და დაამატებს - გვეყო, რაც ვიომეთ, ვიტანჯეთ და დავიხოცეთო.

და აი, აქ შემოდის სცენაზე მონა. არა იმიტომ, რომ არ გვიომია და, მით უფრო, არა იმიტომ, რომ არ გვეყო, რაც გადავიტანეთ, არა.

ოცდამეერთე საუკუნის ყველაზე დიდი ომი რომ დაიწყო, პირველი ორმოცდარვა საათი წარმოდგენა არ მქონდა, გადავურჩებოდი თუ მომიწევდა უკრაინის მიწას დავნებებოდი. როგორც მერე გაირკვა, გადავრჩი. თუმცა, სანამ გადავრჩებოდი, პრინციპში, მანამდეც და მერეც, ომის მთელი ტალახი არაერთხელ შემიზილავს და, შესაბამისად, ზუსტად ვიცი - ვისაც ომი საკუთარ ტყავზე გადაუტანია და გადაურჩენია ადამიანი საკუთარ თავში, არასდროს იკადრებს სპეკულაციას ომით. არასდროს გაუხსნის ნაომარ საზოგადოებას ჭრილობას, რომელიც ზედაპირულად კია თითქოს შეხორცებული, თუმცა სიღრმეში დამპალია და გახრწნილი ლეშის სუნად ყარს. არასდროს იკადრებს, რადგან ზუსტად იცის, როგორია ომის საზიზღარი რეალობა.

ომით სპეკულაცია მხოლოდ მონამ შეიძლება იკადროს და მით უფრო აკადროს ნაომარ საზოგადოებას. აღზევებულმა მონამ. შეუძლია იმდენად, რამდენადაც მას პატრონის სიძლიერის კომპლექსი აქვს და განსაკუთრებით სასტიკია. სასტიკია, რადგან ძალაუფლება სწორედ ამ სისასტიკისთვის აქვს ნაბოძები. ნაბოძები აქვს დროებით და ცალსახად პატრონისგან. ის ამ ძალაუფლების წყაროსთან არის პასუხისმგებელი და ამიტომ მის გარშემო ყველა უნდა დაჩაგროს. აღზევებული მონა გარშემო ყველას მონად ხედავს, მას ვერ წარმოუდგენია ადამიანად ყოფნა, მისთვის ყველა მონაა, ვინც პატრონი არაა და ამიტომაც ისინი, სხვები, ეზიზღება. ეზიზღება, რადგან საკუთარ თავს ვერ ხედავს მათ შორის და სწორად ის ეზიზღება სინამდვილეში. ის ვერ დაუშვებს გამონაკლისს, ის ვერ დაუშვებს, რომ ვინმე გადარჩეს. მან სხვებიც მონობამდე უნდა ჩაგროს. ეს ჩაგვრაა მისი დროებითი ძალაუფლების გარანტი. ჩაგვრა აღზევებული მონის ხელში სათამაშოა, რომელიც მას თავს აგრძნობინებს პატრონთან გათანაბრებულად.

ვისაც ომი საკუთარ ტყავზე გადაუტანია და გადაურჩენია ადამიანი საკუთარ თავში, არასდროს იკადრებს სპეკულაციას ომით.

ესაა დღეს ივანიშვილის რეჟიმი. აღზევებული მონა, რომელსაც ძალაუფლება რუსმა პატრონმა მისცა და რომელმაც უნდა ჩაგროს, რომ შეინარჩუნოს ეს ძალაუფლება.

ჩაგვრა შენიღბულმა დაიწყო.

ნიღაბი კი განმათავისუფლებლის ჰქონდა. რა აზრი აქვს, რისგან ათავისუფლებდა, მთავარია, რომ დაირქვა „განმათავისუფლებელი“.

ვიდრე ნაომარი საზოგადოება ამ განმათავისუფლებელი მესიის გამოჩენის ტკბობის ძილ-ბურანში იყო, ამავე საზოგადოების მტერს, თუმცა თავის პატრონს, აღზევებულმა მონამ გადასცა ნაომარი საზოგადოების მეომარი ნაწილის სიები და გაათავისუფლა პატრონის აგენტები (კოდორის ოპერაციის სპეცრაზმელთა სიები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს სპეცსამსახურების რეზიდენტების სიები, თბილისის თავდაცვის ზღუდეების ნახაზები, ციხეებიდან გამოუშვეს რუსეთის ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული პირები), თავად კი ერთხელაც არ გამოუვლენია აღნიშნული მტერ-პატრონის არცერთი აგენტი.

აღზევებული მონა გარშემო ყველას მონად ხედავს, მას ვერ წარმოუდგენია ადამიანად ყოფნა, მისთვის ყველა მონაა, ვინც პატრონი არაა და ამიტომაც ისინი, სხვები, ეზიზღება. ეზიზღება, რადგან საკუთარ თავს ვერ ხედავს მათ შორის და სწორად ის ეზიზღება სინამდვილეში.

ასე გრძელდებოდა წლები. ასე გრძელდებოდა ეროვნული უსაფრთხოების საძირკვლის გამოთხრა და იქამდეც მივიდა აღზევებული მონა, რომ ანაკლიის პორტიც ჩაძირა. ის პორტი, რომლის გარშემოც ქალაქის დაარსებაც კი იყო ჩაფიქრებული და, რომ

არა მონის აღზევება ნაომარი საზოგადოების მმართველად, უკვე კაი ხნის აშენებულ-გაშენებულიც იქნებოდა.

რა უნდათ ამერიკელებს შავ ზღვაში?! - ესეც კი უკითხავს აღზევებულთაგან მთავარ მონას. „ამერიკული ანაკლია“ შავ ზღვაზე რატომაა საქართველოს ეროვნული ინტერესი, ამას, ვფიქრობ, ახსნაც არ სჭირდება. თუმცა, ეს ყველაფერი არაა. თუკი ანაკლიის პორტის აშენებაზე ღიად და საჯაროდ თქვეს უარი რაღაც პოლიტიკური თუ ეკონომიკური გაუგებრობების მომიზეზებით და, თითქოს, პირობაც დადეს, რომ ის აშენდებოდა, მაგრამ არა ამერიკელების ხელით, დახურულ კარს მიღმა უარი თქვეს ვაზიანის სამხედრო კომპლექსში აეროდრომის განახლებაზე, პრაქტიკულად ახლის მშენებლობაზე.

ვიდრე ნაომარი საზოგადოება ამ განმათავისუფლებელი მესიის გამოჩენის ტკბობის ძილ-ბურანში იყო, ამავე საზოგადოების მტერს, თუმცა თავის პატრონს, აღზევებულმა მონამ გადასცა ნაომარი საზოგადოების მეომარი ნაწილის სიები და გაათავისუფლა პატრონის აგენტები (კოდორის ოპერაციის სპეცრაზმელთა სიები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს სპეცსამსახურების რეზიდენტების სიები, თბილისის თავდაცვის ზღუდეების ნახაზები, ციხეებიდან გამოუშვეს რუსეთის ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული პირები), თავად კი ერთხელაც არ გამოუვლენია აღნიშნული მტერ-პატრონის არცერთი აგენტი.

ვაზიანის მრავალკომპონენტიან სამხედრო ბაზაზე, იქ, სადაც ახლა გამოუსადეგარი აეროდრომია, თანამედროვე ავიაბაზის მშენებლობის შანსი იყო. ამერიკის შეერთებული შტატების სატრანსპორტო სარდლობის გენერალმა, სტივენ ლიონსმა, პირადად გააცნო ეს იდეა პრემიერ ბახტაძეს და ისიც აღფრთოვანდა, თუმცა ამ ინიციატივას კრემლის ისტერიკა მოჰყვა და ეს პროექტიც ჩაიშალა.

ასე გრძელდებოდა წლები, ხოლო, როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, მისი მონები იძულებული გახდნენ, ყველა ნიღაბი მოეხსნათ, რადგან პატრონს უკვე ღია მხარდაჭერა სჭირდებოდა.

2022 წლის 24 თებერვლიდან აღზევებული მონების რეჟიმი იძულებული გახდა პროდასავლურის ნიღაბი მოეხსნა, მას სჭირდებოდა რაღაც, რაც მის სისასტიკეს და მჩაგვრელ ბუნებას გაამართლებდა და იკადრა ის, რასაც, როგორც თავშივე აღვნიშნე, ადამიანი არ იკადრებდა - ნაომარ საზოგადოებას გაუხსნა ზედაპირულად მოშუშებული ომის იარა და ის მორიგი ომით დააშინა. 2008 წელს რუსეთის საქართველოში შემოჭრა პირდაპირ დააბრალა კოლექტიურ დასავლეთს, რაც ხან გლობალური ომის პარტიით და ხანაც „დიფ სთეითით“ შეფუთა, მტერ რუსეთთან უომრად დანებება კი მშვიდობის პოლიტიკად შეასაღა.

თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვისო - ნეტავ, ეს მაინც არ გაუგიათ ამ პუტინის ცოდვით სავსეებს?!

და რადგან ომის ჭრილობა სიღრმეში ლპობით გახრწნილი ლეშის სუნად ყარს, ნაომარი საზოგადოების ნაწილიც დაშინდა. ვინც არ დაშინდა, იმათ არჩევნებიც მოჰპარა და რეგიონში რუსეთის საყრდენად გამყარდა.

თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვისო - ნეტავ, ეს მაინც არ გაუგიათ ამ პუტინის ცოდვით სავსეებს?!

რას აკეთებენ სახელმწიფოები, როდესაც ომის საფრთხე არსებობს? ამზადებენ არმიებს, იწყებენ შეიარაღებას, ავითარებენ ტექ

აღზევებული მონების კეთილდღეობა აცარიელებს საქართველოს სუვერენიტეტს, მოკავშირეების გარეშე ანგრევს ეროვნულ უსაფრთხოებას. ჰოდა, თუ ასე გაგრძელდა, შორს არაა ის დღე, როდესაც ასე საგანგებოდ და მიზანმიმართულად გამოშიგნული ნაომარი საზოგადოება ის ცარიელი ადგილი გახდება, რომელსაც რუსული გაზი წამში შეავსებს. გაზი კი, მოგეხსენებათ, ყველას ერთნაირად გუდავს - მონასაც და მონობისგან გადარჩენილსაც.

ნოლოგიებს. თუკი თავად არ აქვთ საკმარისი რესურსი, ეძებენ და პოულობენ ძლიერ მოკავშირეებს.

ვის ესხმის თავს აგრესორი? იმას, ვინც სუსტია, დაუცველი და ადვილი დასაჩაგრი.

როგორ იქცევა აღზევებული ომის რეჟიმი? ასუსტებს ქვეყანას, უკარგავს მოკავშირეებს და ადვილად მოსანელებელს ხდის მას რუსეთისთვის.

ახლა, როდესაც რუსული გაზით თითქმის გაგუდული დასავლური ცივილიზაცია გამოფ ხიზლდა და აირწინაღებსაც იკეთებს, რომ იგივე აღარ დაემართოს, გაგიჟებულია აღზევებული მონა - როგორ ბედავს და შეიარაღებას იწყებს ევროპა, როგორ ბედავს და სამხედრო ბიუჯეტს ზრდისო, როგორ ბედავს და ჩვენს პატრონთან წინააღმდეგობის გაწევის ნება გამოავლინაო.

მხოლოდ ცენტრალური ევროპა და, ზოგადად, ევრო-ატლანტიკური სივრცე კი არ ემზადება რუსეთისგან თავის დასაცავად, ყველა გარშემო. მოლდოვა მტკიცედ აგრძელებს უსაფრთხოების დასავლური ქოლგის ქვეშ საკუთარი ადგილის დაკავებას. აზერბაიჯანს თურქული ლობი აქვს, თურქეთი ნატოს წევრია, შესაბამისად, აზერბაიჯანი დიდი ხანია კრემლის ჩრდილიდან გამოვიდა. სახალხო ლიდერი პაშინიანი, მართალია, დიდი დანაკარგებით, მაგრამ მაინც ახერხებს სამშვიდობოს გასვლას და ისე ჩანს, სომხეთიც შეუქცევად დაადგა დასავლურ ბილიკს. აი, უკრაინა კი საკუთარი სისხლის ფასად ჯიუტად რომ იჩარხავს ევროპულ გზას, ამაზე აღარ შევჩერდებით.

გაზი, მოგეხსენებათ, ისეთი ნივთიერებაა, ცარიელ ადგილს მარტივად ავსებს. დაუნდობლად. ჰოდა, ამ ფონზე აღზევებული მონების კეთილდღეობა აცარიელებს საქართველოს სუვერენიტეტს, მოკავშირეების გარეშე ანგრევს ეროვნულ უსაფრთხოებას. ჰოდა, თუ ასე გაგრძელდა, შორს არაა ის დღე, როდესაც ასე საგანგებოდ და მიზანმიმართულად გამოშიგნული ნაომარი საზოგადოება ის ცარიელი ადგილი გახდება, რომელსაც რუსული გაზი წამში შეავსებს. გაზი კი, მოგეხსენებათ, ყველას ერთნაირად გუდავს - მონასაც და მონობისგან გადარჩენილსაც.

იელხერ ხრუნეველდ

პოლიტიკური პარტიების აკრძალვა არ არის ევროპული

ხედვა ნიდერლანდებიდან

გასულ წელს „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის „გაჯანსაღების“ პირობა დადო. აღნიშნული დაპირების სულისკვეთება არც პარტიათა ფუნქციონირებისა და მათი კომუნიკაციის სტილის გაუმჯობესება ყოფილა და არც - აღნიშნული მიზნის მისაღწევად მეტი საერთაშორისო დახმარების შეთავაზება. პირიქით - და დაპირების საწინააღმდეგოდ - ღიად გულისხმობდა, რომ პარტიების ფართო სპექტრი საერთოდ უნდა გამქრალიყო პოლიტიკური ველიდან. „გაჯანსაღებაზე“ საუბრისას „კიბოს ამოკვეთა“ იგულისხმებოდა. სწორედ ასე წარმოაჩინა „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციის უმეტესი ნაწილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტიები უნდა აკრძალულიყო არა გონივრული სტანდარტითა და და რეალური საფრთხის ანალიზზე დაფუძნებული ქირურგიული სიზუსტით, არამედ „ბლაგვი ნაჯახით“, მკაფიოდ განსაზღვრული კეთილსინდისიერი კრიტერიუმების გარეშე. ერთადერთი კრიტერიუმი წინა ხელისუფლების წევრობა და მოქმედის მიმართ წინააღმდეგობაა, რომელთა მთავარი მნიშვნელი დასავლური ინტეგრაციის მხარდაჭერაა.

„ქართული ოცნების“ სხვადასხვა წარმომადგენელი ამ იდეას ამართლებდა იმით, თითქოს პოლიტიკური პარტიების აკრძალვა ევროპაში საკმაოდ გავრცელებული და მიღებული პრაქტიკაა, რითაც იმაზე მიანიშნებდნენ, რომ ევროპული დემოკრატიები ასე ფუნქციონირებენ. ამ გზით ისინი თავიანთ ამომრჩეველს უმტკიცებდნენ, რომ პოლიტიკური წმენდა, როგორც ეს მათი საარჩევნო კამპანიით იყო გათვალისწინებული, დემოკრატიულია. მაგრამ როცა ეს საკითხი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ გულდასმით შეისწავლეს, მთლიანად უარყოფილ იქნა მოსაზრება, თითქოს პოლიტიკური პარტიების აკრძალვა გავრცელებული პრაქტიკაა ევროპის ისეთ დამკვიდრებულ დემოკრატიებში, როგორებიცაა გერმანია, ნიდერლანდები ან გაერთიანებული სამეფო. მიუხედავად ამისა, „ქართულმა ოცნებამ“ თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით შექმნილი კომისიის მე-

შვეობით განაგრძო თავისი გეგმის განხორციელება. გეგმისა, რომლის მიზანია, მოამზადოს გზა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და დაუსაბუთებლად მის სატელიტ პარტიებად გამოცხადებული პარტიების პოლიტიკური სპექტრიდან ჩამოსაშორებლად. ამის მიღწევა კი საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით მათი არაკონსტიტუციურად გამოხადებით იგეგმება.

თუმცა რამდენად გავრცელებულია ეს პრაქტიკა, მაგალითად, ნიდერლანდებში, კარგად ჩამოყალიბებულ მრავალპარტიულ დემოკრატიაში, პარტიების ფართო სპექტრითა და კოალიციურ მთავრობათა ცვლილების ხანგრძლივი ტრადიციით? როგორ მუშაობს ეს სამართლებრივი თვალსაზრისით?

„ქართული ოცნების“ კომენტარების საპასუხოდ ჩატარებულმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ ბოლო 80 წლის განმავლობაში ნიდერლანდებში მხოლოდ ოთხი პარტია აიკრძალა. ყველა მათგანი დაკავშირებული იყო ნაციზმთან ან ნეონაციზმთან.

ჰოლანდიური კოლაბორაციონისტული ნაცისტური პარტია NSB დევნილობაში მყოფი მთავრობის მიერ მეორე მსოფლიო ომის ბოლო წელს, ნიდერლანდების სამხრეთ ნაწილის განთავისუფლების შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო აიკრძალა. ამის შემდეგ, მალევე, 1950-იანი წლების დასაწყისში, აიკრძალა SS-ის ყოფილი პოლკოვნიკის მიერ დაარსებული ნეონაცისტური პარტია. 1970-იანი წლების ბოლოსა და 1980-იანი წლების შუა ხანებში, როცა თქვენი მონა-მორჩილი ზრდასრულობის ასაკში შედიოდა, გამოჩნდა რამდენიმე ულტრამემარჯვენე, ნეონაცისტური პარტია, რამაც გამოიწვია დებატები მათი შესაძლო აკრძალვის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიებს არ ჰქონდათ დიდი გავლენა არჩევნებზე, ბევრი ადამიანისთვის ეს ტრავმული დროის გახსენება იყო. აღმოჩნდა, რომ სურვილის შემთხვევაში პარტიის ასაკრძალად საკმარისი საკანონმდებლო ჩარჩო არ არსებობდა. ნიდერლანდების ხალხის კავშირი (Nederlandse Volks-Unie, NVU) 1978 წელს აკრძალული იყო გაერთიანების შესახებ კანონის საფუძველზე, მაგრამ მისი დაშლა ვერ მოხერხდა. ის დღესაც არსებობს, თუმცა რეალური პოლიტიკური გავლენის გარეშე.

სამართლებრივმა შეზღუდვებმა ბიძგი მისცა დისკუსიას კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. 1980-იანი წლების ბოლოს აკრძალვა ცალსახად გულისხმობდა ლიკვიდაციას, თუმცა პარლამენტი ამგვარი მექანიზმის გამოყენებისგან თავშეკავებას ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად აკრძალვა შესაძლებელი იყო, თუ ორგანიზაციის საქმიანობა ან მიზნები ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ წესრიგს, განმარტებით ბარათში აკრძალვის საკითხი ცალსახად უკავშირდებოდა რასობრივ დისკრიმინაციას და მის სხვა ფორმებს, მათ შორის „სიძულვილის გაღვივებას და გამოხატვის ფორმებს, რომლებიც აკრძალულ დისკრიმინაციას მოიცავს“. 1980-იან წლებში მეორე მსოფლიო ომის აჩრდილი ჯერ კიდევ არ ასვენებდა ჰოლანდიურ საზოგადოებას, რადგან ომი პირდაპირ ასოცირდებოდა დისკრიმინაციასა და რასიზმთან.

ამ ცვლილებების მიღებიდან დღემდე,

ფაქტობრივად მხოლოდ ერთი პარტია აიკრძალა და დაიშალა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში არ ხდება კანონმდებლობის განახლება. 2019 წელს შინაგან საქმეთა და სამეფო ურთიერთობების მინისტრმა, კაისა ოლონგრენმა, პარტია D66-დან წარადგინა კანონპროექტი პოლიტიკური პარტიების შესახებ, რომელიც პარლამენტს განსახილველად 2025 წლის მაისში გადაეგზავნა, მას შემდეგ, რაც მან საჯარო კონსულტაციების ციკლი და სახელმწიფო საბჭოს საფუძვლიანი შემოწმება გაიარა.

კანონპროექტი, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს პოლიტიკური პარტიების დამოუკიდებელი (სამართლებრივი) სტატუსის განმტკიცებას, ხოლო, მეორე მხრივ, საპარლამენტო დემოკრატიისა და პოლიტიკური პარტიების მდგრადობის გაძლიერებას. თუმცა ის ასევე შეიცავს დებულებას პარტიების აკრძალვის შესახებ, რომელიც კიდევ უფრო ზღუდავს აქამდე არსებულ კრიტერიუმებს. კანონპროექტის თანახმად, პოლიტიკური პარტია შეიძლება აიკრძალოს და დაიშალოს უზენაესი სასამართლოს მიერ გენერალური პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე, თუ თავისი მიზნებითა და საქმიანობით ის „რეალურ და სერიოზულ საფრთხეს უქმნის დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებს“. კანონპროექტი განსაზღვრავს, რომ ეს ფუნდამენტური პრინციპები, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს პერიოდული თავისუფალი არჩევნების ჩატარებას ფარული კენჭისყრით, დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებას, ფუნდამენტურ უფლებებს, ხელისუფლების დანაწილებასა და დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს.

პარტიების აკრძალვასთან დაკავშირებით დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებზე ფოკუსირება მიზნად ისახავს დემოკრატიული პარადოქსის გადაჭრას: არ დაუშვას დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ძირის გამოთხრა პოლიტიკური პარტიების მიერ დემოკრატიული პროცესის ბოროტად გამოყენების გზით. ამ ჩარჩოს ფარგლებში უზენაესმა სასამართლომ ასევე უნდა შეაფასოს, ნამდვილად უქმნიან თუ არა პოლიტიკური პარტიები საფრთხეს დემოკრატიულ მმართველობას, მათ შორის, მან უნდა გაითვალისწინოს პოლიტიკური პარტიის მიერ განხორციელებული ფაქტობრივი (პოტენციური) გავლენის ხარისხი. ამის მიზანია, რომ აკრძალვა გამოყენებულ იქნას მხოლოდ რეალური აუცილებლობის შემთხვევაში, ფაქ-

პარტიების აკრძალვასთან დაკავშირებით დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებზე ფოკუსირება მიზნად ისახავს დემოკრატიული პარადოქსის გადაჭრას: არ დაუშვას დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ძირის გამოთხრა პოლიტიკური პარტიების მიერ დემოკრატიული პროცესის ბოროტად გამოყენების გზით.

ტობრივი საფრთხის პროპორციულად. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნიდერლანდებში, რომელსაც 150-ადგილიანი ქვედა პალატისთვის აქვს სრულად წარმომადგენლობითი საარჩევნო სისტემა ყოველგვარი საარჩევნო ბარიერის გარეშე. მრავალპარტიული კოალიციური მთავრობები სტანდარტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ცალკეული პარტიის რეალური გავლენა შეზღუდულია. ანტიდემოკრატიული ტენდენციების მქონე პარტიების არჩევა შედარებით მარტივად შეიძლება, თუმცა ასეთ პარტიას გაუჭირდება რეალური გავლენით სარგებლობა. ნიდერლანდების პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური წარმომადგენლობის დაბალი ბარიერითა და ორპალატიანი პარლამენტით, რომელიც გამყარებულია კონსტიტუციით, რომლის შეცვლა არც თუ ისე მარტივია, თავად წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ანტიდემოკრატიული ცვლილებები პოლიტიკური პარტიების მიერ დამოუკიდებლად ვერ განხორციელდება.

პარტიების აკრძალვა არ განიხილება შემთხვევით, არასასურველი ოპოზიციის არსებობის ან განსხვავებული აზრის ჩახშობის მიზნით და, რა თქმა უნდა, არც იმისთვის, რომ არ დაუშვან კონკურენტი პარტიების ხელისუფლებაში მოსვლა.

ნიდერლანდებისგან განსხვავებით, საქართველოში საარჩევნო სისტემამ ხელი შეუწყო ძალაუფლების ხანგრძლივ კონცენტრაციას ერთი პოლიტიკური პარტიის ხელში, რომელიც ახორციელებდა და აფართოებდა კონტროლს ხელისუფლების ყველა შტოზე, რითაც არღვევდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ეს განსაკუთრებით გავრცელდა სასამართლო ხელისუფლებაზე, რომელიც პოლიტიკური პარტიების სამართლებრივ ბედს წყვეტს. ასევე, საკანონმდებლო ხელისუფლებაზეც, რომელსაც ერთი პარტია აკონტროლებს და რომელსაც შეუძლია, ერთპიროვნულად, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ტანდემში მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ძირის გამოთხრას.

ამას ემატება ინსტიტუციური კონტროლი, მაგალითად, საარჩევნო ორგანოებზე, რაც ზეწოლას ახდენს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებზე და აუცილებლობას წარმოადგენს ძალაუფლების შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით კი, უფრო პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში. საქართველოში არსებული ვითარება, პოლიტიკური, სასამართლო და ინსტიტუციური ძალაუფლების კონცენტრაცია დემოკრატიული კონტროლისა და დაბალანსების სისტემის გარეშე, არის სწორედ ის, რასაც ნიდერლანდების სამართლებრივი სისტემა ეწინააღმდეგება - დემოკრატიული პარადოქსი: როდესაც ერთ პარტიას დემოკრატიული პროცესის ბოროტად გამოყენებით შეუძლია ძირი გამოუთხაროს დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნიდერლანდებში პოლიტიკური პარტიების აკრძალვა იყო და დღემდე რჩება თემად, რომელსაც დიდი სიფრთხილითა და წინდახედულებით ეკიდებიან, საუკუნის დასაწყისიდან დისკრიმინაციული და ანტიდემოკრატიული რიტორიკის მქონე პოპულისტური ულტრამემარჯვენე ძალების ზრდის მიუხედავად. პარტიების აკრძალვა არ განიხილება შემთხვევით, არასასურველი ოპოზიციის არსებობის ან განსხვავებული აზრის ჩახშობის მიზნით და, რა თქმა უნდა, არც იმისთვის, რომ არ დაუშვან კონკურენტი პარტიების ხელისუფლებაში მოსვლა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ტაბუდადებული თემაა. პარტიის აკრძალვა დემოკრატიული წესრიგის დასაცავად უკიდურესი ზომაა და, ამიტომაც, მარტივად არ უნდა აღიქმებოდეს, მით უმეტეს, ის დაუფიქრებლად არ უნდა გავრცელდეს ერთდროულად რამდენიმე პარტიაზე.

ნიდერლანდებში პოლიტიკური პარტიების აკრძალვა დიქტატურასა და ავტოკრატიასთან ასოცირდება და ბევრისთვის სისუსტის ნიშნია, თუ იდეებსა და მოსაზრებებს არგუმენტებით შეწინააღმდეგების ნაცვლად სამართლებრივი პროცედურებით აბათილებენ.

ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილი

რუსეთის ომი უკრაინაში:

ბრძოლა გადარჩენისთვის თუ...?!

ერთი შეხედვით, სათაურში გამოტანილი კითხვის მთავარ ადრესატად უკრაინა მოიაზრება. მათთვის, ვინც გამიზნულად ავრცელებს პროპაგანდას უკრაინის განადგურებასა და გადაშენებასთან დაკავშირებით, (მაგ., „დაწყდა ხალხი; რა უქნა/ეს (პრეზიდენტმა ზელენსკიმ და დიფ სთეითმა) საწყალ უკრაინას“ და ა.შ.) უკრაინა ერთადერთი „მოპასუხეა“. პრინციპში, ამ კითხვებს პასუხები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემოებაში გასცეს მსოფლიოს ლიდერებმა, პოლიტიკოსებმა და გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწეებმა, მაგრამ მოდი ვცადოთ და მოვუყაროთ თავი ყველა იმ აქტორს, რომლებსაც, ჩემი აზრით, ეკუთვნით ეს შეკითხვები და მკაფიო სურათი შევიქმნათ იმის ასახსნელად, თუ ვინ რისთვის იბრძვის.

უკრაინა

ცხადია, პირველ ყოვლისა, მოიაზრება უკრაინა, იმიტომ რომ მის ტერიტორიაზე შემოიჭრა 2014 წელს პუტინის რუსეთი და დღემდე აწარმოებს საომარ მოქმედებებს. ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი (18%) რუსეთს ოკუპირებული აქვს და აცხადებს თავის ტერიტორიებად. უკრაინამ მართლაც რომ გააოცა მსოფლიო 2022 წელს, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მასშტაბური აგრესია წამოიწყო რუსეთმა ევროპული ქვეყნის ტერიტორიაზე. სხვადასხვა პროგნოზით, 3 დღიდან 3 კვირამდე ვადაში კიევი უნდა დაცემულიყო, ზელენსკი მთავრობასა და ოჯახთან ერთად უნდა გაქცეულიყო უცხოეთში, დევნილობაში და მთელ(!) უკრაინაში კვლავ რუსეთი უნდა გაბატონებულიყო მისდამი მორჩილი მარიონეტული რეჟიმის დაყენებით.

სულ რამდენიმე კვირა იყო გასული სრულმასშტაბიანი აგრესიის დაწყებიდან, როდესაც მეგობრებთან ერთად კიევში ჩავედით. ძირითადი შტურმი კიევსა და მის შემოგარენზე უკვე მოგერიებული იყო და კიევის ცენტრი ძალიან ნელა, ფრთხილად, მაგრამ მაინც იბრუნებდა ნორმალური ცხოვრების პირველ ნიშნებს. ერთ-ერთ, კვლავ

გახსნილ კაფეში სადილად სტუმრობისას ახალგაზრდა მიმტანმა ღიმილით გვითხრა, წესით თქვენს ადგილას ახლა რუსები უნდა ისხდნენ; 8 მარტის აღსანიშნავად საერთოდ მთელ კაფეზე ჯავშნები რუსეთიდან კეთდებოდაო. ვერ მიართვეს; უკრაინელი მებრძოლები ჩვენთან საუბარში აცხადებდნენ, რომ ისინი თავის ოჯახებს და მიწა-წყალს იცავდნენ და სიცოცხლის ფასად ასეც გააგრძელებდნენ გამარჯვებამდე. ქართველი მებრძოლები იქვე დასძენდნენ, არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ საქართველოს მომავლისთვის ვიბრძვითო. უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ხშირად აღნიშნავს და ძალიან სამართლიანადაც, რომ ეს არის არა მხოლოდ უკრაინის, როგორც სახელმწიფოსა და ერის, არსებობისა და გადარჩენისთვის, არამედ ევროპული და გლობალური უსაფრთხოების გრძელვადიანი უზრუნველყოფისთვის ომი; ომი, რომელიც მოიტანა უკრაინის ტერიტორიაზე პუტინის რუსეთმა სრულიად გამოგონილი მიზეზებით, თითქოს უკრაინა დღე-დღეზე ნატოში უნდა გაწევრიანებულიყო და მის ტერიტორიაზე ზებგერითი იარაღის განთავსება იგეგმებოდა. სამწუხაროდ, ეს ახლოსაც არ იყო სიმართლესთან (ახლა უფრო რეალურია ერთიც და მეორეც).

საბედნიეროდ, უკრაინამ გაუძლო და ამ დრომდე უძლებს დაგვიანებული თუ შეჩერებული საერთაშორისო დახმარების პირობებში; არა მხოლოდ უძლებს, არამედ მზად არის რუსეთის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების სრულფასოვნად გადატანისთვის, თუკი იქნება უწყვეტად მხარდაჭერა და თანამშრომლობა, განსაკუთრებით სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიმართულებით. რუსეთის ტერიტორიაზე გადატანას რომ თავი დავანებოთ, უკრაინის ტერიტორიაზე გაცილებით მეტი წარმატება ექნებოდა რუსეთთან ომში, რომ არა პუტინის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენებით დასავლეთის წარმატებული შანტაჟი.

ეს ომი საქართველოსთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა; უფრო სწორად, მასში უკრაინის გამარჯვება და პუტინის რუსეთის დამარცხება საქართველოს გრძელვადიანი განვითარების და უსაფრთხოების გარანტიას წარმოადგენს.

უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ თუ აპოკალიფსური სცენარით არ წავიდა მსოფლიოში პროცესები, რაც, უმთავრესად, რუსეთის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენებას და მესამე მსოფლიო ომის დაწყებას გულისხმობს, უკრაინა ადრე თუ გვიან (რა თქმა უნდა, სჯობს ადრე) იქნება დემოკრატიული ევროპის და ევროატლანტიკური სივრცის განუყოფელი ნაწილი; გარდაუვალია, რომ უკრაინა გახდება ევროპული კავშირის და ნატოს წევრი ქვეყანა; იქნება მისი ყველაზე ძლიერი და მტკიცე ფარი რუსეთის საზღვრებთან (რუსეთთან ომში

გამობრძმედილი ყველაზე ძლიერი არმია რომ უკრაინას ჰყავს, ამას საქართველოში მოქმედი რუსი პროპაგანდისტებიც კი ადასტურებენ) და შეიტანს გრძელვადიანი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში არსებით წვლილს. აქვე ისევ გმირი ქართველების ნათქვამს დავუბრუნდები და გამოვხატავ

მხოლოდ და მხოლოდ ურყევი ნების გამოვლინება კონკრეტულ ქმედებებში უზრუნველყოფს ევროპის და ევროატლანტიკური სივრცის გრძელვადიან უსაფრთხოებას.

საქართველოს საზოგადოების უმრავლესობის აზრს: ეს ომი საქართველოსთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა; უფრო სწორად, მასში უკრაინის გამარჯვება და პუტინის რუსეთის დამარცხება საქართველოს გრძელვადიანი განვითარების და უსაფრთხოების გარანტიას წარმოადგენს.

ევროპა

როგორც გითხარით, უკრაინა რომ მარტო საკუთარი კეთილდღეობისთვის, არსებობისა და გადარჩენისთვის არ იბრძვის, ამის თაობაზე არაერთი განცხადება გვაქვს მოსმენილი მსოფლიო ლიდერებისგან. „უმჯობესია, დავიწყოთ რუსული ენის სწავლა, თუ არ დავეხმარებით უკრაინას“- განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა მარკ რუტემ. „ეს არ შეეხება მხოლოდ უკრაინის მომავალს, არამედ მთლიანობაში ევროპისთვის ეგზისტენციურ საკითხს წარმოადგენს“ - არაერთხელ აღუნიშნავს თავის გამოსვლაში დიდი ბრიტანეთის პრემიერს, კირ სტარმერს. „რუსეთის დამარცხება უკრაინაში გადამწყვეტია ევროპის უსაფრთხოებისთვის“ - ეს სიტყვები საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონს ეკუთვნის.

ომის პირველ დღეებსა და თვეებთან შედარებით, ევროპას, განსაკუთრებით გერმანიას, დიდ ბრიტანეთს, პოლონეთსა და საფრანგეთს, საყვედური ნამდვილად არ ეთქმით. პირიქით, რომ არა აშშ-სთან ერთად მათი დახმარება, უკრაინა დამოუკიდებლად ნამდვილად ვერ გაძლებდა რუსეთთან ბრძოლაში. თუმცა... გულწრფელად გეტყვით, ძალიან მტკივნეულად აღვიქვამ ფორმულირებას: „ჩვენ დავეხმარებით უკრაინას იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება“. თუ არ ჩავთვლით ბალტიის 3 ქვეყანას და პოლონეთს, რომლებიც იმთავითვე აცხადებდნენ, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს რუსეთის დამარცხებისთვის, დემოკრატიული სამყარო საწყის ეტაპზე მაინც სულ გვიჩენდა ერთგვარ დანაკლისის განცდას; იკითხებოდა ბრძოლის ბოლომდე მიყვანისთვის საჭირო მზაობის არქონაც.

მიუხედავად იმისა, რომ რიტორიკა გარკვეულწილად შეცვლილია, მაინც არ არის ჯერ ჩამოყალიბებული და ქმედებებში გამოხატული მტკიცე რწმენა, რომ დიახ,

რუსეთი უნდა დამარცხდეს; რომ პუტინი მხოლოდ ძალის პოზიციიდან ლაპარაკს სცემს პატივს, მხოლოდ მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მისი მოლაპარაკების მაგიდასთან დასმა და კაპიტულაციის იძულება. პუტინის რუსეთი ვერ დამარცხდება იმ ვითარებაში, როდესაც ერთ დღეს შორ მანძილზე მოქმედი გერმანული რაკეტების გამოყენების იმედი გაჩნდება, ოღონდ მერე გაფერმკრთალდება; მერე ისევ სხვა ფორმით თუ ცნობის სახით გამოგვეცხადება და ა.შ. აღარ მსურს იმის გახსენება, რამდენი დრო დაიხარჯა თვითმფრინავების და, განსაკუთრებით, ტანკების მოწოდებაზე შეთანხმების მიღწევის პროცესში; ამერიკული შეიარაღებისა და სადაზვერვო მონაცემების გარეშე რომ ევროპას გაუჭირდება რუსეთის დამარცხება, ამას ნებისმიერი ევროპელი ლიდერი ღიად გეტყვით, მაგრამ როდესაც საკითხი ამერიკული შეიარაღების უკრაინისთვის მიყიდვაზე დგება, იქვე წინააღმდეგობაც ჩნდება. ჩვენ კი გვესმის გლობალური პოლიტიკის სპეციფიკურობები, მაგრამ აბა უკრაინელ ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, გმირ მებრძოლებს აუხსნას ვინმემ, რატომ ვერ თანხმდება, მაგ., 155-მილიმეტრიანი ჭურვების ან „პეტრიოტის“ სისტემების შესყიდვა და უკრაინაში დროულად ჩატანა.

უკრაინის გმირულმა ბრძოლამ განაპირობა, რომ ნატოს წევრ ქვეყნებს რეალურად უყალიბდებათ მტკიცე პოზიცია შემდეგ საკითხზე: უკრაინის და საქართველოს 2008 წელს ნატოში გაწევრიანებაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში 2008 და 2014 წლებში რუსეთის მხრიდან აგრესიის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა. მეტიც, ნატოელი მოკავშირეებისგან ხშირად მოისმენთ: უკრაინის, საქართველოს და, სავარაუდოდ, მოლდოვის ნატოში გაწევრიანებით რეალურად შესაძლებელი იქნება რუსეთის ახალი აგრესიის არდაშვება; თანაც, არა მომავალი წევრების მიმართ, არამედ მისი მოქმედი, შედარებით მცირე ზომის წევრი ქვეყნების წინააღმდეგაც. ალბათ არ არსებობს ნატოს წევრი სახელმწიფოს სადაზვერვო და სამხედრო-ანალიტიკური სამსახური, რომელიც არ აცხადებდეს, რომ უკრაინაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში რუსეთი აუცილებლად განაგრძობს აგრესიულ ქმედებებს ევროპის სხვა ქვეყნების, პირველ ყოვლისა კი, ბალტიის სამი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასე რომ, არ უნდა უჭირდეთ დასკვნების გამოტანა, რა უნდა გააკეთოს ევროპამ უკრაინის გამარჯვებისა და პუტინის რეჟიმის დამარცხებისთვის.

ჩემი მოკრძალებული აზრით, ევროპამ, უწინარესად, უნდა მოიხსნას პუტინის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების შიში თუ კომპლექსი (ევროპასთან ერთად, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც); მიიღოს ყველა ზომა რუსეთის ეკონომიკის პარალიზებისთვის; მიმართოს ევროპულ ბანკებში გაყინული რეზერვები უკრაინისთვის შეიარაღების შესყიდვასა და უკრაინის რეაბილიტაციაზე და ხელი შეუწყოს უკრაინის, მასთან ერთად კი საქართველოს და მოლდოვის სრულფასოვან ინტეგრაციას

ევროპულ კავშირსა და ნატოში. მხოლოდ და მხოლოდ ურყევი ნების გამოვლინება კონკრეტულ ქმედებებში უზრუნველყოფს ევროპის და ევროატალანტიკური სივრცის გრძელვადიან უსაფრთხოებას.

აშშ

ძნელია, არ დაეთანხმო პრეზიდენტ ზელენსკის, რომელიც აცხადებს, რომ აშშ-ის წინა ადმინისტრაციას შეეძლო მეტის გაკეთება, მაგრამ, რომ არა პრეზიდენტი ბაიდენი, უკრაინა არსებულ დახმარებასაც კი ვერ მიიღებდა.

რა ხდება ახლა, პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში? ამ სტატიას მკითხველი რომ იხილავს, იმედი მაქვს (ფრთხილი ოპტიმიზმი!), პრეზიდენტ ტრამპს უკვე ექნება მიღებული გადაწყვეტილება რუსეთის წინააღმდეგ ახალი, „დამანგრეველი" სანქციების მიღების თაობაზე; მოწესრიგდება ევროპასა და აშშ-ს შორის უკრაინისთვის ამერიკული შეიარაღების შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და აშშ შეუფერხებლად განაგრძობს უკრაინისთვის სადაზვერვო სატელიტური ინფორმაციის მიწოდებას.

ევროპის ომებიდან დისტანცირება აშშ-თვის ისტორიულად არახალია, მაგრამ ახლა საქმე სხვა ტიპის გამოწვევებთანაც გვაქვს. აშშ ვერ შეატოვებს ევროპას რუსეთთან ბრძოლაში, თუკი მას გადაწყვეტილი აქვს, არ დაუშვას ჩინეთის გაბატონება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. აშშ-ს სჭირდება რუსეთის დამარცხებით დასრულებული ომი უკრაინაში, რათა ჩინეთს აღარ ჰქონდეს დამატებითი გათვლები ტაივანის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო მოქმედებების გეგმებთან დაკავშირებით (მარკ რუტე აცხადებს, რომ ჩინეთს სურს უკრაინის ომში ევროპის და აშშ-ის მაქსიმალური ჩართულობა, რომ თავად ხელ-ფეხი გაეხსნას ტაივანზე თავდასხმის შემთხვევაში).

გასაგებია დონალდ ტრამპის გაცხადებული პოლიტიკა „დაუსრულებელ ომებში" აშშ-ის არ/აღარ ჩართვასთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც კარგი „დილმეიქერი", დონალდ ტრამპი ევროპასთან ახალი შეთანხმებების სრულფასოვნად ამოქმედების შემთხვევაში საკმაოდ მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდება. ევროპული ფული ამერიკულ წარმოებაში დაიხარჯება, ამერიკული იარაღით კი რუსეთის დამარცხება გაცილებით რეალისტური იქნება. ვინ იცის, იქნებ მშვიდობის დარგში ნობელის პრემიასაც გამოჰკრას ხელი.

საერთოდ, როდესაც დემოკრატიული სამყაროს ლიდერებისა და წამყვანი პოლიტიკოსების განცხადებებზე, მათ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე ვსაუბრობთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი დიდი გულისყურით ეკიდებიან საზოგადოებრივ აზრს. უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდებასთან დაკავშირებითაც ასეა: რომ არა ამ საკითხის მიმართ ამერიკელი საზოგადოების ჯერ კიდევ საკმაოდ სერიოზული მხარდაჭერა, ვეჭვობ, თავად დონალდ ტრამპს და პოლიტიკოსების აბსოლუტურ უმრავლესობას როგორც რესპუბლიკური, ისე დემოკრატიული პარტიიდან შეენარჩუნებინათ პრიორიტეტულ თემად უკრაინის სამხედრო დახმარება და რუსეთის წინააღმდეგ ხისტი ზომების გამოყენება.

რაც შეეხება **ჩინეთს**, ის არ მალავს, რომ არ სურს უკრაინის გამარჯვება რუსეთთან ომში, თუმცა იმასაც აცხადებს, ჩვენ რომ ჩართული ვიყოთ, ომი დიდი ხნის დასრულებული იქნებოდაო (ცხადია, იგულისხმება რუსეთის გამარჯვებით). ჩინეთს არ სურს რუსეთის დამარცხება, მაგრამ ამერიკული და ევროპული ბაზრებიც ძალიან ეძვირფასება. ამდენად, ჩინეთი შეეცდება უკრაინაში რუსეთის ომის „დაბალ ცეცხლზე" შენარჩუნებას რუსეთისთვის ნახევარგამტარების მიწოდებით, რუსული ნავთობის და ბუნებრივი რესურსების სანქციების გვერდის ავლით მომგებიან ფასად შესყიდვის გზით.

ირანი და **ჩრდილოეთ კორეა** ბოროტების ღერძის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ; მათ სჭირდებათ როგორც რუსეთის, ისე ჩინეთის პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა. ამიტომ, ვიდრე იქნება შესაძლებლობა, სულ ეცდებიან, მოითბონ ხელი ამ ომის ხარჯზე, თუნდაც ეს ჩრდილოეთ კორეას მისი მოქალაქეების სიცოცხლის ფასად დაუჯდეს.

და ბოლოს,

რუსეთი

რუსეთი ფრონტის ხაზზე საზარბაზნე ხორცს მხოლოდ მაღალი ხელფასების სანაცვლოდ ინარჩუნებს და მაინც, ამ ტემპით თუ განაგრძობს, 84 წელი დასჭირდება მთელი უკრაინის დასაპყრობად. ახლა წარმოიდგინეთ, ათეულ და ასეულობით ათასი რუსი სამხედრო, შინ დაბრუნებული, ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე და ომის სინდრომით დატვირთული ფსიქიკით; მით უმეტეს, წაგებული ომის. ეს არის, რაც ერთ-ერთ კოშმარულ სიზმრად ევლინება პუტინს. სწორედ ამით აიხსნება ისიც, რომ პუტინს საყოველთაო მობილიზაცია ამ დრომდე არ გამოუცხადებია. ძალიან წამგებიანი და შიდაპოლიტიკური სტაბილურობის შენარ-ჩუნების კუთხით რისკიანი იქნებოდა მთელი რუსეთის მასშტაბით მობილიზაციის გამო-ცხადება; ისტორია ადასტურებს ამას.

სრულმასშტაბიანი ომის პირველ წლებში რუსეთმა, სამწუხაროდ, ნამდვილად შეძლო ქვეყნის საომარ ეკონომიკაზე გადაყვანა და ამით კოლაფსის თავიდან აცილება; თუმცა სულ უფრო ხმამაღლა გაისმის წუხილები რუსეთის ეკონომიკისა და ბიზნესისთვის მოსალოდ-ნელი სირთულეების თაობაზე; მით უმეტეს, როდესაც ამაზე საუბრობენ ოფიციალური პირები ან/და ხელისუფლებასთან დაახლო-ვებული ბიზნესმენები. ფაქტობრივად, აღარა-ვინ უარყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკა კრიზისში შედის. ეს შეიძლება არ ნიშნავდეს სწრაფ კოლაფსს, მაგრამ აუცილებლად ნიშნავს მზარდ პრობლემებს პუტინისთვის და უკმაყოფილებას მოსახლეობაში.

სწორედ ამიტომ პუტინი იბრძვის გაძლებაზე, რომ შეძლოს დემოკრატიული სამყაროს დაყოლიება მისთვის სასარგებლო და უკრაინისთვის დამღუპველ პირობებზე. ჩემი აზრით, ეს შეუძლებელია. ამიტომ პუტინი რეალურად იბრძვის თავის გადარჩენისთვის. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაშიც თუ შევხედავთ და მხარეთა ეკონომიკურ შესაძელებლობებს ავწონ-დავწონით, ვლადიმერ პუტინი განწირულია ამ ომში მარცხისა და მისი პოლიტიკური დასასრულისთვის. ახლა რომ გაჩერდეს, აღმოჩნდება, რომ „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ მიზნების მიღწევა მან ვერ შეძლო და მილიონზე მეტი ადამიანი შესწირა ამ ომს; რომ არ გაჩერდეს, ახლო მომავალში შედეგი მაინც იგივე იქნება, ოღონდ კიდევ უფრო მეტად გაუარესებული ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობით.

პუტინს ეგონა, რომ მისი დიდი ოცნების - რუსეთის იმპერიისა და სტალინისდროინდელი საბჭოთა დიდების აღდგენისთვის იბრძოდა და ისტორიაში ასე შევიდოდა; აღმოჩნდა, რომ საკუთარი ტყავის გადარჩენისთვის იბრძვის. ასე იცის 25 წელი ხელისუფლებაში და ბუნკერში ყოფნამ.

დიდება უკრაინას! გმირებს დიდება!



თინათინ ერაძე

„განწმენდილების“ მეორე სიცოცხლე

ანუ როგორ ხდებიან ავტორიტარიზმის მშენებლები კრიტიკული მედიის „ექსპერტები“

„მე არ შევმცდარვარ არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის და არც ივანიშვილის დროს!“ - იჯდა ერთი, ყველამთავრობაგამოცვლილი ყოფილი “მეოცნებე“ ამას წინათ კრიტიკული არხის ეთერში და თავის პოლიტიკურ სისპეტაკეში თავგამოდებით არწმუნებდა საზოგადოებას.

ორი რამის არ მწამს ქართულ პოლიტიკურ სამყაროში: რაფალიანცის შემზარავი ამბის მერე „ქართულ ოცნებაში“ დარჩენილთა სინდისიერების და ყველა პოლიტიკურ დროებასა და მოცემულობაში მართალი პოლიტიკოსების ზნეკეთილობის - როცა ივანიშვილს აძლიერებდა, მაშინაც რომ მართალი იყო და ახლაც რომ მართალია, ოღონდ ისე, რომ იმ ძველზე პასუხიმგებლობა არ აუღია, არაფერი უღიარებია, არც ბოდიში მოუხდია და არც სინანული გამოუხატავს.

„ჩვენ რომ წამოვედით, მერე დაიწყო ივანიშვილმა გაფუჭება, მანამდე ყველაფერი სწორად კეთდებოდა.“

„2019 წელს დაიწყო კურსის ცვლილებები ოცნებამ.“

„მე ვიყავი კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენელი, პარტიის წევრი არ ვყოფილვარ.“

„უზენაესი სასამართლოს რეფორმა ჩავატარეთ!“

„მთავრობის წევრი რომ ვიყავი, შიგნით ვაკრიტიკებდი.“

ამ და მსგავს ციტატებს ძირითადად კრიტიკული არხების ეთერებში მოისმენთ - საკუთარი რიგებიდან გამოგდებულებს სამთავ-

რობო მედიები ეთერს, ცხადია, აღარ უთმობენ, მხოლოდ პროპაგანდის თანმხვედრ მონაკვეთებს ამოჭრიან ხოლმე და ისე სთავაზობენ მაყურებელს. ასეთ ფრაზებს ხშირად მოისმენთ იმ ადამიანებისგან, რომლებიც სწორედ მაშინ აძლიერებდნენ

„ოცნების“ ყოფილი სახეები კრიტიკული მედიის ეთერებში სტუმრობაზე უარს არ ამბობენ, თუმცა, ამ ეთერებში საკუთარი პოლიტიკური წარსულის შეფასება ან გადაფასება დიდად არავის სურს.

„ოცნების“ ხელისუფლებას, როცა ავტორიტარიზმის საფუძვლები იყრებოდა, პოლიტიკური ოპონენტების განადგურება იწყებოდა, როცა დაკვირვებული თვალისთვის იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ „ოცნების“ მმართველობა ქვეყანას არათუ რაიმე კარგს მოუტანდა, არამედ უფსკრულისკენ წაიყვანდა.

„ოცნების“ ყოფილი სახეები კრიტიკული მედიის ეთერებში სტუმრობაზე უარს არ ამბობენ, თუმცა, ამ ეთერებში საკუთარი პოლიტიკური წარსულის შეფასება ან გადაფასება დიდად არავის სურს. წარსულის შესახებ კრიტიკული კითხვები მათთვის გამაღიზიანებელია, მხოლოდ საკუთარი „ექსპერტული“ ანალიზის გაზიარება სურთ. თუ წარსულზე კრიტიკულ კითხვებს დაუსვამენ, ღიზიანდებიან და ჟურნალისტს მიკერძოებაში ადანაშაულებენ (სხვათა შორის, მოქმედი „მეოცნებეების“ ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელიც სწორედ ეს არის, კრიტიკულ კითხვებზე გაბრაზება და ჟურნალისტებზე თავდასხმა). ყოფილი „ქოცი“ არ არსებობსო, იტყვის ზოგიერთი და შეიძლება მართალიც იყოს: ძალიან გაგიჭირდებათ ისეთი „ყოფილის“ დასახელება, რომელმაც საკუთარი წარსული გაიაზრა, პასუხისმგებლობა აიღო და ბოდიში მოიხადა - ბოდიში იმის გამო, რომ რუსულ რეჟიმს აძლიერებდა, რომ რუსი ოლიგარქის ხელისუფლებაში მოსვლას შეუწყო ხელი და შემდეგ წლების განმავლობაში მის სიმყარეს უზრუნველყოფდა იმის გამო, რომ თქვა, პუტინი მტერი არ არისო, იმის გამო, რომ „პოლიტპატიმრების“ სიაში ათასი ჯურის კრიმინალი და ჯაშუში ჩაწერა და ციხიდან გამოუშვა, იმის გამო, რომ ათას მავნებლურ კანონს მისცა ხმა, პარტიული კონიუნქტურის გამო ან თანამდებობრივი წინსვლის თუ სხვა მატერიალური სარგებლის სანაცვლოდ.... 2008 წლის აგვისტოს ომი რომ საქართველომ დაიწყო, არც ამის მტკიცების გამო მოუხდია ბოდიში არავის დღემდე. ყველა ცოდვა წარსულში დატოვეს და სრულიად სპეტაკნი მოგვევლინენ ახალ დროებაში. ახლა გახდა კობახიძე ქვეყნის დამაქცევარი, თორემ სანამ თავად იქ იყვნენ, ივანიშვილი სამშობლოზე თავგადაკლული, პროდასავლელი მეცენატი იყო. ჰო - ივანიშვილზე მწვავე კრიტიკას ვერც ახლა მოისმენთ დიდად (ხიდების დაწვა ბოლომდე არავის უნდა, როგორც ჩანს).

დღეს მათი ერთადერთი პლატფორმა კრიტიკული მედიაა, დასხდებიან და მიმდინარე პროცესებს მჭმუნვარე სახით აფასებენ, ოპოზიციას იწუნებენ, ნაცებს ემიჯნებიან, არც მწვადს წვავენ და არც შამფურს, არც ქოცია და არც ნაცი, ოპოზიციაშიც დიდად არავინ მოსწონთ, ნაციც და ქოციც რომ ერთნაირი ბოროტებაა - ამის ხაზგასმაც არ ავიწყდებათ. ერთ-ერთმა ისიც თქვა, 30 წელია ასე ვართ, არაფერი განსაკუთრებული ახლა არ ხდებაო. ანუ, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაც ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ხდება - ქვეყნის დასავლური კურსის ცვლილება, ნატო-ში გაწევრიანების დღის წესრიგიდან გაქრობა, მაღალჩინოსნებისა და მოსამართლეების ერთმანეთის მიყოლებით დასანქცირება ევროპისა და ამერიკის მიერ, არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა...

ყველა ცოდვა წარსულში დატოვეს და სრულიად სპეტაკნი მოგვევლინენ ახალ დროებაში. ახლა გახდა კობახიძე ქვეყნის დამაქცევარი, თორემ სანამ თავად იქ იყვნენ, ივანიშვილი სამშობლოზე თავგადაკლული, პროდასავლელი მეცენატი იყო.

ცოდვა გამხელილი სჯობს და მეც მქონია მცდელობები, ჩამეწერა რამდენიმე მათგანი, არა როგორც ექსპერტი, არამედ როგორც „ოცნების“ შიდა სამზარეულოს კარგი მცოდნე, თუმცა ყველა მცდელობა, რამე ისეთი მოეყოლათ ძველი ამბებიდან, რაც ივანიშვილის რეჟიმს შეარყევდა, უშედეგოდ დასრულდა .

პოლიტიკური თემების გარდა, „განწმენდილნი“ პერიოდულად გასართობ შოუებშიც არიან წარმოდგენილი, სადაც მათი პოზიტიური საიმიჯო პიარი კულმინაციას აღწევს... ერთხელ ერთ-ერთი ყოფილი ბობოლა ქოცი კრიტიკული მედიის ეთერში აჭარულს ცეკვავდა. ვინმე შანდალივით ან პანტერასავით მის ფორმაში კი არ იყო გადაცმული და ბოლოს კი არ გაირკვა ვინ ვინ არის, არა - ის ნამდვილად ის იყო და ნამდვილად აჭარულს ცეკვავდა, გარშემო ტაშით ამხნევებდნენ, ძალიან საყვარლობა იყო, სულ დამავიწყდა, 2012 წელს გრუ-ს ოფიცრებითა და ტერორისტებით სავსე „პოლიტპატიმართა” სია რომ შეადგინა.

პოლიტიკური თემების გარდა, „განწმენ-დილნი“ პერიოდულად გასართობ შოუებშიც არიან წარმოდგენილი, სადაც მათი პოზიტიური საიმიჯო პიარი კულმინაციას აღწევს... ერთხელ ერთ-ერთი ყოფილი ბობოლა ქოცი კრიტიკული მედიის ეთერში აჭარულს ცეკვავდა. ვინმე შანდალივით ან პანტერასავით მის ფორმაში კი არ იყო გადაცმული და ბოლოს კი არ გაირკვა ვინ ვინ არის, არა - ის ნამდვილად ის იყო და ნამდვილად აჭარულს ცეკვავდა, გარშემო ტაშით ამხნევებდნენ, ძალიან საყვარლობა იყო, სულ დამავიწყდა, 2012 წელს გრუ-ს ოფიცრებითა და ტერორისტებით სავსე „პოლიტპატიმართა” სია რომ შეადგინა.

მათი გათეთრებისა და გაკეთილშობილების მცდელობას რომ თავი დავანებოთ, მთავარი კითხვა მაინც ისაა, რა ელექტორალური წონა აქვთ ამ ადამიანებს და რას აძლევს მათთვის დროისა და პლატფორმის დათმობა „ოცნების“ რეჟიმის მოწინააღმდეგე მხარეს? რამდენად „ინსტრუმენტალიზდება“ ყოფილი ქოცი, როგორც ახალი რესურსი? თეორიულად შესაძლებელია, „ოცნების“ ყოფილი წევრები გამოიყენო „ხიდად“ ამომრჩევლის ტრანსფერისთვის, მაგრამ არა იმ ვითარებაში, როცა მას საკუთარი წარსულის გააზრების სურვილი არა აქვს, რეალურად, ეს მხოლოდ მათი თვითლეგიტიმაციის მცდელობაა, რის მისაღწევადაც ისინი უბრალოდ იყენებენ კრიტიკულ მედიას, განსაკუთრებით მაშინ,

რა ელექტორალური წონა აქვთ ამ ადამიანებს და რას აძლევს მათთვის დროისა და პლატფორმის დათმობა „ოცნების“ რეჟიმის მოწინააღმდეგე მხარეს? რამდენად „ინსტრუმენტალიზდება“ ყოფილი ქოცი, როგორც ახალი რესურსი? თეორიულად შესაძლებელია, „ოცნების“ ყოფილი წევრები გამოიყენო „ხიდად“ ამომრჩევლის ტრანსფერისთვის, მაგრამ არა იმ ვითარებაში, როცა მას საკუთარი წარსულის გააზრების სურვილი არა აქვს, რეალურად, ეს მხოლოდ მათი თვითლეგიტიმაციის მცდელობაა, რის მისაღწევადაც ისინი უბრალოდ იყენებენ კრიტიკულ მედიას.

პარალელურად კრიტიკული მედიიდან ამომრჩევლის ნდობის არმქონე ექსპერტ-პოლიტიკოსები, რომლებიც საკუთარ ფეისბუკგვერდებზეც კი ვერ ახერხებენ ადამიანების მხარდაჭერის მოპოვებას, ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველს თუ ივანიშვილთან 13-წლიან ბრძოლაში მყოფ ადამიანებს ჭკუას არიგებენ, როგორ უნდა მოიშორონ ის ჭირი, რომლის ამ ქვეყანაში გაბატონებასაც თავად შეუწყვეს ხელი წლების განმავლობაში.

როცა არც ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ და მხოლოდ იმ „ექსპერტულ“ მოსაზრებებს გვიზიარებენ, რომლებიც, როგორც წესი, აცდენილია მოქალაქეთა უმრავლესობის მაჯისცემას (ისე როგორც, მაგალითად, 2025 წლის „თვითმმართველობის არჩევნებში“ ოპოზიციური პარტიების მონაწილეობის საკითხი - კვლევების მიხედვით, ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის უმრავლესობა არჩევნებში მონაწილეობას არ ემხრობა, „ოცნების“ ყოფილი, ახლა კი უკვე ოპოზიციურ ფლანგზე გადმობარგებული ექსპერტ-პოლიტიკოსები ავტორიტარულ რეჟიმთან არჩევნებში შესვლის აუცილებლობაში მთელი მონდომებით გვარწმუნებენ). მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო მედია ამ ადამიანებს არ სწყალობს, მსგავს საკითხებზე პოზიციის დაფიქსირებისას, მცირე დროს მაინც უთმობს მათ (დამსახურება უნდა ყველაფერს!).

სახელისუფლებო მედიიდან, იქნება ეს სატელევიზიო, ონლაინ თუ ბეჭდური, ამ ყველაფერს უპირისპირდება მწყობრი საინფორმაციო პოლიტიკა კარგად გაწერილი გეგმითა და ერთიანი მესიჯბოქსით. რუტინულად ერთი და იგივე, სიუჟეტები ერთი და იმავე თემებით, ერთი და იმავე სათაურებითა და რესპონდენტებით... რაც უფრო აბსურდულია ამბავი, მით მეტი მონდომებით ტენის პროპაგანდა ადამიანებს...

ინფორმაციული სტრესის გარდა, „ოცნების“ მედია საკუთარ მაყურებელს გასართობი სანახაობითაც სტრესავს. არაფრისგან შექმნილი შოუები, რომელთა შედეგადაც გამოწვეული შოკი მსმენელს ეკრანთან აჯაჭვებს და ის სრულიად მოწყვლადი ხდება ყველანაირი ინფორმაციის წინაშე. პარალელურად კრიტიკული მედიიდან ამომრჩევლის ნდობის არმქონე ექსპერტ-პოლიტიკოსები, რომლებიც საკუთარ ფეისბუკგვერდებზეც კი ვერ ახერხებენ ადამიანების მხარდაჭერის მოპოვებას, ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველს თუ ივანიშვილთან 13-წლიან ბრძოლაში მყოფ ადამიანებს ჭკუას არიგებენ, როგორ უნდა მოიშორონ ის ჭირი, რომლის ამ ქვეყანაში გაბატონებასაც თავად შეუწყვეს ხელი წლების განმავლობაში.

და მაინც, ვინ არის ამ ხალხის ამომრჩეველი? ვისზე ახდენს გავლენას მათი აზრი? მით უმეტეს მაშინ, როცა ისინი ან საერთოდ არ წარმოადგენენ პოლიტიკურ პარტიებს, ან იმ პარტიების წევრები არიან, რომელთა რეიტინგიც კვლევებით არ იზომება და „სხვა პარტიების“ ჩამონათვალშიც კი ვერ ხვდება.

ვიფიქროთ ამაზე.

ქეთი ქურდოვანიძე

დაწერე შენი ოცნება?!

ანუ როგორ დარჩა საბჭოთა ოცნება პოსტსაბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში და როგორ იქცა იგი „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ პროგრამად

მე-18 საუკუნის მიწურულს, იმ საბედისწერო გეორგიევსკის ტრაქტატის ამოქმედებიდან მალევე, ქართველი კაცის ოცნება ერთგვარად დაეფუძნა რუსულ ნარატივს, რომლის ძირითადი მახასიათებლები იყო: თვითმპყრობელობა, სენტიმენტალიზმი, წარსულის იდილიად წარმოჩენა, უმოქმედობა, პასიური საზოგადოებრივი თვითშეგნება და ცხოველური ტკბობა მარტივი, სტაბილური და უღიმღამო ყოველდღიურობით. ქართველმა ეს ოცნება მალევე ცხოვრების წესად აქცია: მოიწყო კონფორმისტის მშვიდი ყოფა იმ საზოგადოებაში, სადაც არც ბრძოლაა, არც შრომა, არც კრიტიკული აზრი და კამათი, სადაც კარგი ცხენი და თოფი განსაზღვრავს ადამიანურ სტატუსს, სწავლა-განათლება - ბედნიერების მტრადაა მონათლული, წიგნი კი - ქალის საქმედ მიიჩნევა, თავისთავად, დისკრიმინაციული კონტექსტის გათვალისწინებით.

იმედია, გეცნოთ ამ ეპოქის მთავარი პერსონაჟის - ლუარსაბ თათქარიძის საარსებო გარემო. ანუ სამყარო, სადაც ცვლილებები საფრთხეს უქმნის არა მარტო დამპყრობლის პოლიტიკას, არამედ რუსული მმართველობისადმი გაუცნობიერებელი ლოიალურობით განწყობილი დაპყრობილის ჩვეულ, თუნდაც პირუტყვულ, ყოველდღიურობას. შესაბამისად, ამ ეპოქის ქართველის ოცნება მთლიანად რუსული ნარატივითაა ნასულდგმულევი: რუსეთი პატრონი და სიმშვიდის გარანტია, მდიდარი და უძლეველი ხელმწიფე ჩამოახრჩობს მას, ვინც კრინტს დაძრავს ბატონყმობის გაუქმებაზე. ლუარსაბის საოცნებო ალმასისა და იაგუნდის მსხმოიარე ხეც ხომ სწორედ რუსეთის ხელმწიფის კარზეა, თუმცა მას იცავს დიდძალი ჯარი და ის ლუარსაბისნაირებისთვის მიუწვდომელია, ამიტომაც თათქარიძეს მხოლოდ მასზე ოცნება შეუძლია. კრიტიკული აზროვნების დაქვეითების თვალსაზრისით, ლუარსაბი მახინჯი რუსული პროტექტორატის ლიტერატურული ანარეკლია, ობლომოვშჩინასი კი - თათქარიძეობა.

კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდება რუსულ ნარატივს სტალინური ეპოქის ქართველის ოცნება, რაც რევოლუციამ, ომებმა და კოლექტიური გამარჯვების განცდამ განაპირობა, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომში, სტალინის ლიდერობით. კოლექტივიზმი, სიძულვილი ინტელექტუალური ელიტებისა და ყოველივე განსხვავებულისა, ინდივიდუალური თავისუფლების გაქრობა სტალინური ეპოქის ქართველის ოცნებას დაუკავშირდა, „ჩვენი სოსო (ჯუღაშვილი)“ - იმპერიული იდენტობის მქონე ქართველის მეშვეობით მიღწეული ტრიუმფი ეროვნულ გამარჯვებად გადაითარგმნა და დღემდე ცოცხლობს სექტად ქცეულ სტალინისტურ ჯგუფებში. ძველი ინტელექტუალური ელიტების განადგურებამ და რეპრესიებმა ახალი სოციალური ფენების - წითელი ინტელიგენციისა და მუშათა კლასის აღმოცენება განაპირობა, შესაბამისად, გაჩნდა ახალი ოცნება - ინტელიგენციას ხელისუფლების ერთგულებითა და მორჩილებით მიეღო პრივილეგიები, მუშათა კლასსა და გლეხობას კი - შრომის წითელი დროშის ორდენები,

რაც, ერთი მხრივ, გაათავისუფლებდა მათ დამოუკიდებლად არსებობის თანდაყოლილი შიშისა და პასუხისმგებლობისგან, მეორე მხრივ კი, პარტიის წინაშე სამუდამო ვალდებულებას დააკისრებდა.

ძველი ინტელექტუალური ელიტების განადგურებამ და რეპრესიებმა ახალი სოციალური ფენების - წითელი ინტელიგენციისა და მუშათა კლასის აღმოცენება განაჭირობა, შესაბამისად, გაჩნდა ახალი ოცნება - ინტელიგენციას ხელისუფლების ერთგულებითა და მორჩილებით მიეღო ჭრივილეგიები, მუშათა კლასსა და გლეხობას კი - შრომის წითელი დროშის ორდენები

თუ დავაკვირდებით, საერთო მაგისტრალური მიმართულებებით საბჭოთა ადამიანის ოცნება არაფრით განსხვავდებოდა ზოგადადამიანური სურვილებისგან, თუმცა ამ სურვილების მასშტაბი იმდებად მწირი, ბეჩავი, ინფანტილური და ზოგჯერ ღირსების შემლახველიც კი იყო, რომ საბჭოთა ადამიანს ცივილიზებულ სამყაროსთან აფილირების შანსს აღარ უტოვებდა.

მაგალითად, განა სტაბილურ და უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე არ ოცნებობს ყველა, თუმცა რას გულისხმობდა ასეთ ცხოვრებაში საბჭოთა ადამიანი? - პირველ ყოვლისა, არ ყოფილიყო ომი და შიმშილი, პურისა და ნავთის დეფიციტი, ჰქონოდა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და თავშესაფარი. როგორი იქნებოდა ეს ყოველივე, ამას სტალინური ეპოქის ქართველი არც კი დაეძებდა, რადგან მაშინ მისი მთავარი მიზანი ფიზიკური გადარჩენა იყო. ამიტომ რეპრესიებგადატანილი და ომგამოვლილი ადამიანები ისე დეგრადირდნენ, რომ მოთქმით დასტიროდნენ გარდაცვლილ ბელადს, რომელმაც მშობლები, მეუღლეები, ახლო ნათესავები დაუხვრიტა, გადაუსახლა და სხვის ომს შესწირა. მეტიც, ეს ადამიანები წლების განმავლობაში სტალინის ეპოქის დაბრუნებაზეც კი ოცნებობდნენ ყველაზე შემზარავი მოტივით: „ომის შემდეგ სტალინი ყველაფერს აიაფებდა და, რომ დასცლოდა, ახლა ყველაფერი უფასო გვექნებოდაო.“ აი, სადამდე შეიძლება მივიდეს დაბეჩავებული და სულელი ადამიანის ფანტაზია. ჩვენ კი ის გაგვიკვირდა, რომ უბრალო გლეხმა არტისტების პირით გაჟღერებული მილიარდერის 5 -მილიონიანი დაპირება დაიჯერა.

პოსტსტალინურ ეპოქას მოჰყვა ე.წ. „ზასტოის“ პერიოდი, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა, ანუ სტაბილური ქაობი. ქართველის ოცნებას, რუსული ნარატივის

შესაბამისად, მერკანტილური ელემენტი - ანუ „საბჭოთა ბედნიერება“ დაემატა. რას გულისხმობდა ეს ბედნიერება? პირველ ყოვლისა, ბინას, რომელსაც წლობით ელოდებოდა ქართველი მშრომელი და რომელიც არ იყო მისი კერძო საკუთრება, სახელმწიფოს ეკუთვნოდა და, როცა მოისურვებდა, მაშინ გამოასახლებდა იქიდან, ანუ ეს საკუთარი, პრივატული სივრცე კი

არა, დროებითი თავშესაფარი იყო. ამავე შინაარსს ატარებდა საბჭოთა არქიტექტურა, თავისი ათასგვარი მახინჯი სამშენებლო პროექტით: ხრუშჩოვკა, ჩეხური, მოსკოვის, ლვოვის, ყავლაშვილის პროექტები და ა.შ. ეს პატარა თავშესაფრები საბჭოთა ადამიანს სხვადასხვაგვარად მოწყობილი წარმოედგინა და ცდილობდა ამ სივიწროვეში დაეტია ყველა თავისი საოცნებო ნივთი. მოგვიანებით კოოპერატიული ბინათმშენებლობის შემოღებამ სწორედ ეს პირადი სივრცე გააჩინა - სიმდიდრისა და თავისუფლების გამომხატველი, ასეთი ბინები მხოლოდ საბჭოთა ელიტისთვის იყო ხელმისაწვდომი და ჩვეულებრივი მოკვდავი ამაზე ოცნების უფლებასაც კი ვერ მისცემდა საკუთარ თავს.

ავტომობილის ყოლა, მაგალითად, „ვოლგა“ ან „ჟიგული“, წარმატების სიმბოლო იყო. საბჭოთა ადამიანი წლების განმავლობაში აგროვებდა ფულს, რომ რიგში ჩამდგარიყო და „თავის ფასში“ ეყიდა საოცნებო მანქანა. ურიგოდ მარტო ზაპოროჟეცი და მოსკვიჩი იყიდებოდა მუშათა კლასისთვის. ხშირად ისე ხდებოდა, რომ მანქანა ძვირდებოდა და შეგროვილი თანხა მხოლოდ ზემოთ ნახსენებ მოსკვიჩსა და ზაპოროჟეცს ჰყოფნიდა, რომლებშიც „პატივმოყვარე ქართველი“ ტაქსისტსაც კი არ უჯდებოდა, საკუთარ ეზოში მსგავსი მანქანის დაყენებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

დასვენება ფრიად საჭირბოროტო საკითხი იყო საბჭოელი ქართველისთვის. არსებობდა ელიტური სანატორიუმები: სინოპი, ბორჯომის პლატო, ლიტფონდი, ხელოვანთა სახლი ბიჭვინთაში... აქ მხოლოდ საბჭოთა ელიტა ისვენებდა, უბრალო მოკვდავებისა და მათი შვილებისთვის იყო საგზურები იაფფასიანი დასასვენებელი სახლების 10-კაციან ნომრებსა და პიონერთა ბანაკებში. უცხოეთში გამგზავრება კი, აი, რა იყო ნამდვილი ოცნება სრული საბჭოთა ბედნიერებისთვის, სოციალისტურ ქვეყნებში - „ახდენადი“, კაპიტალისტურში კი - აუხდენელი. კაპიტალისტურ ქვეყნებში მხოლოდ ელიტური პარტნომენკლატურა და წითელი ინტელიგენცია დადიოდა, ისიც უშიშროების თანამშრომლების თანხლებით.

მიუხედავად ამისა, სამართლიანობის ილუზია საბჭოთა ადამიანს არ დაუკარგავს, ხშირად გულწრფელად სჯეროდა, რომ მისი შრომა დაფასდებოდა, ადამიანები იქნებოდნენ თანასწორნი, სახლიც ექნებოდა, მანქანაც, საზღვარგარეთაც წავიდოდა და უმაღლესშიც მოეწყობოდა პროტექციისა და ფულის გარეშე. სჯეროდა ამ გაპიარებული სიყალბის და უკეთეს მომავალს ელოდებოდა, ჰოდა, აი, დადგა ისიც, ანუ ე. წ. „პერესტროიკის“, ანუ გარდაქმნის, ეპოქა. რუსული ნარატივი სისტემის შიგნიდან შეცვლის მითს ავრცელებდა და ხალხსაც სჯეროდა გორბაჩოვის „ახალი აზროვნებისა“ და დემოკრატიის ფარსის.

ქართველის ოცნება ეროვნული იდენტობის აღდგენა და დამოუკიდებლობის მოპოვება გახდა. ომის, სისხლისღვრისა და რუსული ტანკების გარეშე, ვერც ამ ოცნების ახდენა მოხერხდა. პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, დამხობამ და შევარდნაძის ჩამოსვლამ ათი წლით დააბრუნა საქართველოში პოსტსაბჭოთა კორუმპირებული ელიტა, კრიმინალი, სახელმწიფო ორგანოების არაფორმალური კონტროლი, ნეპოტიზმი, ქრთამი და ეკონომიკური სიდუხჭირე. რუსული ოკუპაცია კი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დე ფაქტო დაკარგვით გაგრძელდა. არადა, ქართველის ოცნება დასავლეთთან დაახლოება იყო, მაგრამ პასიური მიდგომით: ევროპამ მოგვხედოს, ამერიკა დაგვეხმაროს, ღვთისმშობელმა გვიშველოს. რუსულ ნარატივს კარგად მოერგო

არადა, ქართველის ოცნება დასავლეთთან დაახლოება იყო, მაგრამ პასიური მიდგომით: ევროპამ მოგვხედოს, ამერიკა დაგვეხმაროს, ღვთისმშობელმა გვიშველოს

შევარდნაძის პოზიცია: რუსული თამაშის წესებით გაჯერებული პროდასავლური პოლიტიკა. ვარდების რევოლუციამ ერთხელ და სამუდამოდ გამიჯნა ამ ორი ანტინომიის პოსტსაბჭოთა სიმბიოზი, დაამხო მითი ორი რუსეთისა და ორი დასავლეთის შესახებ,

რაც საბედისწერო აღმოჩნდა რუსული რეჟიმებისთვის საქართველოში. დღეს, როდესაც ივანიშვილის რეჟიმი ამ რუსული ნარატივის აღდგენას ცდილობს და მთელი მისი პროპაგანდისტული მანქანა ორი რუსეთისა და ორი დასავლეთის ლეგენდის რეაბილიტაციაზე მუშაობს, რეჟიმის პროპაგანდისტებისა და გონებასუსტების გარდა, ამ სისულელეს ყველა აბუჩად იგდებს.

არადა ისტორიის გადასახედიდან ივანიშვილის რეჟიმი ყველაზე წარმატებით მოერგო რუსულ ნარატივს, თითქმის ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე დააჯერა დასავლურ კეთილდღეობაზე მეოცნებე ქართველები, რომ ოლიგარქი რუსეთში ნაშოვნ მილიონებს ქართველების კეთილდღეობას მოახმარს, რუსეთი, დასავლეთისგან განსხვავებით, „ქართველობას არ წაგვართმევს“ და მხოლოდ(!) ტერიტორიების მიტაცებით შემოიფარგლება; დასავლეთს საქართველოს ომში ჩათრევა უნდა და ამიტომ სახელმწიფო

ასე თანდათან ჩაანაცვლა ქველმოქმედის იმიჯი, მშვიდობისმყოფელისამ, რომელსაც არც ფულის დახარჯვა სჭირდება, არც ინტელიგენციისა და ამომრჩევლის მოსყიდვა და არც ზედმეტად თავის გაცხელება.

გადატრიალებას უწყობს ივანიშვილის რეჟიმს, რომელმაც, ევროკავშირში შესვლაზე უარის თქმით, ქვეყანა ომისგან იხსნა, ქართველი კაცები კი - გათხოვებისგან. ასე თანდათან ჩაანაცვლა ქველმოქმედის იმიჯი, მშვიდობისმყოფელისამ, რომელსაც არც ფულის დახარჯვა სჭირდება, არც ინტელიგენციისა და ამომრჩევლის მოსყიდვა და არც ზედმეტად თავის გაცხელება.

ამას წინათ ჩემმა ძმისშვილმა ის ფურცლები გაიხსენა, „ოცნებამ“ 2012 წლის არჩევნების წინ რომ დაარიგა და ამომრჩეველს სთხოვა, თავისი ოცნებები ჩამოეწერა. მახსოვს, როგორი ენთუზიაზმითა და შთაგონებით წერდნენ „ოცნების“ მოიმედენი თავიანთ ოცნებებს ამ ფარატინა ფურცლებზე, შემდეგ ფოტოებს უღებდნენ და პირად გვერდებზე აზიარებდნენ, როგორც უეჭველად შესრულებად მოცემულობას. რას აღარ მოიცავდა მათი ოცნებების კალეიდოსკოპი: ბინებს, მანქანებს, სამსახურებს, მაღალ ხელფასს, მიწის ნაკვეთებს, სწავლის დაფინანსებას... იყო უფრო გულუბრყვილო და მარტივი ოცნებებიც, მაგრამ არცერთი მათგანი ისე ზუსტად და ზედმიწევნით არ გამოხატავს ჩვენი ბეჩავი ხალხის ეკონომიკურ, მენტალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, როგორც ეს ბარათი:



„დაწერე შენი ოცნება

ვოცნებობ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ოცნების მიღწევას, ვოცნებობ თბილისში მქონდეს ახალი გარემონტებული სამ-ოთახიანი ბინას და ავტომანქანას.“ (ავტორის სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია დაცულია).

ნეტავ სად არის ან როგორ არის ახლა ამ ბარათის ავტორი, საქართველოშია ტახტზე წამოწოლილი და ნადეჟდა ტვ-ის ალაყებინებს თავს თუ მექსიკურ ფათერაკებს გადარჩენილი დაუღალავად შრომობს, ოჯახსა და ახლობლებს მოწყვეტილი, რომ პირველი ახდენილი ოცნების მსგავსად მეორე და მესამეც აიხდინოს. ეჰ, ვინ იცის, შეუცნობელია გზანი უფლისანი.

ქაღალდის ამ პატარა ნაგლეჯმა არა მხოლოდ ჩემს ქვეყანაში 2012 წელს დატრიალებული უბედურება გამახსენა, არამედ საკითხის უფრო ფართო განსჯისკენ მიბიძგა. როგორ დარჩა საბჭოთა ოცნება პოსტსაბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში და როგორ იქცა იგი ე.წ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ პროგრამად. „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური ძალა და კულტურული ფენომენი, სწორედ ამ ჩამოუყალიბებელი, პოსტსაბჭოთა ცნობიერების ბუნებრივ გაგრძელებად გვევლინება. შედეგად ვიღებთ სახელმწიფოს, სადაც მოქალაქეებს ეშინიათ ცვლილებებისა და პროგრესის, ამიტომაც უპირატესობას ანიჭებენ მონობას და ძლიერი მფარველის ფრთის ქვეშ ცხოვრებას, იტანენ მისგან ძალადობას, უსამართლობას, რეპრესიებსა და ეკონომიკურ სიდუხჭირეს.

> ვერც ევროკავშირში ინტეგრაცია და ვერც დემოკრატია ვერ გახდება თავისუფლების საწინდარი, რადგან თავისუფლება იწყება იქ, სადაც ოცნება აღარ ნიშნავს სხვის იმედად ყოფნას, უმოქმედობას, შიშსა და კონფორმიზმს.

დღეს, ამ განსაცდელის ჟამს, უნდა გვესმოდეს, რომ ვერც დამოუკიდებლობა, ვერც ევროკავშირში ინტეგრაცია და ვერც დემოკრატია ვერ გახდება თავისუფლების საწინდარი, რადგან თავისუფლება იწყება იქ, სადაც ოცნება აღარ ნიშნავს სხვის იმედად ყოფნას, უმოქმედობას, შიშსა და კონფორმიზმს. ჰოდა, ვიდრე ეს ოცნება არსებობს, ქვეყანას - განვითარება, ადამიანებს კი მოსვენება და კეთილდღეობა არ უწერიათ.



გია გოთუა

სხვა რესპუბლიკა



1992 – 2008 წლების ალტერნატიული ისტორია

გიორგი ბერიძე თორმეტი წლის იყო, როდესაც ტანკები თბილისში არ შემოვიდნენ. ის 1980 წელს დაიბადა. მამა ინჟინერი იყო, მეტალურგიის ინსტიტუტში მუშაობდა და სხვა შვიდასი ათასი საქართველოს მოქალაქის მსგავსად, კომუნისტური პარტიის წევრიც იყო, დედა კი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ეროვნულ მოძრაობას თანაუგრძნობდა. დედა და მამა პოლიტიკაზე ხშირად კამათობდნენ, ამიტომ გიორგის პოლიტიკა არ მოსწონდა.

რეალურ ისტორიაში 1991 წლის დეკემბერში საქართველოში, რუსეთის წაქეზებით, შეიარაღებული გადატრიალება მოხდა და სახელმწიფო ჩამოიშალა. ალტერნატიულ ისტორიაში კი, რომელსაც აქ ვყვებით, ეს ამბავი ყველასთვის მოულოდნელად სხვანაირად განვითარდა. პატრიოტიზმმა და გონიერებამ შუღლსა და სიხარბეს სძლია.

1992 წლის იანვარს საქართველო ალტერნატიულ ისტორიაში თითქმის იმავე დაძაბულობის ფონზე ხვდება, რომელზედაც რეალურ ისტორიაში. ყოფილი კომუნისტური ელიტისა და ეროვნული მოძრაობის აქტივისტების ნაწილი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას უპირისპირდება. რუსეთის აქტიურობის კვალი ყველგან ჩანს - დედაქალაქი ნელ-ნელა იარაღით ივსება.

მაგრამ ხდება მოულოდნელი რამ - იანვრის პირველ რიცხვებში მოსკოვში საიდუმლოდ ერთმანეთს ხვდებიან ედუარდ შევარდნაძე და გამსახურდიას გარემოცვის რამდენიმე გავლენიანი წევრი. ისტორიკოსები დღემდე კამათობენ იმაზე, თუ რა მოხდა, რატომ გადაწყვიტეს მხარეებმა სიტუაციის განმუხტვა. ზოგი რუსეთის ხელისუფლებაში მიმდინარე ინტრიგებზე მიუთითებს - თითქოს იქ შევარდნაძესთან დაპირისპირებული ძალები იმარჯვებდნენ. სამაგიეროს გადახდის მიზნით, მან საკუთარი თამაშის წამოწყება გადაწყვიტა. ზოგიერთი ანალიტიკოსი უკრაინელი შუამავლების როლზე მიუთითებს.

მოკლედ, ფაქტია, რომ რაღაც შეთანხმება შე-

დგა. ამ შეთანხმებისთვის პრივატიზაციის საკითხი ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ნომენკლატურამ ქონების შენარჩუნების გარკვეული გარანტიებიც მიიღო.

გიორგისთვის ეს კარგი ამბავი იყო. ცხოვრება ისედაც სულ უფრო ჭირდა. მაღაზიების თაროებიდან და, შესაბამისად, მაგიდიდან ბევრი რამ გაქრა. მშობლებს სარჩო-საბადებლის შოვნა სულ უფრო უჭირდათ. ამ ფონზე ოჯახში საჩხუბრად ერთი მიზეზით ნაკლები იყო.

დადებული შეთანხმება იდეალური არ იყო. შემდგომში ბევრი ქვეყნის წინაშე მდგარ ამა თუ იმ პრობლემას სწორედ ამ შეთანხმებას მიაწერდა. თუმცა ის ნამდვილად პრაგმატული იყო. გამსახურდია ხელისუფლებას ინარჩუნებდა 1992 წლის ბოლოს ჩატარებულ არჩევნებამდე. პრივატიზაციის ჩატარება ე.წ. „ეროვნული ქონების საბჭოს“ დაევალა, რომელშიც თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი პოლიტიკოსები, სამეურნეო სფეროს ხელმძღვანელები და ე.წ. ინტელიგენცია. არავისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რომ საბოლოოდ ქონების ძირითადი ნაწილი ნომენკლატურის ხელში აღმოჩნდა.

პარლამენტში მოქმედი რეგიონული ელიტის წარმომადგენლობა ხშირად უშლიდა ხელს ადგილებზე სასარგებლო რეფორმების გატარებას. თუმცა ამავე გაერთიანებაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ყოფნა ეთნიკური და რეგიონული კონფლიქტების გაღვივებასაც უშლიდა ხელს.

თუმცა ეკონომიკურად ქვეყანას უჭირდა. ქარხნების უმრავლესობა დაიხურა, მოქმედი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა კი მკვეთრად შემცირდა. ამ გასაჭირის ფონზე ორი სატელევიზიო სანახაობა გახდა განსაკუთრებით პოპულარული - ლათინურამერიკული სერიალები და საპარლამენტო დებატები. უცნაურია, მაგრამ პარლამენტში მიმდინარე ხშირად საკმაოდ უშინაარსო დავები დაღლილ მაყურებელში, როგორც ჩანს, მომავლის გარკვეულ იმედს აჩენდა.

1995 წლისთვის მეორე რესპუბლიკამ გამოკვეთილი სახე მიიღო. ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა არჩევნებში გაიმარჯვეს. მანამდე დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, მათ კონსტიტუციაში რამდენიმე პუნქტის დაფიქსირება შეძლეს. მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. კონსტიტუციის ერთ-ერთი მუხლის თანახმად, სახელმწიფოს მიზანი ქართველთა უფლებების დაცვა გახდა. სკოლებში მართლმადიდებლური რწმენის საწყისები სავალდებულო საგნად იქცა. სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკა ეთნიკური ქართველების რაოდენობის ზრდასა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მათ განსახლებაზე იყო მიმართული.

თუმცა გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრაცია ვერ შეძლეს. ახალი კონსტიტუციის თანახმად, საქართველო შერეული ტიპის საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკად იქცა. პროპორციული წესით არჩეულ პარლამენტში მმართველ ძალას ორი ძლიერი ოპონენტი დაუპირისპირდა - ე.წ. დემოკრატების ბლოკი, რომელიც ნომენკლატურისა და აქტივისტების რთულ და წინააღმდეგობრივ გაერთიანებას წარმოადგენდა, და რეგიონული ბლოკი, რომელიც ძირითადად აფხაზეთის, აჭარისა და ჯავახეთის მოსახლეობის ხმებით არჩეული ადგილობრივი ელიტების წარმომადგენელი დეპუტატებისგან შედგებოდა. ორივე ძალას, პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, რუსეთის მხარდაჭერა ჰქონდა. პარლამენტში მოქმედი რეგიონული ელიტის წარმომადგენლობა ხშირად უშლიდა ხელს ადგილებზე სასარგებლო რეფორმების გატარებას. თუმცა ამავე გაერთიანებაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ყოფნა ეთნიკური და რეგიონული კონფლიქტების გაღვივებასაც უშლიდა ხელს. კულისებიდან, როგორც გავლენის მქონე ფიგურა, ედუარდ შევარდნაძე მოქმედებდა. სამაჩაბლოში ომი დამთავრდა, თუმცა დაპირისპირებულ მხარეთა შორის საბოლოო მორიგება ვერ მოხერხდა და ცხინვალის რეგიონი რუსი ჯარისკაცების „დაცვის“ ქვეშ, არაღიარებული კვაზისახელმწიფოს სახით აგრძელებდა არსებობას.

1995 წელს ზვიად გამსახურდია მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი ფიგურის მიმართ საყოველთაო მოწიწების მიუხედავად, მისმა მომხრეებმა შემდეგ წელს გამართული არჩევნები წააგეს. მოვიდა შევარდნაძის დროც.

ეკონომიკა უკეთეს ფორმაში მოდიოდა. ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან ნელ-ნელა ფართოვდებოდა. რუსეთისა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების გარდა, ქვეყანას სხვა სავაჭრო პარტნიორებიც დაემატა. ნელ-ნელა იზრდებოდა ტურიზმიც. კასპიის ზღვის შელფზე ნავთობის ახალი მარაგების აღმოჩენა მნიშვნელოვან გარდამტეხ წერტილად იქცა.

ქვეყანა აშშ-ისა და ევროპის ყურადღების ცენტრში მოექცა. არჩევნების წაგებამდე ცოტა ხნით ადრე გამსახურდიას ხელისუფლებამ აშშ-თან ხელშეკრულება დადო, რომელიც საქართველოს გავლით ნავთობსადენის გაყვანას გულისხმობდა. შევარდნაძე, რომელიც საიდუმლოდ რუსებს ამ ხელშეკრულების გადახედვას დაჰპირდა, ამის გაკეთებას არ ჩქარობდა. რუსეთსაც ნელ-ნელა ეკონომიკური კრიზისი მიეპარა და საქართველოსთვის არ ეცალა.

მოხუც შევარდნაძეს ბევრი რამის გაკეთების ენერგია და ნება აღარ ჰქონდა. მის წრეში და მთლიანად სახელმწიფო აპარატში გავრცელებულ კორუფციას ის ვერაფრით უმკლავდებოდა. დაპირისპირება მის გარემოცვაში ჩვეულებრივი ამბავი იყო. შეიძლება ითქვას, ეს შევარდნაძის ხელში მართვის ერთ-ერთი ბერკეტიც კი იყო. თუმცა ნელ-ნელა მწიფდებოდა დაპირისპირება, რომლის მართვაც მას აღარ შეეძლო. ეს იყო დაპირისპირება ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორების“ გუნდსა და ნომენკლატურას შორის.

1996 წელს გიორგიმ უნივერსიტეტში ჩააბარა. სპეციალობად, ალბათ უფრო დედის გავლენით, საერთაშორისო ურთიერთობები აირჩია. მამის ნაცნობობა და მატერიალური შესაძლებლობები თსუ-ში მოსახვედრად საკმარისი არ აღმოჩნდა. თუმცა კერძო უნივერსიტეტს, რომელშიც მან ჩააბარა, არც ისე ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში ბევრმა პატიოსანმა და კვალიფიციურმა მეცნიერ-თანამშრომელმა იპოვა თავი. ჭორების თანახმად, უნივერსიტეტს მოსკოვში მცხოვრები ერთ-ერთი მდიდარი ქართველიც აფინანსებდა.

საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპარეზზე ახალი მოთამაშეებიც ჩნდებიან. 2000-იანების დასაწყისიდან ქართულ პოლიტიკაში სულ უფრო აქტიურად ერთვებიან რუსეთში გამდიდრებული, ეთნიკურად ქართველი ადამიანები. ამ კონტექსტში დაახლოებით ხუთი ადამიანის სახელს ასახელებდნენ, რომელთა შორის ურთიერთობა პერიოდულად დაძაბულ ხასიათს ატარებდა. ამ მოთამაშეების წინაშე შევარდნაძე სულ უფრო უძლური ხდებოდა. ბევრი ოლიგარქი გაკოტრებული ან კაპიტალის არმქონე ნომენკლატურისგან მინიმალურ ფასად მიწასა და ობიექტებს ყიდულობდა.

ოპოზიცია ამ დროს დასუსტებული იყო. რეგიონული ლიდერები ოპოზიციის როლს მხოლოდ მოჩვენებითად ასრულებდნენ. „მრგვალი მაგიდის“ კოალიცია მწვავე შიდა უთანხმოებებით იყო დასუსტებული. თუმცა „მრგვალი მაგიდის“ სტრუქტურებმა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. განსაკუთრებით რეგიონებში, ისინი აქტივისტების მყარ ქსელს ქმნიდნენ. ეს აქტივისტები ნებისმიერ ლოკალური თუ ეროვნული მასშტაბის პროტესტში იყვნენ აქტიურნი და ადგილობრივი თუ ქვეყნის ელიტისთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ, რომლის არსებობამ ამ ელიტას ბევრი გადაწყვეტილების მიღება თუ შეცვლა აიძულა. შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიცია სამოქალაქო საზოგადოების ქართულ ვერსიასაც წარმოადგენდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

2002 წელს პოლიტიკური ლანდშაფტი შეიცვალა. დემოკრატიული ბლოკი გაიხლიჩა. ახალგაზრდა რეფორმატორებმა დასავლური დაფინანსებით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით დატოვეს შევარდნაძის ბანაკი. „მრგვალი მაგიდაც“ საბოლოოდ გაიყო. მისი აქტივისტების ნაწილი ახალგაზრდა რეფორმატორებთან შევიდა კოალიციაში. სულ უფრო გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობითა და კორუფციით უკმაყოფილება იზრდებოდა. რეგიონებსა და თბილისში საპროტესტო გამოსვლების სერია გაიმართა. 2003 წლის არჩევნების შემდეგ ახალგაზრდა რეფორმატორებისა და „მრგვალი

მაგიდის“ მომხრეთა კოალიციამ გაიმარჯვა. პარლამენტში კოალიციამ ადგილების ორი მესამედი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ეს გამარჯვება არა მხოლოდ ფართო სახალხო მხარდაჭერამ განაპირობა. კულისებში გამარჯვებულმა ბლოკმა რეგიონული ელიტისა და ე.წ. „ოლიგარქების“ ნაწილის მხარდაჭერის მოპოვებაც შეძლო.

ახალი ხელისუფლების წინაშე რთული გამოწვევები იდგა. ერთი მხრივ, მრავალი პრობლემა სწრაფ და რადიკალურ ჩარევას მოითხოვდა; მეორე მხრივ კი, ხელისუფლება მხარდამჭერთა ფართო კოალიციას ეყრდნობოდა და ამ კოალიციაში შემავალი სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება უწევდა. ერთ-ერთი ასეთი უთანხმოება დანაშაულთან ბრძოლის მკაცრ პოლიტიკასა და ძალოვან სტრუქტურებში დაგეგმილ ცვლილებებს ეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქურდულ სამყაროსთან ბრძოლის აუცილებლობაზე კოალიციის შიგნით ფართო კონსენსუსი არსებობდა, მწვავე დისკუსიები გაიმართა ძალოვან უწყებებზე დემოკრატიული კონტროლის საკითხზე. ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გატარებამ — განსაკუთრებით რეგიონებში — გარკვეული დაძაბულობა გამოიწვია. ამის ფონზე, ოპოზიციური განწყობები გაჩნდა არა მხოლოდ ფართო საზოგადოებაში, არამედ მმართველი კოალიციის შიგნით, ადგილობრივ აქტივისტურ ჯგუფებშიც.

რამდენიმე გახმაურებული ინციდენტისა და საჯარო დისკუსიის შემდეგ, 2006 წლის დასაწყისში, კომპრომისი შედგა. კოალიციის შიგნით მიღებული გადაწყვეტილებით, ძალისხმევის მთავარი აქცენტი სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერებაზე იქნა გადატანილი. შეთანხმების თანახმად, დამოუკიდებელ სასამართლოს საკვანძო როლი უნდა შეესრულებინა როგორც სამართალდამცავ სტრუქტურებზე ზედამხედველობის, ისე დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

საბოლოოდ, საპოლიციო და სისხლის სამართლის სფეროში გატარებული რეფორმა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და ფართო მხარდაჭერის მქონე ნაბიჯად იქცა ახალი ხელისუფლებისთვის.

არც სხვა სფეროებში მიდიოდა რეფორმები ყველასთვის მისაღები და მოსაწონი ტემპებით. ახალი მთავრობის ძალისხმევით, ეკონომიკური საქმიანობის დიდი ნაწილი ჩრდილიდან გამოვიდა. საგადასახადო რეფორმა და საგარეო ინვესტიციების მოზიდვაზე მიმართული პოლიტიკა ასევე საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა.

თუმცა როგორც ოპოზიციის, ისე მმართველი კოალიციის ნაწილის მხრიდან წინააღმდეგობა შეხვდა სახელმწიფო აპარატის რეფორმასა და პრივატიზაციას. გაურკვეველი იყო, თუ როგორ აპირებდა ხელისუფლება სამუშაო ადგილების შენარჩუნებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. კორუფციასთან ბრძოლის წარმატებულ პროცესში წვრილი მეწარმეებისა და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ნაწილი უსაფრთხოების არაფორმალური მექანიზმების მიღმა აღმოჩნდნენ, რაც ასევე უკმაყოფილებას აჩენდა.

საბოლოოდ, ეს დებატებიც სამთავრობო კოალიციის შიგნით გარკვეული კომპრომისის სახით დასრულდა - ეკონომიკურ პოლიტიკას მცირე და საშუალო ბიზნესის ძლიერი კომპონენტი დაემატა. სოციალურ პოლიტიკაში ჩაიდო შედარებით მცირე,

ახალმა ხელისუფლებამ აქტიური დეცენტრალიზაციის პოლიტიკა გაატარა. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებასთან ერთად სახელმწიფო აპარატის დეცენტრალიზაციაც დაიწყო. ზოგიერთი სამინისტროს ფუნქცია რეგიონებში გადაიტანეს: ნაწილი - ქუთაისში, ნაწილი - ბათუმში, ნაწილი კი სოხუმში განათავსეს. ეს ნაბიჯი ერის მშენებლობის პოლიტიკის ნაწილიც იყო. ახალი მთავრობა ცდილობდა, რომ ეთნიკურ უმცირესობებს, მათ შორის აფხაზებს, ახალ სამოქალაქო ქართველ ერში უფრო აქტიური როლი ეთამაშათ.

მაგრამ მყარი სოციალური დაცვის მექანიზმები. ადგილიდან დაიძრა მიწის პრივატიზაციის საკითხიც - პოლიტიკოსები შეთანხმდნენ, რომ ამ პროცესში როგორც ეკონომიკური ეფექტურობის, ისე ადგილობრივი თემების ინტერესების გათვალისწინება მოხდებოდა.

ოლიგარქებთან ურთიერთობა ასევე არ იყო მარტივი. ზოგიერთი მათგანი ახალ ხელისუფლებას უჭერდა მხარს და კულისებში ხან კონკურენციის, ხან ერთმანეთთან შეთანხმების რეჟიმით მოქმედებას ამჯობინებდა. ერთ-ერთი ოლიგარქი ხელისუფლებას ღიად დაუპირისპირდა და ახალი ოპოზიციური კოალიციის შექმნის საქმეს ჩაუდგა სათავეში. ამ საქმეში საკუთარი ტელევიზიაც ეხმარებოდა. თუმცა არც ოპოზიცია იყო ერთგვაროვანი. თანდათანობით ვითარდებოდნენ საზოგადოების წიაღში გაჩენილი ოპოზიციური და სამოქალაქო ჯგუფებიც - პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, სათემო ორგანიზაციები და სხვა.

ახალმა ხელისუფლებამ აქტიური დეცენ-ტრალიზაციის პოლიტიკა გაატარა. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებასთან ერთად სახელმწიფო აპარატის დეცენტრალიზაციაც დაიწყო. ზოგიერთი სამინისტროს ფუნქცია რეგიონებში გადაიტანეს: ნაწილი - ქუთაისში, ნაწილი - ბათუმში, ნაწილი კი სოხუმში განათავსეს. ეს ნაბიჯი ერის მშენებლობის პოლიტიკის ნაწილიც იყო. ახალი მთავრობა ცდილობდა, რომ ეთნიკურ უმცირესობებს, მათ შორის აფხაზებს, ახალ სამოქალაქო ქართველ ერში უფრო აქტიური როლი ეთამაშათ.

საგარეო პოლიტიკაში დასავლეთთან სამო-კავშირო ურთიერთობების გამყარების ფონზე

მთავარ პრობლემად რუსეთთან ურთიერთობა რჩება. კრემლი ქვეყნის შიგნით ბერკეტების დაკარგვითა და ცხინვალის რეგიონის მიმართ ახალი ხელისუფლების აქტიური პოლიტიკით იყო უკმაყოფილო. 2007 წელს, თბილისის მხარდაჭერით, რეგიონში იქმნება ცხინვალის რეგიონის ალტერნატიული ადმინისტრაცია. ოსური სოფლების ნაწილი ამ ადმინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ ექცევა. ჩნდება რეგიონის მშვიდობიანი გზით საქართველოში რეინტეგრაციის რეალური შესაძლებლობა.

ამ პერსპექტივითა და დასავლეთთან დაახ-ლოებით შეშფოთებული რუსეთი შემოჭრის გეგმებს ამუშავებს. ამისთვის ის შესაბამის ინფრასტრუქტურას ამზადებს და სამხედრო სწავლებებსაც ატარებს. ექსპერტები როგორც რუსეთში, ისე საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებში აქტიურად განიხილავენ შემოჭრის შესაძლო სცენარებს. ამ თემაზე ქვეყანაში ფართო დისკუსია გაიმართა, მათ შორის ოპოზიციურ არხებზე. სწორედ პატარა, დამოუკიდებელი ოპოზიციური არხის ეთერში პირველად გავიდა 2008 წლის 1 აგვისტოს როკის გვირაბის მხრიდან რუსული ტანკების შემოსვლის კადრები. ქართული ტელეარხებიდან ამ კადრებმა მსოფლიოს ტელეარხებზეც გადაინაცვლა და პეკინში დაწყებული ოლიმპიადის კადრებიც დაჩრდილა. ქართული და რუსული ძალების მცირემასშტაბიანი შეტაკებების ფონზე შედგა ნატოს წევრი სახელმწიფოების ლიდერების სასწრაფო შეხვედრა, რის შემდეგაც საფრანგეთის პრეზიდენტი, სარკოზი, ჯერ მოსკოვს ეწვია, შემდეგ კი თბილისში ჩამოვიდა. საბრძოლო მოქმედებები შეჩერდა.

2008 წლის აგვისტოში გიორგი კომისარიატში მიდის და ჯარში მოხალისედ ეწერება. თუმცა სანამ ის ჯარში წასვლას მოასწრებდა, სამხედრო მოქმედებები უკვე დამთავრდა. ამ დროს გიორგი სკოლაში ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის ჯერ - არასამთავრობო ორგანიზაციაში, შემდეგ კი საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. თუმცა ამ მოვლენებამდე ორი წლით ადრე ის მიხვდა, რომ ყველაზე ღირებული, რის გაკეთებაც მას ქვეყნისთვის შეეძლო, მასწავლებლობა იყო. თანაც წარმატებული განათლების რეფორმის გამო სკოლა დასაქმების პრესტიჟულ და მატერიალური თვალსაზრისითაც საკმაოდ დაცულ ადგილად იქცა. განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული ამბიციური გეგმის თანახმად, 2020 წლისთვის სკოლები მთლიანად ახალ მოდელზე უნდა გადასულიყვნენ. ეს მოდელი, ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ფინური სკოლის მოდელს ჰგავდა.

2008 წლის სექტემბერში მასწავლებელმა გიორგიმ თავის სადამრიგებლო მეთერთმე-ტეკლასელებს ესე დააწერინა. ამ ესეში მოსწავლეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე - როგორ შეაფასებდით საქართველოს განვითარებას 1992 წლის შემდეგ?

საღამოს გიორგი სამასწავლებლო ოთახში იჯდა. გაკვირვებული და გახარებული, ის ერთ-ერთი მოსწავლის, კლასში ახლად გადმოსული მარის, ესეს კითხულობდა. ესე ასე მთავრდება:

„მართალია, მგონი ბევრი დრო დავკარგეთ, მაგრამ მგონია, რომ ჩვენ მაინც სახელმწიფოდ ვიქეცით. ეს იმიტომაც მოხდა, რომ საჭირო დროს საქართველოს მოქალაქეებმა ხელისუფ-ლებისთვის ბრძოლაზე თქვეს უარი და ქვეყნის მსახურება არჩიეს.“

დავით ხვადაგიანი

ქართველი „ჯეიმს ბონდი“

ნიკოლოზ (კოლია) ნიჟარაძე

„ნიჟარაძე“ - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს გამომავალ მრავალ-ფეროვან პრესაში, მათ შორის გაზეთ „კომუ-ნისტში“, ფრაგმენტულად, მხოლოდ გვარით მოიხსენიებოდა საქართველოს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კონტრდაზვერვის ის ოფიცერი, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩაატარა და რუსეთის კომპარტიის ადგილობრივი სატელიტის - საქართველოს ბოლშევიკური იატაკქვეშეთის ნამდვილი რისხვა იყო. მისი კვალი 1921 წლის საბჭოთა რუსულმა ოკუპაციამ და ემიგრაციამ გააქრო. საუკუნის შემდეგ მისი ვინაობის გაშიფვრა ისტორიის მკვლევრებისათვის რთული ამო-ცანა გახდა, რადგან ამ გავრცელებული გვარის მიღმა არც სახელი, არც თანამდებობა და სხვა მაიდენტიფიცირებელი ცნობები არ ჩანდა, თუმცა ის მნიშვნელოვანი ამბები და მოვლენები, რომლებშიც ბურუსით მოცული ვინმე ნიჟარაძე აქტიურად მონაწილეობდა, ქართული სპეცსამსახურების იმდენად საკვან-ძო და წარმატებული ოპერაციები იყო, რომ ნამცეც-ნამცეც ცნობების შეგროვებისა და კვალის მიყოლამ ამ გმირული და ტრაგიკული თავგადასავლებით სავსე პერსონის ვინაობის აღდგენა შესაძლებელი გახადა.

ზოგიერთი ცნობით, ნიჟარაძე 1918 წლის 10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკური მიტინგის დარბევაში მონაწილეობდა. რეემი-გრანტი, ძველი სოციალ-დემოკრატი პორფირე მეხუზლა თავის მოგონებებში ნიჟარაძეზე წერდა: „ნ. ნიჟარაძემ მონაწილეობა მიიღო კომუნარების ბაღში მიტინგზე „ზალპის“ მიცემის დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში.“ შესაბამისად, დიდი ალბათობით, იგი ამ დროისათვის მივლენილი ჰყავდა გვარდიის მთავარ შტაბს კოორდინაციისთვის ამიერკავკასიის კომისარიატის განსაკუთრებულ რაზმთან, რომელმაც ეს სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარა და ბოლშევიკური გადატრიალების მცდელობა აღკვეთა.

რესპუბლიკის პრესასა და არქივებში ამ ფრაგმენტული გაელვებებით ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ 1918 წელს „ნიჟარაძემ“ ქუთაისში - ბუდუ მდივანი დააპატიმრა, იმავე წელს თბილისში დააპატიმრა - თენგიზ ჟღენტი, რომელიც ალექსანდრეს ბაღთან თავისი ბიძაშვილი ქალის სახლში არალეგალურად ცხოვრობდა. 1918 წელსვე დააპატიმრა თბილ-ისში არალეგალურ სამუშაოზე ჩამოსული აფხაზი ბოლშევიკი ეფრემ ეშბა, რომელიც მეგობარ ქალთან იმალებოდა.

პრესაში აგრეთვე შემორჩენილია საგზაო ინჟინერ ჩხეიძის გაძარცვის ამბავი, რომელსაც

დაბა ფასანაურში საქართველოს სამხედრო გზის მუშების ხელფასები 1 200 000 მანეთი მიჰქონდა და რომელიც 1920 წლის 9 მარტს ყაჩაღებმა გაძარცვეს. საქმის გამოძიება სისხლის სამართლის მილიციის უფროსს, პლატონ ფაჩულიას, დაევალა, რომელსაც სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დამხმარედ ნიჟარაძე გაუგზავნა. ფაჩულიამ და ნიჟარაძემ უმოკლეს დროში გახსნეს დანაშაული, ყველა მძარცველი დააპატიმრეს და გატაცებული ფული ამოიღეს.

ვინ იყო ნიკოლოზ ნიჟარაძე

ნიკოლოზ (კოლია) ბარნაბის ძე ნიჟარაძე დაიბადა 1888 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ მაღლაკში. 1903 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია.

1904-1907 წლებში ქალაქ ბათუმში დ.მ. კანდელაკის აფთიაქში სწავლობდა სააფთიაქო საქმეს და გახდა ფარმაცევტი.

1904 წელს გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში, პირადად იცნობდა ნოე ჟორდანიას და ასრულებდა მის პარტიულ დავალებებს. 1908-1910 წლებში მუშაობდა ქალაქ ფოთში, ე.კ ოკრინსკის აფთიაქში, პროვიზორის თანაშემწედ. 1911-1913 წლებში მუშაობდა გურიაში სადგურ სუფსის აფთიაქის მმართველად.

1914-1915 წლებში მუშაობდა აფთიაქის მმართველად ხაშურში.

1915-1918 წლებში მუშაობდა ქალაქ თბილისში ამიერკავკასიის ქალაქთა კავშირის ლაზარეთის აფთიაქის გამგედ.

საქართველოს სხვადასხვა მხარეში მუშაობისას ნიკოლოზ ნიჟარაძე პარტიულ-პოლიტიკურ საქმიანობასაც განაგრძობდა და რუსეთის თებერვლის რევოლუციის, იმპერიის ნგრევისა და მალე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, როგორც გამოცდილი პოლიტიკური აქტივისტი, ახლად შექმნილ სახალხო გვარდიაში კონტრდაზვერვის უფროსის საპასუხისმგებლო პოსტზე დაინიშნა.

1919 წელი

ნიკოლოზ ნიჟარაძე 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უსაფრთხოების სამსახურების მიერ განხორციელებულ ერთ-ერთ მთავარ კონტრდაზვერვით ოპერაციაში აქტიურად იყო ჩართული.

1919 წლის 7 ნოემბრის ბოლშევიკური აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა რუსეთიდან იმართებოდა, დაწყებამდე დამარცხდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმს (უშიშროების სამსახური) სააჯანყებო არალეგალურ შტაბში, ე.წ გარნიზონის სამხედრო საბჭოში, რომელშიც ბოლშევიკების მხარეს გადასული, თბილისში განლაგებული ქართული არმიის ნაწილების 22 სამხედრო მოსამსახურე იყო ჩართული, მათგან ერთ-ერთი, განსაკუთრებული რაზმის აგენტი, ეფრეიტორი ესტატე ფიჩხაია, ჰყავდა ჩანერგილი. ფიჩხაიამ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციები მიაწოდა განსაკუთრებული რაზმის უფროსს, მელქისედეკ (მექი) კედიას. საიდუმლო შტაბი, რომელსაც საბჭოთა რუსეთიდან არალეგალურად ჩამოსული ქართველი ბოლშევიკი, ილია მგელაძე („ქოროღლი“), ხელმძღვანელობდა,

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, 1919 წლის 12 მარტი.

დამფუძნებელი კრების პრესის ლოჟა, სადაც ჟურნალისტებთან და ერობის წარმომადგენლებთან ერთად ზის ნიკოლოზ ნიჟარაძე.

განსაკუთრებულმა რაზმმა აჯანყების დაწყებამდე ორი დღით ადრე დააპატიმრა ვორონცოვის მოედანზე მდებარე სასტუმრო „ავრორას“ N 15 ოთახში, სადაც სამხედროებისთვის ბოლო დირექტივები უნდა მიეცათ თბილისის გარნიზონის ასაჯანყებლად. მასთან ერთად დააპატიმრეს 22 სამხედრო მოსამსახურე. კონსპირაციის მიზნით კედიამ დააპატიმრა თავისივე აგენტი ესტატე ფიჩხაიაც, რომელიც რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს „სამხილების არარსებობის“ მოტივით.

ფილიპე მახარაძე.

ლევან (ლეო) რუხაძე - საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი.

განთავისუფლებულ ფიჩხაიას დაპატიმრებულმა ბოლშევიკებმა აჯანყების სათადარიგო გეგმა და არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკების „მეორე ეშელონის“ კონტაქტები გამოატანეს, რის შედეგადაც აჯანყების მცდელობა სრული კრახით დასრულდა. ყველა ბოლშევიკი, რომლებიც აჯანყების სამზადისში იყვნენ ჩართული, დააპატიმრეს. მსგავსი სცენარით განვითარდა მოვლენები ახალციხესა და ფოთში, სადაც სააჯანყებო საიდუმლო შტაბები ქართული სპეცსამსახურების აგენტებით აღმოჩნდა სავსე და ყველა ბოლშევიკი ლიდერი აჯანყების დაწყებამდე დააპატიმრეს. ქართველი ბოლშევიკებისა და აჯანყების პოლიტიკურმა ლიდერმა, ფილიპე მახარაძემ, მიმალვა მოახერხა და იატაკქვეშეთში აგრძელებდა არალეგალურ საქმიანობას.

1919 წლის 30 ნოემბერს თბილისში, სოლოლაკში, კოჯრის ქუჩაზე, საინტერესო სცენა გათამაშდა. რტიშევის ქუჩიდან საიდუმლო კრების შემდეგ კონსპირაციულ ბინაში მიმავალი ფილიპე მახარაძე, რომელიც პარიკით და მღვდლის ანაფორით იყო შენიღბული, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კონტრდაზვერვის უფროსმა, ნიკოლოზ ნიჟარაძემ, და გვარდიის კონტრდაზვერვის ოფიცერმა, მიხეილ ჭკადუამ, დააკავეს. ამ ოპერაციას სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი და საინფორმაციო-პოლიტიკური განყოფილების უფროსი ლევან (ლეო) რუხაძე ხელმძღვანელობდა. ფილიპე მახარაძის კონსპირაციული ბინიდან გვარდიის კონტრდაზვერვამ ყველა მნიშვნელოვანი საბუთი ამოიღო, რომლებიც ქართველი ბოლშევიკების მიერ მომზადებული აჯანყების მოსკოვთან პირდაპირ კავშირს და მის მიერ ფინანსურად უზრუნველყოფას უკავშირდებოდა, რაც მილიონობით მანეთს მოიცავდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ნოე რამიშვილმა, მოგვიანებით ვრცელი მოხსენება წარუდგინა დამფუძნებელ კრებას, ქართველ და ბრიტანელ ჟურნალისტებს კი მნიშვნელოვანი ცნობები მიაწოდა მოსკოვიდან ორგანიზებული აჯანყების სამზადისის და მარცხის შესახებ.

1920 წელი

1920 წლის 1 მარტს თბილისში ანდრეევის ქუჩაზე სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის

ბოლშევიკი ტერორისტი პავლე მარდალეიშვილი.

კონტრდაზვერვის უფროსმა, ნიკოლოზ ნიჟარაძემ, და გვარდიის კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა ბოლშევიკი ტერორისტი პავლე მარდალეიშვილი დააკავეს. მარდალეიშვილი 1919 წლის 13 სექტემბრიდან იძებნებოდა მას შემდეგ, რაც ბოლშევიკ არკადი ელბაქიძესთან ერთად თავს დაესხა რუსეთის მოხალისეთა არმიის წარმომადგენელ გენერალ ნიკოლოზ ბარათოვს ვერის დაღმართზე. ელბაქიძე თავდასხმის შემდეგ დევნისას მოკლეს, ხოლო მარდალეიშვილმა მიმალვა შეძლო. 1920 წელს გვარდიელების მიერ დაპატიმრებულ პავლე მარდალეიშვილს დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება უპოვნეს. ნიჟარაძე და მარდალეიშვილი - ორივე წარმოშობით სოფელ მაღლაკიდან იყო და გვარდიის კონტრდაზვერვის უფროსისთვის მისი ნაცნობობა ალბათ დამატებითი საშუალება იყო ტერორისტის სათვალთვალოდ.

ამ ოპერაციით, საქართველოს სპეცსამსახურებმა მტრის - საბჭოთა რუსეთის მიერ დაგეგმილი ომისა და დივერსიის დეტალური ჯაჭვის ფრიად მნიშვნელოვანი რგოლი გაწყვიტეს, რამაც საქართველოს ოკუპაციისაგან გადარჩენაში დიდი წვლილი შეიტანა.

1920 წელს საბჭოთა რუსეთმა სამოქალაქო ომის ფრონტზე გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება შეძლო. 1920 წლის 2 იანვარს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, გიორგი ჩიჩერინმა, საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობებს მიმართა, ერთობლივად ებრძოლათ რუსეთის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ, თუმცა უარი მიიღო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ 1920 წლის 14 იანვარს დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომაზე, რომელიც ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დეფაქტო აღიარებას ეძღვნებოდა, პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთს უარი უთხრა სამხედრო კავშირზე, რადგან ეს საქართველოს ევროპული გზიდან გადახვევა იქნებოდა. რუსეთს უარით უპასუხა აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელთანაც საქართველოს 1919 წლიდან სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულება ჰქონდა რუსეთის მოხალისეთა არმიის აგრესიისგან თავის დასაცავად და ამის გამო აზერბაიჯანი საქართველოსთან შეუთანხმებლად უარს აცხადებდა საბჭოთა რუსეთის მოკავშირეობაზე. 1920 წლის მარტში საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ ჩრდილოეთ კავკასიაში დაამარცხა რუსეთის მოხალისეთა არმიის ნაწილები, რომელთაც გენერალი ივან ერდელი მეთაურობდა და საქართველოს საზღვართან გამოდევნა. საქართველოს მთავრობამ მოხალისეთა არმიის ნაწილები საერთაშორისოდ დადგენილი წესების თანახმად, მხოლოდ საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის იარაღის ჩაბარების შემდეგ შემოუშვა და ისე გაატარა საზღვარგარეთ. საქართველოსა და აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკებს კვლავ საბჭოთა რუსეთი გაუმეზობლდა.

1920 წლის 28 აპრილს საბჭოთა რუსეთმა უკვე ამიერკავკასიაში ინტერვენცია დაიწყო. მდინარე სამურის სასაზღვრო ზონიდან წითელი არმიის ნაწილებმა ბაქოს მიმართულებით დაიწყეს შეტევა. აზერბაიჯანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მისი არმიის დიდი ნაწილი, დაახლოებით 20 000 ჯარისკაცი, განჯა-ყარაბაღის მიმართულებით იყო გადასროლილი, სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ არმიის შემოჭრის მოსაგერიებლად, რომელსაც გენერალი „დრო“ - დრასტამატ კანაიანი მეთაურობდა. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სასაზღვრო ბრძოლებში აზერბაიჯანის მთავრობამ მხოლოდ 3 000 ჯარისკაცის გაგზავნა შეძლო, დაახლოებით ამდენივე ჯარისკაცი იყო განლაგებული ბაქოში. აზერბაიჯანის არმიაში ბევრი მაღალი რანგის ქართველი

ოფიცერი მსახურობდა და საქართველოს მთავრობა ინფორმირებული იყო აზერბაიჯანის მძიმე მდგომარეობის შესახებ, სამოკავშირეო ხელშეკრულების ფარგლებში ქართული არმიის ნაწილები გაემზადნენ ბაქოს მიმართულებით წასასვლელად, თუმცა მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რაც ბაქოში ბოლშევიკების აჯანყებამაც განაპირობა, ფაქტობრივად 1 მაისს ბაქო სერიოზული ბრძოლების გარეშე დაეცა და საბჭოთა რუსეთის წითელი არმია რამდენიმე დღის შემდეგ უკვე საქართველოს საზღვრებთან იყო.

ქართულმა არმიამ და სახალხო გვარდიამ საბჭოთა რუსეთის თავდასხმის მოგერიება შეძლეს და კონტრშეტევაზე გადავიდნენ, თუმცა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე საბრძოლო მოქმედებები უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ ბრძოლები არ შეწყვეტილა. საქართველოს მთავრობის ემისრებმა და აზერბაიჯანის არმიაში მყოფმა ქართველმა ოფიცრებმა შეძლეს განჯაში მყოფი აზერბაიჯანის არმიის აჯანყება, ზაქათალის ოლქშიც დაიწყო აჯანყება, რომელსაც სავაჭრო აგენტის საფარქვეშ მოქმედი ქართველი სამხედრო მზვერავი, მაიორი ილია ებრალიძე, ხელმძღვანელობდა, და რომელმაც ქართულ შეიარაღებულ ძალებს გადაჯგუფების საშუალება მისცა. შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, სახალხო გვარდიის ექვსი ბატალიონით და არტილერიით, რომელთაც გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი მეთაურობდა ზურგში შემოჭრილი „სამხრეთ ოსეთის პარტიზანული ბრიგადის“ საქართველოს საზღვრებიდან განდევნა შეძლო.

ერთობა

№ 117

დროებითი ზავი არ ნიშნავს შერიგებას,

არ ნიშნავს მკვიდრ მშვიდობიანობის დამყარებას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „ერთობა“ – 1920 წლის 28 მაისი.

საქართველო გადარჩა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობას საბჭოთა რუსეთის შორსმიმავალ გეგმებზე წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია. საბჭოთა რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიის დაკავების შემდეგ ერთი დარტყმით გეგმავდა საქართველოს და აზერბაიჯანის ოკუპაციას, რისთვისაც მთელი სამხრეთ კავკასიის მასშტაბით ატარებდა წინასწარ სამუშაოებს, მათ შორის გეგმავდა თბილისში სამხედრო სკოლაზე თავდასხმას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დატყვევებას.

სწორედ ამ პრევენციული ოპერაციების ფარგლებში, 1920 წლის 1 მარტს, ნიკოლოზ ნიჟარაძემ პავლე მარდალეიშვილი ტერორისტული აქტის მზადებისას თბილისში, მისსავე კონსპირაციულ ბინაში, გაანეიტრალა, სადაც ასაფეთქებელ ნივთიერებებს ინახავდა და არალეგალურად, კირილე ჟორჟოლიანის ყალბი პასპორტით ცხოვრობდა. მარდალეიშვილის გეგმა შემდეგი იყო: როდესაც საბჭოთა რუსეთის წითელი არმია აზერბაიჯანს დაიკავებდა და შემდეგ საქართველოს დედაქალაქ თბილისს შეუტევდა, მას და მის მიერ შექმნილ ტერორისტულ ჯგუფს, რომელშიც მაღლაკელი ბოლშევიკები შედიოდნენ, სადგურ რიონის სარკინიგზო ხიდი უნდა აეფეთქებინათ და ქართული შეიარაღებული ძალებისთვის დასავლეთ საქართველოსა და საზღვაო პორტებთან კავშირი გაეწყვიტათ.

ბოლშევიკი პავლე მარდალეიშვილი მეტეხის ციხეში მხოლოდ ორი თვე იჯდა, იგი 1920 წლის 14 მაისს გათავისუფლდა, 7 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე, სხვა პატიმარ ბოლშევიკებთან ერთად, რომლებიც ციხეში

1919 წლის 7 ნოემბრის ჩაშლილი აჯანყების შემდეგ იხდიდნენ სასჯელს, და ლეგალიზებული საქართველოს კომუნისტური პარტიის გაზეთ „კომუნისტში“ დაიწყო მუშაობა.

საბჭოთა რუსეთის პროპაგანდის რუპორ გაზეთ „კომუნისტს“, რომელიც პირველად 1920 წლის 3 ივნისს გამოვიდა, დიდხანს არ უარსებია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შსს-მ ის მე-10 ნომრის გამოსვლის შემდეგ დახურა, „სამხრეთ ოსეთის აჯანყების“ მხარდაჭერის გამოცხადების გამო, რაც, სინამდვილეში, საბჭოთა რუსეთთან ომის პირობებში ქართული შეიარაღებული ძალების ზურგში „სამხრეთ ოსეთის პარტიზანული ბრიგადის“ რეიდი იყო ვლადიკავკაზიდან, რომელიც წიანსწარ იყო დაგეგმილი მოსკოვიდან.

გაზეთი „კომუნისტის“ ნაცვლად, 1920 წლის 18 ივნისს გამოსული „საქართველოს კომუნისტის“ პირველივე ნომერი დაწვრილებით მოუთხრობდა მკითხველს, თუ როგორ დახურა გაზეთი „კომუნისტი“ საქართველოს მთავრობამ.

14 ივნისს, ორშაბათს, დილის 11 საათიდან, სოლოლაკში მდებარე შენობას, სადაც განთავსებული იყო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია, აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საგუბერნიო კომიტეტის ბიურო, შსს განსაკუთრებული რაზმის თანამშრომლებმა ალყა შემოარტყეს და ყველა შესასვლელ-გასასვლელი ჩაკეტეს. შიგნით ყველას ატარებდნენ, გარეთ კი არავის უშვებდნენ. „კომუნისტის“ რედაქტორის, თუმანოვის, კითხვაზე, თუ რას ნიშნავდა ეს მოულოდნელი თავდასხმა, პასუხი იყო: კედიასგან გვაქვს ნაბრძანებიო. ერთი საათის შემდეგ გამოჩნდა მექი კედია და რედაქტორს გენერალ-გუბერნატორ სულაქველიძის ორდერი წარუდგინა, რომლის საფუძველზეც კედიას ნაბრძანები ჰქონდა, გაეჩხრიკა „კომუნისტის“ რედაქცია, სტამბა და შემდეგ ორივე დაეხურა. ამასთანავე, დაკავებული „კომუნისტის“ რედაქტორი და თანამშრომლები განსაკუთრებულ რაზმში გადაეყვანა. სანამ კედია „კომუნისტის“ რედაქციას დახურავდა, მანამ ის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კონტრდაზვერვის უფროს ნიკოლოზ ნიჟარაძესთან ერთად მივიდა „კომუნისტის“ სტამბაში, სტამბა დახურეს და დაკავებული თანამშრომლები შსს განსაკუთრებულ რაზმში გადაიყვანეს. პატიმრები მალე გაათავისუფლეს, მაგრამ, ვინც საქართველოს მოქალაქე არ იყო, მაშინვე გააძევეს საბჭოთა რუსეთის კონტროლქვეშ მყოფ ოკუპირებულ აზერბაიჯანში. 1920 წლის 23 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ წყვეტდნენ საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ არალეგალურ სამუშაოს, მათ სამი დღის განმავლობაში უნდა დაეტოვებინათ საქართველოს საზღვრები, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ დააპატიმრებდნენ. ბოლშევიკმა პავლე მარდალეიშვილმა არ შეასრულა მოთხოვნა, იგი კვლავ დააპატიმრა ნიჟარაძემ და მეტეხის ციხეში დააბრუნა.

1921 წელი

1920 წლის შემოდგომაზე საქართველოს მთავრობისთვის ცნობილი გახდა საბჭოთა რუსეთის გეგმები, საქართველოს ელჩმა საბჭოთა აზერბაიჯანში, გაბრიელ ხუნდაძემ, დიპლომატიური მატარებლით პირადად ჩამოუტანა ნოე ჟორდანიას მე-11 არმიის საბრძოლო გეგმა, რომელიც ბაქოში ქართველმა მზვერავებმა ჩაიგდეს ხელში. საბჭოთა რუსეთის თავდასხმის მოლოდინში მყოფმა საქართველოს მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა და წინასწარი ზომების მიღება დაიწყო, მათ შორის 1920 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე დაპატიმრებული 950 ბოლშევიკის ზურგში, ქუთაისის საგუბერნიო ციხეში, ევაკუაცია. ბოლშევიკი პავლე მარდალეიშვილი, რომელიც თბილისში, მეტეხის ციხეში, 1920 წლის ივნისიდან იჯდა, 1921 წლის იანვრის დასაწყისში ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გადაიყვანეს. 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, 25 თებერვალს, საქართველოს დედაქალაქი თბილისი დაეცა.

დედაქალაქის დატოვებამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისიდან ქუთაისის ციხეში გადაგზავნეს საქართველოს სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის დაპატიმრებული

ოფიცერი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ ივანოვი, რომელიც საბჭოთა რუსეთის დაზვერვის სასარგებლოდ მუშაობდა. 1921 წლის 10 მარტს საქართველოს მთავრობამ და შეიარაღებულმა ძალებმა უკან დაიხიეს ბათუმის მიმართულებით,

პოლკოვნიკი ნიკოლოზ ივანოვი

ევაკუაციამდე ბათუმის ციხეში გადაიყვანეს ქუთაისის საგუბერნიო ციხის ბოლშევიკი პატიმრების ნაწილი. ბოლშევიკმა პატიმრებმა შეიტყვეს წითელი არმიის მოახლოვება და ბათუმში გაგზავნაზე ცივი უარი განაცხადეს, რის გამოც მათი ძალით გადაყვანა გახდა საჭირო. ქუთაისის ციხის პატიმრების ევაკუაცია ზურგის უფროსს, ვლადიმერ სულაქველიძეს დაევალა, რომელსაც საომარ სიტუაციაში ემორჩილებოდა განსაკუთრებული რაზმი და სახალხო მილიციის ყველა დანაყოფი.

8 მარტს, შუადღეს, ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მივიდნენ ზურგის უფროსი ვლადიმერ სულაქველიძე, ქუთაისის სახალხო მილიციის უფროსი სილიბისტრო მაღნარაძე, მისი მოადგილე ვალიკო ფიჩხაია, სისხლის სამართლის მილიციის უფროსი პლატონ ფაჩულია, ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ამბერკი ადეიშვილი და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კონტრდაზვერვის უფროსი ნიკოლოზ ნიჟარაძე, განსაკუთრებული რაზმის და სახალხო მილიციის თანამშრომლების თანხლებით, გაჯიუტებულ ბოლშევიკ პატიმრებს სასტიკად სცემეს, სარკინიგზო ეშელონებზე ძალის გამოყენებით აიყვანეს და ბათუმის ციხეში გადაიყვანეს. 9 მარტს, ღამით, ვალოდია სულაქველიძემ თანმხლებ პირებთან ერთად ქუთაისის ციხიდან თვითნებურად გამოიყვანა პავლე მარდალეიშვილი, ნიკოლოზ ივანოვი, სისხლის სამართლის დამნაშავე დავით უკლება, საღორიის ტყეში სამივე დახოცა, გვამებს ბენზინი გადაასხა და დაწვა.

1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში წავიდა, მათ გაყვნენ ის სამხედროები თუ უშიშროების თანამშრომლები, რომლებსაც რუსებისგან - მე-11 არმიის особый отдел-ისგან, რომელსაც სისასტიკით განთქმული მატროსი ვასილ პანკრატოვი ხელმძღვანელობდა, მყისიერი სასიკვდილო საფრთხე ელოდათ. მათ შორის იყო გვარდიის კონტრდაზვერვის უფროსი ნიკოლოზ ნიჟარაძე. ისე როგორც ბევრმა ემიგრანტმა, მანაც ოჯახი - ცოლი და მცირეწლოვანი შვილი - სამშობლოში დატოვა, იმ იმედით, რომ რუსული ოკუპაციისგან სამშობლოს მალე გაათავისუფლებდნენ და შინ დაბრუნდებოდნენ.

ემიგრაცია

ნიკოლოზ ნიჟარაძე საფრანგეთში, პარიზში, დაფუძნდა და 1920-1930-იანი წლების განმავლობაში, ქართველი პოლიტიკური ემიგრანტის ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. პარალელურად, სავარაუდოდ, სხვა კოლეგების მსგავსად, იგი კვლავინდებურად, არაფორმალურად განაგრძობდა ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ლეგიტიმური მთავრობის სპეცდავალებების შესრულებას.

1942 წლის აგვისტოში პარიზში, ლევილში, მყოფ ემიგრანტ ნიკოლოზ ნიჟარაძეს გერმანულ ტყვეთა ბანაკიდან შვილის, აკაკი ნიჟარაძის, წერილი მიუვიდა. აკაკი ნიჟარაძე მამას ატყობინებდა, რომ 1942 წლის მაისში, ქერჩის კატასტროფის დროს, ტყვედ ჩავარდა და დახმარებას სთხოვდა. ნიკოლოზი სასწრაფოდ შეეხმიანა ბერლინში ქართული სამოკავშირეო შტაბის ხელმძღვანელს - მიხეილ კედიას, განსაკუთრებული რაზმის უფროსის, მექი კედიას, შვილს, რომელიც დამოუკიდებლობის დროს განსაკუთრებულ რაზმში მუშაობდა, ოკუპაციის შემდეგ კი ემიგრაციაში იყო, სადაც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი დაამთავრდა და მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობდა საქართველოს რუსეთისგან გათავისუფლების მოტივით. მიხეილ კედიამ აკაკი საკონცენტრაციო ბანაკიდან გაათავისუფლებინა და იგი მამასთან, პარიზში, გერ-

1921 წლის მარტში ემიგრაციაში წასული სამხედროების და გვარდიელების სიის ფრაგმენტი - საქართველოს ეროვნული არქივი.

მანული დაზვერვის ქართველმა ოფიცერმა - სინჯიკაშვილმა ჩაიყვანა.

აკაკი ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე დაიბადა 1909 წელს ქალაქ ფოთში. თბილისში დაამთავრა სკოლა და მიიღო უმაღლესი განათლება. იყო ჟურნალისტი, მუშაობდა რაიონული გაზეთის რედაქტორად. 1929 წელს მისით საბჭოთა უშიშროების ორგანოები დაინტერესდნენ. 1942 წელს გაიწვიეს ომში, იყო კაპიტანი, 509-ე ცალკეული საზენიტო საარტილერიო დივიზიონის პოლიტხელი და კლუბის გამგე. 1942 წლის 15 მაისს ტყვედ ჩავარდა ქერჩში. გერმანელებმა გადააგზავნეს რუმინეთში გალაცის მე-3 ბანაკში.

აკაკი პარიზში ყოფნის დროს დაუახლოვდა მიხეილ კედიას, გერმანული დაზვერვის ქართველ ოფიცერ გივი გაბლიანს და ემიგრანტულ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ჩაერთო. მან მოახერხა, საიდუმლოდ დაჰკავშირებოდა საბჭოთა დაზვერვას და ორმაგი თამაში გააჩაღა.

საფრანგეთის ნაცისტური ოკუპაციისგან გათავისუფლების შემდეგ აკაკიმ პარიზში, საბჭოთა საკონსულოში, დაიწყო მუშაობა, სადაც საქართველოდან გაგზავნილ საბჭოთა აგენტებთან - ილია თავაძესა და პეტრე შარიასთან თანამშრომლობდა, რომლებთაც დავალებული ჰქონდათ ემიგრანტების დარწმუნება, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

1946 წელს ილია თავაძე მოსკოვში გამოიძახეს. აკაკი ნიჟარაძემ გადაწყვიტა, თავაძეს გაჰყოლოდა, მიუხედავად იმისა, რომ მამა არწმუნებდა, არ წასულიყო, რადგან ყოფილ სამხედრო ტყვეს მძიმე ბედი ელოდა სტალინისა და ბერიას სასტიკი პოლიტიკის გამო. აკაკიმ არ დაუჯერა მამას და მოსკოვში წავიდა იმ იმედით, რომ ფილტრაციის შემდეგ კვლავ დაბრუნდებოდა თავაძესთან ერთად პარიზში სამუშაოდ, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მას უკან დაბრუნების ნება აღარ დართეს. ამის შემდეგ აკაკი თბილისში ჩამოვიდა, დედასა და ცოლ-შვილთან, რომლებმაც სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტების პირველი ნაკადისგან იცოდნენ, რომ აკაკი ცოცხალი იყო და მამასთან ცხოვრობდა, პარიზში.

სამშობლოში ჩამოსულმა აკაკი ნიჟარაძემ მამას არაერთი წერილი მისწერა, რომ შინ დაბრუნებულიყო და თვითონ უდგებოდა ხელშეუხებლობის გარანტად. იგი მოსკოვშიც კი ჩავიდა სპეციალურად, რომ მამას ტელეფონით დალაპარაკებოდა. გამოცდილი მზვერავი ხვდებოდა საქმის ვითარებას, მაგრამ მიუხედავად იმისა, იცოდა, რა ბედიც შეიძლებოდა სწეოდა, მძიმე მდგომარეობაში მყოფი შვილის გადარჩენის მოტივით 60 წელს მიღწეულმა ნიკოლოზ ნიჟარაძემ 1948 წლის აპრილში სსრკ-ში დაბრუნების ნებართვა მიიღო და მოსკოვში გაემგზავრა.

მოსკოვში მამას აკაკი დახვდა. მან ნიკოლოზი სავახშმოდ რესტორან „არაგვში“ წაიყვანა, სადაც თითქოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, სინამდვილეში კი საბჭოთა საგარეო დაზვერვის მაღალჩინოსნები - გუსაკოვი, ნაცვლიშვილი და მარტიროსოვი გააცნო. დიპლომატებად შენიღბულმა საბჭოთა მზვერავებმა სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება და ანტისაბჭოთა საქმიანობაზე ხელის აღება მოუწონეს ხანში შესულ მოწინააღმდეგეს, რომელიც მათ 44 წლის განმავლობაში ებრძოდა. ნიკოლოზი თბილისში ჩამოვიდა, 27 წლის უნახავ მეუღლეს დაუბრუნდა და თავისი პირ-

ველი პროფესიით დაიწყო მუშაობა ქალაქის სააფთიაქო სამმართველოში.

როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა უშიშროების ორგანოები მუდმივად აკონტროლებდნენ მამა-შვილ ნიჟარაძეებს და 1950 წლის 27 იანვარს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველი განყოფილების (დაზვერვა) უფროსმა, პოლკოვნიკმა მენაბდემ, ნიკოლოზ ნიჟარაძე აიძულა, საიდუმლო თანამშრომლობაზე დასთანხმებოდა. მას ოპერატიული ფსევდონიმი - „თევზაძე“ მიანიჭეს და მალე ბათუმში გაგზავნეს უშიშროების ორგანოებისთვის ოპერატიული თვალსაზრისით საინტერესო პერსონის დასამუშავებლად. ნიკოლოზ ნიჟარაძემ ჩეკისტების დავალება არ შეასრულა, რასაც 1950 წლის 1 მაისს მისი დაპატიმრება მოჰყვა. დააპატიმრეს მისი შვილი აკაკი ნიჟარაძეც. მოგვიანებით, 1950 წლის 9 ოქტომბერს, პოლკოვნიკმა მენაბდემ სრულიად საიდუმლო გრიფით მოახსენა საქართველოს სსრ უშიშროების მინისტრ ნიკოლოზ რუხაძეს:

„...გადაბიჰების შემდეგ „თევზაძე“ მიმაჰთუღი იქნა ჰეემიგჰანტების გასაშუქებღად, მათ შოჰის მენშევიკუჰი საზღვაჰგაჰეთის ბიუჰოს და უცხო ქვეყნების დაზვეჰვის აგენტების გამოსავღენაღ. ჩვენს ოჰგანოებთან თანამშჰომღობის პეჰიოღში „თევზაძეს“ საყუჰაღღებო აჰაფეჰი მოუცია მიუხეღავაღ იმისა, ჰომ ფღობს ძაღზეღ ფაჰთო კავშიჰებს ჰეემიგჰანტთა შოჰის, ისევე ჰოგოჰც ქაჰთუღი ინტეღიგენციის ნაწიღში, ჰომღებიც ჩვენი ოჰგანოების ოპეჰატიუღ ინტეჰესს წაჰმოაღგენენ. იყო ჰა მაჰშჰუტიჰებუღი სპეციაღუჰი დავაღებით ქაღაქ ბათუმში ძაღზეღ მნიშვნე�eოვან დასამუშავებეღ ობიექტთან, გამოთვჰა, ზეღმეტები იღაყბა, დამუშავების ობიექტმა იეჭვა და დავაღება ჩაიშაღა. 1950 წღის 1 მაისს „თევზაძე“ დაპატიმჰებუღ იქნა და წაჰეღგინა სისხღის სამაჰთღის ბჰაღღება.“

ნიკოლოზ ნიჟარაძის დაკითხვას თვეების განმავლობაში პირადად უძღვებოდა საქართველოს სსრ უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძე. რუხაძემ დაკითხვის დროს ნიკოლოზ ნიჟარაძეს დააპირისპირა მისი შვილი აკაკი, რომელმაც მამას სთხოვა, შეესრულებინა ყველაფერი, რასაც მისგან უშიშროების მინისტრი მოითხოვდა. აკაკიმ აღიარა გერმანელებთან თანამშრომლობა,

ნიკოლოზ (კოლია) ნიჟარაძე. ფოტო გადაღებულია დაპატიმრებისას 1950 წლის 1 მაისს. შსს აკადემიის არქივი (ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივი)

აკაკი ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე - ფოტო გადაღებულია დაპატიმრებისას 1950 წლის მაისი.

ნიკოლოზ (კოლია) ნიჟარაძე. 1949 წელი. საპასპორტო ფოტო, რომლის მიხედვითაც გახდა შესაძლებელი მისი ამოცნობა 1919 წლის 12 მარტის დამფუძნებელი კრების სხდომაზე.

ასევე აღიარა, რომ ომის დამთავრების შემდეგ გადაიბირეს ქართველმა ემიგრანტებმა და მამასაც მოუწოდებდა, ეღიარებინა ყველაფერი, რაც მათ ბრალს შეამსუბუქებდა, თუმცა ნიკოლოზ ნიჟარაძე ყველა ბრალდებას უარყოფდა. რუხაძის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა საქართველოს დევნილი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, მისი გეგმები, რა დავალებით გამოგზავნა მამა-შვილი ნიჟარაძეები და სხვა რეემიგრანტები, რომლებიც ომის შემდეგ დაბრუნდნენ სამშობლოში საბჭოთა რეჟიმის აგიტაციის შედეგად. მათ შორის იყო პოლიკარპე რუხაძე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრის, ლეო რუხაძის, ძმა, რომელიც ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ დააპატიმრეს ნიჟარა-ძეებთან ერთად.

რუხაძე სისტემატურად უმეორებდა პატიმარ ნიკოლოზ ნიჟარაძეს და მოითხოვდა მისგან, დეტალურად მოეყოლა - რა კავშირები დაამყარა ომის შემდეგ ნოე ჟორდანიამ ბრიტანელებსა და ამერიკელებთან. განსაკუთრებით საინტერესოა დაკითხვის ოქმში დაფიქსირებული მისი მუქარანარევი და მრავლისმეტყველი მიმარ-თვა ნიჟარაძისადმი - ***„თუ ფიქრობთ, რომ ამეჩიკელები... ტყუიღად ფიქრობთ!“***

რამდენიმეთვიანი დაკითხვების, ფსიქოლო-გიური ზეწოლისა და ფიზიკური წამების შემდეგ ნიკოლოზ ნიჟარაძემ აღიარა, რომ სამშობლოში ლეგალურად დაბრუნების წინ მას ნოე ჟორდანიამ დაავალა, აგიტაცია ეწარმოებინა მისი პიროვნების შესახებ, როგორც ნაცი-ონალური ლიდერის და ქართველი ხალხის კანონიერი წარმომადგენელის, და დაერწ-მუნებინა ადამიანები, მალე ამერიკის შეერ-თებული შტატების პირდაპირი დახმარებით აღდგებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საქართველოს ლეგიტიმური, ეროვნული ხელისუფლება დაუბრუნდებოდა.

ნიკოლოზ ნიჟარაძესა და უშიშროების მინისტრ რუხაძეს შორის კითხვა-პასუხისას საინტერესო ფაქტია, რომ რუხაძე ძირითადად დაინტერესებულია ამერიკელების და ნოე ჟორდანიას გეგმებით. მინისტრი რუხაძე მცირე ყურადღებას უთმობს ნიჟარაძის წარსულს და მისი საინფორმაციო ბაზა, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მხოლოდ იმ ამბებით შემოიფარგლება წარსულზე „მენშევიკების ხელისუფლების დროს მის სამსახურზე,“ რაც ნიჟარაძემ თავად აღიარა და, რა თქმა უნდა, ისიც მხოლოდ უმცირესი დეტალები. ნიჟარაძის მრავალტომიან საქმეში საერთოდ არ ჩანს ბოლშევიკების დარბევა ალექსანდრეს ბაღში, 1919 წლის 7 ნოემბრის ჩაშლილი ბოლშევიკური აჯანყება თუ ივანოვ-მარდალეიშვილის საქმე. ნიკოლოზ რუხაძე, რომელიც 1905 წელს იყო დაბადებული და ჩეკისტურ ორგანოებში სამსახური 1927 წელს დაიწყო, ისევე როგორც მისი თაობის აღზევებული ჩეკისტები, თითქმის საერთოდ არ ფლობს დეტალურ ინფორმაციას 1917-1921 წლების საიდუმლო ბრძოლებზე ქართულ-რუსულ სპეცსამსახურებს შორის. ქართველი ბოლშევიკების და ჩეკისტების ის თაობა, რომელიც თვითონ იყო ჩართული ამ დაუნდობელ ბრძოლაში, 1920-იანი წლების მეორე ნახევრის და 1937-1938 წლების დიდ ტერორსა და მასობრივ რეპრესიებს შეეწირა, რამაც წარსულზე სრულყოფილი ცოდნა და გამოცდილება გააქრო.

მთელი ძიების განმავლობაში ჩეკისტები ცდილობდნენ, ნიჟარაძის წარსულის შესახებ ინფორმაცია მოეპოვებინათ სახელმწიფო არქივებში, თუმცა მათ მხოლოდ იმის მოძებნა შეძლეს, რომ ნიკოლოზ ნიჟარაძე 1916 წელს „მენშევიკური პარტიის“ წევრად ირიცხებოდა, ასევე მოიძიეს ინფორმაცია მეფის არმიის ოფიცერ ვინმე ნიკოლოზ ნიჟარაძეზე, რომელსაც მათ პატიმართან, რა თქმა უნდა, არაფერი აკავშირებდა. ქართველმა ჩეკისტებმა დახმარებისთვის „ცენტრს“ - მოსკოვს მიმართეს, საიდანაც მოგვიანებით, 1956 წლის 11 ოქტომბერს, ერთადერთი, თუმცა ძალზე საინტერესო დოკუმენტი მიიღეს. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მეორე განყოფილება (კონტრდაზვერვა) ქვემდგომებს ატყობინებდა, რომ სუკ-ის პირველი მთავარი სამმართველოს (დაზვერვა) მასალებში მოიპოვებოდა 1924 წლის 9 იანვარს ვარშავიდან შემოსული აგენტურული შეტყობინების (წყარო უცნობია) ასლი შემდეგი შინაარსით;

„...1923 წლის 22 დეკემბერს ნიკოლოზ ნიჟარაძე და გიორგი სულაძე პოლონეთის გენშტაბის მეორე განყოფილების მიერ მიცემული დოკუმენტებით

გამოემგზავრნენ საქართველოში სადგურ სნიატინის, ბუქარესტის, კონსტანცის და კონსტანინოპოლის გავლით სამობილიზაციო გეგმის მოსაპოვებლად. მეორე განყოფილებამ დოკუმენტები გასცა ვარშავაში საფრანგეთის მისიის ოფიცრის განკარგულებით, რომლის აგენტადაც იხიცხება ნიჟარაძე. კონსტანციდან ისინი ფოთში ჩამოვიდნენ საზოგადოება „ლლოიდ ტრესტინოს“ გემით... ფოთში ჩამოსული ნიჟარაძე და სულაძე გაემგზავრნენ ნავმისადგომ ნაბადაში, სადაც გემები ქვანახშირით იტვირთებიან. იქ ჯიხურში იკითხეს მიღოხავა, მაგრამ დარაჯმა უპასუხათ, რომ იგი ამწუთას აქ არ იყო. ცოტა გავლის შემდეგ ნიჟარაძე მიუახლოვდა ერთ მუშას და მიმართა სიტყვებით „ადიუ მადამ“ რის შემდეგაც სამივენი წავიდნენ ბარაკში. იქ ცეცხლთან შეიკრიბა ფოთის მთელი იატაკქვეშა კომიტეტი ერთი ადამიანის გამოკლებით (რომლის გვარი გაუჩკვეველია) რომელიც იმალება საბჭოთა ხელისუფლების დევნისგან. კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი ძმები მიღოხავები არიან. რამდენადაც შევძელით დადგენა კომიტეტს გემზე ნაცნობები ჰყავს და გზავნის საზღვარგარეთ ოფიცრებს და ინფორმაციას. ნიჟარაძემ თქვა, რომ ის თავის ამხანაგთან ერთად ჩამოვიდა საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისარიატის (თბილისი) სამობილიზაციო გეგმისთვის. მას უპასუხეს რომ სამხედრო-საზღვაო კომისარიატის სამობილიზაციო განყოფილების უფროსმა გეგმა უკანვე წაიღო, რადგან ჩაღაც უნდა დაემატებინა, რის შემდეგაც მისგან გეგმას გაქცეულ ამხანაგთან ერთად ფოთში მიღოხავა ჩამოიტანს. მეორე დღეს ნიჟარაძე და სულაძე გაემგზავრნენ ქუთაისში და გაჩერდნენ სამთო ქუჩაზე სახლში 17. ნიჟარაძის ძმასთან. იქ ნიჟარაძემ ნახა თავისი მამა, სულაძემ კი ძმა.

...

ჩვენს მასალებში ასევე არის ასევე ვარშავაში ქართული კომიტეტის თავმჯდომარის სალაყაიას წერილიდან მენშევიკების ლიდერის ნოე ჟორდანიასადმი 1924 წლისა, რომელშიც ნაწილობრივ ნათქვამია: „...საქართველოში სამობილიზაციო გეგმის მოსაპოვებლად გაგზავნილმა მოქალაქე ნიჟარაძემ ჩვენგან მიიღო 31 ამერიკული დოლარი...“ რაიმე სხვა მონაცემები ნიჟარაძის ჯაშუშურ-სადაზვერვო საქმიანობაზე და უცხოეთის დაზვერვის აგენტურისადმი მიკუთვნებულობაზე არ გაგვაჩნია.



128

„УТВЕРЖДАЮ"
„ — " мая 195 0 г.
НАЧ. СЛЕДСТВЕННОГО ОТДЕЛА
МГБ ГССР - МАЙОР
(ЗУБКОВА)

ДОКОЗЕНИЛЕБА
ПОСТАНОВЛЕНИЕ

(ДАДГЕНИЛЕБА ТАНАДГОМА — о представлении обвинения)

Тбилиси „ 30 „ мая „ 14 „

Заместитель Начальника Следственного отдела МГБ Грузинской ССР лейтенант ЧАВЧАНИДЗЕ

№ 1816

НИЖАРАДЗЕ Николай Парфенович

на протяжении ряда лет занимался активной контрреволюционной деятельностью - с 1904 года до марта 1948 года являлся активным членом меньшевистской партии и в период меньшевистского правительства в Грузии служил в контрразведывательных органах меньшевистской гвардии, участвовал в преследовании и арестах большевиков.

В 1921 году вместе с меньшевистским правительством он эмигрировал за границу и провел во Франции до марта 1948 года принимал активное участие в антисоветской работе грузинской антисоветской эмиграции. Весной 1948 года, перед репатриацией в Грузию, от лидера грузинских меньшевиков Ное ЖОРДАНИЯ получил специальное задание заняться нелегальной антисоветской работой, по прибытии куда приступил к выполнению этого задания.

დადგენილება ნიკოლოზ ნიჟარაძის საქმიდან. შსს აკადემიის არქივი (ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივი)

სუკ-ის პირველი მთავარი სამმართველოს ოპერატიული აღრიცხვის განყოფილების უფროსის მოადგილე; პოდპოლკოვნიკი ზაიცევი

მეორე განყოფილების უფროსი; სოკოლოვი“

ორთაქალის ციხის საავადმყოფოში მყოფმა, მრავალთვიანი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით დაუძლურებულმა ნიკოლოზ ნიჟარაძემ 1951 წლის 25 აპრილს იოსებ სტალინს სასჯელის შემსუბუქების თხოვნით მისწერა წერილი, რომელიც ქართულ ენაზე იყო დაწერილი, რა თქმა უნდა, წერილს შედეგი არ მოჰყოლია.

ნიკოლოზ ნიჟარაძეს 1951 წლის 28 აპრილს 10 წლით გადასახლება მიუსაჯეს „ოზერლაგში“ (Озерный исправительно-трудовой лагерь) მისი გადასახლების განაჩენში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგაც თავი არ დაუნებებია ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის.

გადაასახლეს მისი შვილი, აკაკი ნიჟარაძეც.

ნიკოლოზ ნიჟარაძის მრავალტომიან საქმეში ჩანს, რომ იგი რამდენჯერმე დააბრუნეს თბილისში მისივე საჩივრების განხილვის საფუძველზე და, როგორც ჩანს, ჯანმრთელობის

მძიმე მდგომარეობის გამო თბილისში ყოფნისას ორთაჭალის ციხის საავადმყოფოში ჰყავდათ მოთავსებული, თუმცა მისი საჩივრები უარყოფილი იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურის მიერ. ნიკოლოზ ნიჟარაძის საქმეში ბოლო ჩანაწერი 1956 წლის 14 ნოემბრით თარიღდება, როდესაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურამ მისი საჩივარი განიხილა და არ დააკმაყოფილა. ნიკოლოზ ნიჟარაძე გადასახლებაში გარდაიცვალა და მისი კვალი დაიკარგა. მისი გარდაცვალების შესახებ დაუზუსტებელ ცნობებს შეიცავს ზემოხსენებული რეემიგრანტი პორფილე მეხუზლას მოგონებები.

1954 წელს ქმარ-შვილზე დარდით ნაადრევად გარდაიცვალა ნიკოლოზ ნიჟარაძის მეუღლე ელიზაბეთ (ვარდო) თევდორეს ასული ნიჟარაძე-ჩიკვაიძე.

ნიკოლოზ რუხაძე - საქართველოს სსრ უშიშროების მინისტრი.

აკაკი ნიჟარაძე სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წელს, გაათავისუფლეს და მან თბილისში, რადიოკომიტეტში, დაიწყო მუშაობა. ზოგიერთი ცნობით, აკაკი გარდაიცვალა 1960-იანი წლების ბოლოს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი და საინფორმაციო-პოლიტიკური განყოფილების უფროსი, ლეო რუხაძე, მრავალწლიანი პატიმრობის და გადასახლების შემდეგ, 1937 წელს, დახვრიტეს, როგორც შეურიგებელი ანტისაბჭოთა მებრძოლი, რომლის გატეხვა და გადაბირება ჩეკისტებმა შეუძლებლად მიიჩნიეს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, ნიკოლოზ რუხაძე, 1952 წლის 11 ივლისს დააპატიმრეს. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ თბილისში 1955 წლის 19 სექტემბერს დახვრეტა მიუსაჯა. დახვრიტეს 1955 წლის 15 ნოემბერს. ფიზიკურ განადგურებამდე მას საბჭოთა რეჟიმმა გენერალ-ლეიტენანტის წოდება და ყველა სახელმწიფო ჯილდო ჩამოართვა. საბჭოთა რეჟიმის არსებობის ბოლომდე იგი რეაბილიტირებული არ ყოფილა.

P.S. ნიკოლოზ და აკაკი ნიჟარაძის ოჯახის პირდაპირი შთამომავლების კვალი 1970-იანი წლების შემდეგ იკარგება, შესაბამისად - მათი საოჯახო არქივი და ზეპირი ისტორიები ჯერჯერობით ვერ მოვიპოვეთ. მამა-შვილი ნიჟარაძეების ფოტოსურათები მათივე სისხლის სამართლის საქმეში, საქართველოს შსს აკადემიის არქივში ინახება, რომელიც ამჟამად დახურულია. 1949 წელს გაცემული საპასპორტო სურათის შედარებით, 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნის დროს გადაღებულ ცნობილ ფოტოსურათთან, ვვარაუდობთ, რომ - ახალგაზრდა ნიკოლოზ ნიჟარაძე ჟურნალისტებსა და ერობის წარმომადგენლებთან ერთად პრესის ლოჟაში ზის სმოკინგითა და ბაფთით.

ნიკოლოზ ნიჟარაძის თავგადასავალი ჯერ კიდევ ბევრი დეტალის დაზუსტებას მოითხოვს. მზის სინათლეს ელის მისი იმ თანამებრძოლების მთელი თაობის მივიწყებული ისტორია, რომლებიც ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის, დემოკრატიისა და ევროპული მომავლისთვის. მათი სახეები საბჭოთა რეჟიმმა ამოშალა ჩვენი საზოგადოების კოლექტიური მეხსიერებიდან და რუსული პროპაგანდა დღემდე სარგებლობს საქართველოს „დაკარგული ისტორიით“ გამოწვეული შედეგებით. ■

P. s სტატიაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით; ვალერი თევდორაძეს, მერაბ ჭონიშვილს და თამაზ ნიჟარაძეს.

ლაშა გაბელია

საჩხერიდან და სკალამდე და შემდეგ გულაგში

ერთი კაცის ბედი იმპერიების ომში

ძველი საჩხერე, 1915 წ.

საქართველოში არ მოიძებნება ოჯახი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომმა დაღი არ დაასვა. ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი მსხვერპლი გაიღო, სამასი ათასზე მეტი დაღუპული, უამრავი დაჭრილ-დასახიჩრებული – ფიზიკურად თუ ფსიქოლოგიურად. ბევრმა ოჯახმა შეწყვიტა არსებობა, ბევრი ბავშვი გაიზარდა ობლობაში. საბჭოთა რესპუბლიკებიდან პროცენტულად საქართველომ, უკრაინის შემდეგ, ყველაზე მეტი ადამიანი დაკარგა ამ ხორცსაკეპში, მოსკოვურმა პროპაგანდამ „სამამულო ომი“ რომ უწოდა. დამოუკიდებლობაწართმეულ საქართველოში ბევრი მართლაც სამამულო ომად აღიქვამდა მას, სინამდვილე კი ის იყო, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ გაიჭყლიტა სისხლიანი იმპერიების ჭიდილში.

„წესად არის წინამბრძოლობა ქართუელთა!“ – დავით ულუს მიერ მე-13 საუკუნეში ნათქვამი ეს ფრაზა საუკუნეებს გაჰყვა უხეირო ლოზუნგად და ქართველთა უზღვავი სისხლი დაიღვარა მონღოლების, ოსმალების, სპარსელებისა და რუსეთის ომებში ამ იმპერიათა დასაცავად თუ გასაძლიერებლად. ულევი ენერგია და ძალა, რომლებიც წესითა და კანონით, სამშობლოს კეთილდღეობას უნდა მოხმარებოდა, შორეულ ბატალიებში ჩაიკარგა და გაქრა...

იმპერიათა გზაჯვარედინზე მყოფი პატარა ქვეყნის შვილებს ისტორიული ქარტეხილები, როგორც ზღვაზე ქარიშხალი პატარა ნაფოტებს, ისე აიტაცებდნენ ხოლმე და მიახეთქებდნენ ხან ერთ ნაპირს, ხან – მეორეს... აქ იწყება ბაბუაჩემის, სამსონ პაპიაშვილის ისტორიაც,

სამსონ პაპიაშვილი, 1936 წ.

რომელსაც მეორე მსოფლიო ომმა ზუსტად ასეთი ნაფოტის ბედი არგუნა.

სამსონი 1913 წელს საჩხერეში დაიბადა. ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა ხელოვნებისკენ მიდრეკილება, განსაკუთრებით სიმღერა უყვარდა და ხმა და სმენაც ხელს უწყობდა. დაამთავრა ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელი. ასრულებდა როგორც ქართულ ხალხურ სიმღერებს, ისე რომანსებს. გარდა ამისა, მღეროდა არიებს ოპერებიდან (ჰქონდა შესანიშნავი ტენორი). მალევე გაითქვა სახელი რეგიონული მასშტაბით და უფრო შორსაც, 1939 წლისთვის უკვე იყო საჩხერის კულტურის სახლის დირექტორი, ანსამბლის ხელმძღვანელი და ლოტბარი. მას იწვევდნენ თბილისში, მისი სოლო და გუნდთან ერთად შესრულებული სიმღერები ხშირად ჟღერდა ცენტრალურ რადიოში. პარალელურად, პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა და, როგორც მისი ნამოწაფრები ამბობდნენ, მხოლოდ სიმღერასა და მუსიკას კი არა, ადამიანობასაც ასწავლიდა. სამსონს უკვე ჰყავდა მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ქალიშვილი. დისიდენტობაში „არ შემჩნეული", თითქოს ბედნიერი საბჭოთა მოქალაქის ცხოვრებით ცხოვრობდა.

მაგრამ მოვიდა ომი. სანათესავოში ჰყვებიან, რომ სამსონს, როგორც პედაგოგს, ჯავშანი ჰქონდა და ომის დასაწყისში მობილიზაცია არ ეკუთვნოდა, მაგრამ მოხდა კორუფციული გარიგება – „ვიღაცამ" თავისი შვილის სახელი ამოაშლევინა და ბაბუაჩემისა შეატანინა... სამსონს არც გაუპროტესტებია – „ახლა რამე რომ მოვიმოქმედო, ხომ ყველა იფიქრებს, მშიშარაააო". 1941 წლის დეკემბერი იდგა. ბაბუაჩემმა ფრონტზე ფანდური წაიღო...

ის, რაც თავს გადახდა, ბაბუამ აღწერა პოემაში, რომელსაც „ჩემი მოკლე თავ-გადასავალი" უწოდა. ჯერ ჩრდილო კავკასიის ფრონტზე მოხვდა, შემდეგ – ყირიმში:

„დღესაც კი მახსოვს დაუნდობელი,
მკაცრი ბრძოლები სევასტოპოლზე,
შავი ზღვა – სისხლით მთლად შეღებილი,
კვნესა-გოდება ზღვის ჰორიზონტზე".

ბრძოლა დიდხანს არ დასცალდა. 1942 წლის ივლისში იქვე, ყირიმში, მისი ქვედანაყოფი ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს. რაკი ყირიმი ფრონტისპირა იყო, ისინი იქ დიდ ხანს არ გაუჩერებიათ, ყველანი სადღაც, კარპატების მთებში, დასავლეთ უკრაინაში (ბაბუაჩემი არ აზუსტებს ადგილმდებარეობას), ტყვეთა ბანაკში გადაიყვანეს. მალე ბანაკში შეთქმულება მოეწყო, სამსონმა თხუთმეტ თანამებრძოლთან ერთად გაქცევა სცადა, მათ ღობის ქვეშ გვირაბი გათხარეს და გაძვრნენ, თუმცა ვიღაცამ გასცა, შეიპყრეს და ყველას დახვრეტა მიუსაჯეს. ერთ ღამეს ბანაკიდან შორს, ტყის პირას, გაიყვანეს... „და ჩვენი ხელით გაგვათხრევინეს საფლავი, ჩვენთვის დასამარხავი", – წერს ბაბუაჩემი. დააყენეს თავიანთ გათხრილ საფლავებთან და ავტომატის ჯერი გადაატარეს. სამსონს, როგორც თვითონ ჰყვება, რაღაც სასწაულად, ტყვია არ მოხვდა. მაგრამ საფლავში ჩახტა და თავი მოიმკვდარუნა. ნაცისტთა სადამსჯელო რაზმმაც, როგორც ჩანს, ზერელედ შეასრულა მოვალეობა, მათ საფლავებს მსუბუქად მიაყარეს მიწა და წავიდნენ.

როცა კი მანქანების ხმა მიწყდა, სამსონი საფლავიდან ამოძვრა და ტყეს მისცა თავი. დასახვრეტად განწირულთაგან მხოლოდ ის ერთი იყო გადარჩენილი. მთელი ღამე ხეტიალის შემდეგ რომელიღაც სოფლამდე მიაღწია. აქ იგი ერთმა ოჯახმა შეიფარა, უმკურნალა და მოაძლიერა. სამსონი არ აკონკრეტებს არც მათ სახელებს, არც მათ ეროვნებას, მხოლოდ ერთ გოგონას ახსენებს, სახელად ლინას, რომლისადმი მას „თბილი გრძნობები" გაუჩნდა,

თუმცა, „თავისი მანიასთვის“ (მეუღლე) „არ უღალატია“. ამ ოჯახში ბაბუაჩემმა რამდენიმე კვირა გაატარა, ეხმარებოდა მათ სასოფლო საქმეებში. ისინიც ოჯახის წევრივით ექცეოდნენ, ძალიან დაიახლოვეს, სტუმრადაც კი წაიყვანეს ნათესავებთან მეზობელ სოფელში. იდილია დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და ნაცისტების ერთ-ერთი მორიგი რეიდისას სამსონი ისევ შეიპყრეს.

ამჯერად იძულებით სამუშაოებზე გააგზავნეს – ქვის სამტეხლოში, მძიმე პირობებში, ღია ცის ქვეშ ამუშავებდნენ. საინტერესო ის არის, რომ ტყვეები ეროვნების მიხედვით დაუყვიათ და სამსონთან ერთად ბევრი ქართველი მოხვდა, ზედამხედველთა ნაწილიც ქართველები ყოფილან. ბაბუაჩემი არ იყო მიჩვეული მძიმე ფიზიკურ შრომას და ძალიან გაუჭირდა, გულწრფელად წერს თავის პოემა-დღიურში:

„ხეების დაჭრა, ქვების დამტვრევა
არ მეხერხება, ჩემთვის ძნელია,
ჩემი საქმეა მხიარულება,
ცეკვა-სიმღერა, აბადელია.“

1943 წელი იდგა. ერთ დღეს, როგორც თვითონ წერს, გადაღლილი ერთ დიდ ქვაზე ჩამომჯდარა და სიმღერა დაუწყია – „დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან“... მისი ნამღერი ისე მოსწონებიათ გარშემო მყოფ ტყვეებსა და ზედამხედველებს, რომ ტაშით დაუჯილდოებიათ. ეს ამბავი შეუმჩნევია ქართველ ასმეთაურს, იმას კი ამბავი მიუტანია „ზემოთ“. დაიბარეს და უთხრეს: მოაგროვე შენნაირი ხალხი, გააკეთე ანსამბლი, გაართობ ტყვეებსა და ადმინისტრაციას და შენც მძიმე შრომას გადარჩებიო.

აქ აუცილებლად უნდა ითქვას შემდეგი: ბაბუაჩემი ამ პოემა-დღიურს წერდა უკვე ციმბირში, გულაგში, საბჭოთა გადასახლებაში და, შესაბამისად, ბევრი რამ სტრიქონებს შორის არის წასაკითხი. ცხადია, მათ სამსონში დაინახეს არა მარტო სიმღერის ნიჭი, არამედ პოტენციალი, რაც მათ გამოადგებოდათ, ის სწორედ ამისთვის გამოარჩიეს და ანსამბლის შეკვრის საშუალება მისცეს. გერმანიის ხელისუფლებას სჭირდებოდა მსგავსი აქტივობები, ერთი მხრივ, პროპაგანდისთვის: აი, ნახეთ, რა კარგად ვეპყრობით ტყვეებს და დაპყრობილ ხალხებს, ვუფრთხილდებით მათ კულტურას და ა.შ. მეორე მხრივ, „ვერმახტის“ ქართული ლეგიონერების გულის მოსაგებადაც. შესაბამისად, ეს იყო პოლიტიკის ნაწილი – სამსონის ანსამბლის გარდა, კიდევ იყო რამდენიმე მსგავსი გუნდი და არა მხოლოდ ქართველების.

სამსონის ანსამბლის „პროექტი“ უკიდურესად წარმატებული გამოდგა. მალე ისინი სამხედრო ტყვეებს კი არა, უშუალოდ „ვერ-

სამსონ პაპიაშვილი (ცენტრში) თავის გუნდთან ერთად, ნოიჰამერის საკონცენტრაციო ბანაკი 1943 წ.

მახტის“ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს უმღერდნენ. რამდენიმე თვეში კი, ჩვეულებრივ, სამოქალაქო კონცერტებშიც დაიწყეს მონაწილეობის მიღება და არა მარტო გერმანიის ტერიტორიაზე, არამედ თითქმის მთელ ოკუპირებულ ევროპაში. სამსონი ასე აღწერს თავისი გასტროლების გეოგრაფიას:

„ყოველი ფრანგი, იტალიელი,
ბელგიელი თუ ჰოლანდიელი,
ყველა დიდებით, ტაშით გვაცილებს,
უნგრელ-პოლშელი და ავსტრიელი.“

ასე მოხვდა საჩხერეში დაბადებული ბაბუაჩემი „ლა-სკალას“ სცენაზე, სადაც ქართული ხალხური სიმღერებიც ააჟღერა და საოპერო არიებიც შეასრულა!

ბოლომდე თავისუფლები არ იყვნენ, მაგრამ სხვა ტყვეებზე უკეთეს პირობებში ცხოვრობდნენ, არ აკლდათ საცხოვრებელი პირობები, ჰქონდათ ყველანაირი მუსიკალური ინსტრუმენტი და ქართული ხალხური სამოსიც (ჩოხა-ახალუხები) – კონცერტებისთვის.

ასე მაგალითად, 1944 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი ქართული ლეგიონის ღონისძიებების ფარგლებში, ბერლინში მისი ანსამბლის



სამსონ პაპიაშვილის პოემა-დღიურის ერთი გვერდი

სოლო კონცერტი გაიმართა, რომლის შესახებაც ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო“ წერდა: „საღამოს ქალაქის დიდი თეატრი ხალხით გაიჭედა, ლოტბარ ს.პ.-ლის (სამსონ პაპიაშვილი) ხელმძღვანელობით არსებულმა მომღერალთა გუნდმა გამართა კონცერტი, სადაც შესრულდა ძველი და ახალი სიმღერები და ცეკვა. განსაკუთრებით კარგი იყო ფანდურზე დაკვრა... საერთოდ კონცერტმა დიდი მოწონება გამოიწვია და განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა“.

დათაშკა კავსაძე (შუა რიგში მარცხნიდან მესამე) და სამსონ პაპიაშვილი (შუა რიგში მარცხნიდან მეოთხე) ქართველ მომღერლებთან ერთად, გერმანია, 1944 წ.

თუმცა, შემდეგ რამდენჯერმე სახიფათო სიტუაციაც შეიქმნა: მაგალითად, საფრანგეთში სამსონი და მისი გუნდის წევრები წინააღმდეგობის მოძრაობას დაჰკავშირებიან. გაქცევაზე ფიქრობდნენ, დეტალებში არ ჩანს, რა მოხდა, მაგრამ ყველანი სასწრაფოდ გერმანიაში დააბრუნეს და საკონცენტრაციო ბანაკში გადაგზავნით დაემუქრნენ, თუმცა მუქარა არ შეუსრულებიათ, რომელიღაც სამხედრო ნაწილში განათავსეს. აქ სამსონს დაუკავშირდა დავით (დათაშკა) კავსაძე (მსახიობ კახი კავსაძის მამა).

„ამბობენ, თურმე, დავით კავსაძე,
ისიც ტყვედ არის ჩავარდნილიო,
მისი სახელი მთელ ევროპაში
ჩემსავით არის გავარდნილიო.“

დავითმა სამსონს გუნდების გაერთიანება შესთავაზა, ასეც მოიქცნენ. ორი გუნდის ბაზაზე ჩამოყალიბდა დიდი ქართული ანსამბლი და

მათი საკონცერტო მოღვაწეობაც გაგრძელდა.

სამსონი, გასაგები მიზეზების გამო, ბევრს არ წერს, მაგრამ აშკარაა, რომ ნაცისტების რბილი დამოკიდებულება მისი და მისი ხალხის მიმართ სწორედ „ქართული ლეგიონის“ მფარველობის დამსახურება იყო.

ფრიდონ წულუკიძე

ნაცისტებს უკვე უჭირდათ და 1944 წლის შემოდგომაზე ჰიტლერმა ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადა. დღის წესრიგში დადგა სხვებთან ერთად ტყვე მომღერალთა გუნდების მობილიზებაც. ქართული ლეგიონიდან ამ საქმეს მეთაურობდა პოლკოვნიკი ფრიდონ წულუკიძე, ყოფილი მენშევიკი, ესპანეთის სამოქალაქო ომში ფრანკოს მხარეს ნაბრძოლი, ახლა კი „სს-ის“ ვაფენ-შტანდარტენფიურერი. ბაბუაჩემი თავისი ანსამბლით მის დაქვემდებარებაში, „ვაფენ სს-ის“ ქართული ჯგუფის (SS-Waffengruppe Georgien) შემადგენლობაში მოხვდა – ისინი ჯერ უნგრეთში გაამწესეს, შემდეგ კი, 1945 წლის იანვრიდან – ჩრდილოეთ იტალიაში.

ყველა გრძნობდა, რომ ნაცისტური რეჟიმის დღეები დათვლილი იყო, ქართველები შეითქვნენ და მარტის თვეში ყველანი, უფროსობის ჩათვლით, იტალიელი პარტიზანების მხარეს გადავიდნენ. აქვე, ჩრდილოეთ იტალიის რომელიღაც სოფელში, მოუსწრო ბაბუაჩემს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ.

რა თქმა უნდა, მისი პირველივე აზრი სამშობლოში დაბრუნება იყო. ბევრი ურჩევდა დარჩენას, ბევრი აფრთხილებდა, რომ კარგი არაფერი ელოდა – გადაასახლებდნენ ან დახვრეტდნენ, მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა, ოჯახისა და ძვირფასი ხალხის მონატრებამ გადასძალა. სამსონი, თავისი გუნდის ნაწილთან ერთად (ნაწილი ემიგრაციაში დარჩა), საბჭოთა წარმომადგენლობას ჩაჰბარდა. რა თქმა უნდა, როგორც ტყვედ ნამყოფს, როგორც „ფაშისტებისთვის მომღერალს“ და ფორმალურად, მაგრამ მაინც „ვაფენ სს-ში“ ნამსახურებს, მძიმე განაჩენი ელოდა. საქართველოში დაბრუნების იმედი ფუჭი გამოდგა, იგი ჯერ ტაჯიკეთში (კერძოდ, ლენინაბადში), შრომა-გასწორების ბანაკში გააგზავნეს, სადაც წელიწად-ნახევარი დაჰყო, შემდეგ ბრალი დაუმძიმეს და 1947 წელს ტრიბუნალმა 25 წლით გადასახლება მიუსაჯა. ჯერ კოლიმაზე წაიყვანეს, საბოლოოდ კი – ზაბაიკალიეში – ულან-უდეში მოხვდა.

საბჭოთა გულაგი ბევრად მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ნაცისტებთან ტყვეობა. ყინვა, შიმშილი, ძალადობა. სწორედ აქ, ულან-უდეში, დაწერა სამსონმა თავისი პოემა-თავგადასავალი, რომელიც გათავისუფლების იმედით, „დიდ სტალინს“ მიუძღვნა და მისადმი ხოტბის სიტყვებიც არ დაუშურებია. რა თქმა უნდა, ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. საოცარია, მაგრამ სამსონმა გულაგშიც მოახერხა პატიმართაგან მომღერალთა გუნდის ჩამოყალიბება, ეს გუნდი მხოლოდ ქართველებისგან არ შედგებოდა, ინტერნაციონალური იყო და რეპერტუარიც შესაბამისი ჰქონდა.

სამსონ პაპიაშვილი (კოსტიუმში. მარჯვნივ) ულან-უდეში, „ლაგერში“ ჩამოყალიბებულ ანსამბლთან ერთად. დაახლ. 1950 წ.

სამსონ პაპიაშვილი სცენაზე

ექვსი წელი დაჰყო სამსონმა ულან-უდეს „ლაგერში“, თანდათან შეერყა ჯანმრთელობა. მხოლოდ სტალინის სიკვდილმა არგუნა მას თავისუფლება. 1953 წლის ბოლოს დაბრუნდა იგი მშობლიურ მხარეში. ჭიათურიდანვე შეჰგებებიან სამსონს, საჩხერის რკინიგზის სადგურზე კი – მთელი საჩხერე დახვედრია. ყველას კეთილად ახსოვდა ის და მისი სიმღერა. დახვდა ცოლი და უკვე გაზრდილი ქალიშვილები. სამსონი ისევ გახდა საჩხერის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ისევ გააგრძელა საყვარელი საქმე, თუმცა ჯანმრთელობაშერყეულს დიდი დრო არ ჰქონდა დარჩენილი.

სამსონ პაპიაშილი გარდაიცვალა ინფარ-ქტით 1955 წლის 14 მაისს, სოფელ კრობოულის კლუბის სცენაზე, სიმღერისას. დატოვა ბებიაჩემი – ფეხმძიმედ დედაჩემზე. იგი მაშინ მხოლოდ 42 წლის იყო. ■

ლა სკალა, მთავარი დარბაზი

ნანა კალანდაძე

„უდელის“ ქარხანა, ვერა და მთაწმინდა

რაც თავი მახსოვს, თბილისში, მთაწმინდაზე, ვცხოვრობ და როდესმე რომც გამოვიცვალო სახლი, მაინც მთაწმინდაზე ვიცხოვრებ სულით, გულით, გონებით. არადა, კინაღამ ვერელად დავიბადე. აი, როგორ იყო ეს ამბავი:

დედაჩემი გვარად ფეიქრიშვილი იყო. ისტორია გვიამბობს, რომ სამას არაგველთაგან უმრავლესობა ამ გვარის შვილი ყოფილა. მათი მებრძოლი სულის დასტურად უნდა მოვიხსენიოთ თინა წავკისელიც, რომელიც გვარად ასევე ფეიქრიშვილი იყო. კახეთშიც მრავლადაა ეს გვარი, ის კი არა, კახელები ჰგონია ბევრს, არადა, მშვენიერი, დარბაისელი მესხეთიდან არიან წარმოშობით, კერძოდ, ასპინძის მხარეში სოფელი ხიზაბავრა რომ არის, იქიდან. ამ სახელის მქონე ტოპონიმი ლაგოდეხისკენაც არის, რაც, სავარაუდოდ, სამცხედან გამოიყოლეს ფეიქრიშვილებმა. ერთი სიტყვით, ამ გვარის ნაწილი თბილისთან, წავკისში, დასახლებულა, მემინდვრეობისთვის, მეტწილად კი ყვავილებისა და სხვა ხე-მცენარეების მოშენებისთვის მიუყვია ხელი და წალკოტად უქცევია ოდესღაც თამარის საზაფხულო სავანე და ციციშვილების მამულები.

რას წამოუყვანია ფეიქრიშვილები და ქართლსა და კახეთში გაუბნევია, ალბათ სადმე, ისტორიაში, წერია. მე კი იმას გეტყვით, რომ წავკისელები, ცოტა არ იყოს, გაუკვირვებია ახალი გვარის ხალხის „სხვანაირობას“. ეს ქართველები ჯვარს ატარებდნენ, მაგრამ მათ ეკლესიაში არ დადიოდნენ და თუ დადიოდნენ, პირჯვარს პირიქით იწერდნენ... საქმელს ცოტა განსხვავებულად ამზადებდნენ... ყვავილებს „სხვა მეთოდით“ ზრდიდნენ...კაცმა რომ თქვას, რა არის გასაკვირი, ყველა კუთხეს ცხოვრებისა და ყოფის საკუთარი წესი აქვს. მაგრამ აქ „არააქაური“ რელიგიური ტრადიციების გავლენა ყოფაზეც იგრძნობოდა.

ისტორიულად, საქართველოს კათოლიკურ სამყაროსთან ჯერ კიდევ VI საუკუნეში (იქნებ უფრო ადრეც) ჰქონდა კონტაქტი, თანაც საკმაოდ მჭიდრო და საქმიანი. XIV საუკუნეში თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო დაფუძნდა, XVII საუკუნიდან კი იტალიელი და ფრანგი მისიონერების გავლენამ პოლიტიკური მაჯისცემაც კი შეცვალა საქართველოში. თუმცა, ეს არ არის ჩემი თემა. იმის თქმა მინდა, რომ, ევროპელი მისიონერების გავლენით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კათოლიკური ქრისტიანობის მაღიარებელი გახდა, გიორგი XI-სა და სულხან საბა ორბელიანზე რომ აღარაფერი ვთქვათ... ამ ფაქტმა გარკვეულწილად გავლენა მოახდინა მესხების ცხოვრების სტილსა და ხასიათზე. ხალხში მათ „ფრანგებსაც“ ეძახდნენ. ეს კი არადა, სამზარეულოსა და კულინარიაშიც „დაუბერა“ ევროპულმა ნიავმა. რა დამავიწყებს ახალციხელი დეიდა მარო ფეიქრიშვილის ნამცხვრებს, უზარმაზარი ყუთით რომ უგზავნიდა თავის ქალიშვილს, გულიკოს (მისი გვარი ზუბაშვილია, რომელიც, ისევე როგორც ზუბალაშვილი, კათოლიკურია), სტუდენტობისას ჩვენთან რომ ცხოვრობდა. პირველად მაშინ გავსინჯე „კრუასანი“, რომელსაც ზუსტად ფრანგული რეცეპტით აცხობდა ეს არაჩვეულებრივი ქალი, თუმცა წარმოდგენაც კი არავის ჰქონდა ამ შედევრის სახელზე და „რაჟოკს“ ან „რაგალიკს“ ეძახდნენ, რუსულ „ფილტრში“ გავლით...

ამ კუთხით ჩემი ვერსია მაქვს ბორჯომის ცნობილ ნამცხვრებზეც, დანარჩენი საქართველოს საკონდიტრო ნაწარმისაგან რომ ნამდვილად განსხვავდებოდა შინაარსითაც და ხარისხითაც. იქნებ სამცხე-ჯავახურმა რეცეპტებმა და დამზადების „ფრანციცულ-ევროპულმა“ ტრადიციამ იქაც ჩამოაღწია? არც ისე შორია... თუმცა, რა ვიცი... დღეს იმ საკონდიტრო ნაწარმის შთამომავლობას „ლოვიკას ნამცხვრები“ ჰქვია... სიტყვა კი გამექცა, მაგრამ იმის თქმა მინდოდა, რომ ბაბუაჩემიც, როგორც სამცხელების შთამომავალი, კათოლიკურად ყოფილა მონათლული. თუმცა, მისი და-ძმებისაგან განსხვავებით, მართლმადიდებლობა მიუღია. დიდი ეჭვი მაქვს, ბებიაჩემზე შეყვარებულმა გადადგა ეს ნაბიჯი. სხვათა შორის, წავკისში ერთი პატარა ბაზილიკა დგას სოფლის გზის გასაყარზე. დედა ამბობდა, მას ფეიქრიშვილების ეკლესიას უწოდებენო, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ამ სოფელში დასახლებულები თანდათან გადმოდიოდნენ ცხოვრების „აქაურ“ ყაიდაზე.

წავკისელები დღესაც განაგრძობენ წინაპრებისგან გადმოცემულ სამებაღეო საქმიანობას. თბილისის ყვავილების ბაზრის უზარმაზარი წილი სწორედ წავკისზე მოდის. მართალია, ამ საქმიანობამ მკვეთრად კომერციული ხასიათი შეიძინა, ზედმეტად გააბიზნესეს, რამაც იქაურების მიმართ მოსაყვედურეც ბევრი გააჩინა, მაგრამ ამ მშვენიერ სოფელში აუცილებლად შეხვდებით ნამდვილ, პროფესიონალ მებაღეებსაც, რომელთაც ხელოვნების რანგში აქვთ აყვანილი ყვავილების მოშენება და მოვლა. ჰოდა, ამ ხალხის შთამომავალი ბაბუაჩემისგან რა გასაკვირი იყო, რომ ბაღებით და ყვავილებით ყოფილიყო გატაცებული, მით უმეტეს, რომ ხატვაც ხელეწიფებოდა თურმე და გემოვნებაც არ ღალატობდა.

1896 წელს საუფლისწულო უწყების „უდელის“ ღვინის სარდაფის აშენება რომ გადაუწყვეტიათ, თბილისის მაშინდელი გარეუბნისთვის - დღევანდელი მელიქიშვილის ქუჩისთვის დაუდგამთ თვალი და მალე განუხორციელებიათ კიდეც ჩანაფიქრი. თბილისის მაშინდელ არქიტექტორს, ალექსანდრ ოზეროვს, ძალიან მოსწონებია შემაღლებული ადგილი და დაუპროექტებია კიდეც შენობა, თანაც ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტრადიციების გამოყენებით. ამ დანიშნულების მშენებლობა ვის უნდა დაეფინანსებინა, თუ არა დავით სარაჯიშვილს? შენობა საკმაოდ დიდი იყო სასარდაფედ, ამიტომ მალე მასში ღვინის პირველი ქარხანა გაუმართავთ, სადაც მერე, წლების განმავლობაში, აწარმოებდნენ ქართულ ღვინოს. ქარხანა კი მუშაობდა მშვენივრად, მაგრამ შენობა იდგა რაღაცნაირად განმარტოებული, მოტიტვლებულ გორაკზე და სევდიანად გადაჰყურებდა ვარაზის ხევს. ტერიტორია უნდა გაემწვანებინათ, ჰოდა, ბაბუაჩემიც სწორედ ამ საქმიანობით მოხვედრილა ქარხანაში. დღევანდელურად რომ ვთქვათ, ჩემს ლანდშაფტის დიზაინერ ბაბუას მშვენიერი ბაღი გაუშენებია, მაგრამ იქაურობას მუდმივი მეთვალყურე ხომ სჭირ-

დებოდა? არც ისე ადვილი იყო ყოველდღე სოლოლაკიდან „იმ სიშორეზე“ სიარული და ბაბუა ლამის გადასახლდა ქარხანაში. მოგვიანებით გაიცა თბილისის გარეუბნების ათვისების ბრძანება. ქარხნის ახლომახლო თანამშრომლებისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე სახლები უნდა აეშენებინათ და ქალაქური იერი მიეცათ ტურების კივილით აკლებული ვარაზის ხევის მიდამოებისათვის. თანაც მოპირდაპირე მხარეს უკვე სათავადაზნაურო გიმნაზიის (შემდგომში სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის) მშენებლობა იყო გაჩაღებული. ბაბუასაც, როგორც ქარხნის მუშაკს, გამოუყვეს საკარმიდამო ნაკვეთი, თუმცა სახლის აგება ერთი ხელის მოსმით ვერ მოხდებოდა. ამიტომ ოჯახი სოლოლაკში ცხოვრობდა. დედა და მისი და-ძმაც იქ გაიზარდნენ და სკოლაც იმ უბანში დაამთავრეს.

მერე ვერის სახლიც აშენდა და სოლოლაკელი ფეიქრიშვილების ოჯახი საცხოვრებლად ვარაზის ხევში გადავიდა. ბევრი უბუზღუნია ბებიას, მშვენივრად ვცხოვრობდი ქალაქში, ახლა სულ ტრამვაით როგორ ვიჩაქჩაქო ამხელა მანძილზეო, მაგრამ ძალიან მალე შეჰგუებია ახალ უბანს და მეზობლებს. ბაბუა კი მუშაობდა „უდელის “ქარხანაში და თავს ევლებოდა ყოველ ნერგს, ხეს და ბუჩქს. მერე, როცა დედა და მე ჩავუვლიდით ხოლმე ქარხანას, ხშირად ამბობდა, იმ ეზოში რომ ხეები შრიალებს, მგონია მამაჩემის სუნთქვა მესმისო...

ვარაზის ხევის უბანი ნელ-ნელა ივსებოდა შენობებით და ქალაქის იერს იღებდა. დედაჩემის სახლის გადაღმა (დღეს რომ ნიკოლაძის და შარაშიძის ქუჩებია) ახალმშენებლობა იყო გაჩაღებული. იმ სახლებიდან ერთ-ერთში მოგვიანებით მამაჩემის ოჯახის წევრები დასახლებულან, თუმცა მაშინ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ იქვე, სულ ახლოს, მცხოვრები გოგო ერთ დღეს მათი ბინის კარს შეაღებდა რძლის სტატუსით...

მამაჩემის და კალანდაძეების მთავარი საცხოვრებელი ადგილი და ფუძე ჩოხატაური იყო. მერე ოჯახის დიდი ნაწილი წამოვიდა თბილისში. ციმბირიდან დაბრუნებული მამაჩემი კი ახალი ოდის მშენებლობას შეუდგა გურიაში. ალბათ იქ დაფუძნება უნდოდა, მაგრამ მეორე გადასახლებიდან, მოგეხსენებათ, დაოჯახებული დაბრუნდა და თბილისში დარჩენა ამჯობინა. თუმცა, ყაზახეთიდან ჩამოსულებს ვერ დახვდათ კარგი ამბავი: ფეიქრიშვილების სახლში მთავრობას სხვა ოჯახი შეესახლებინა, ჩვენებისათვის კი ეზოს უკანა მხარეს გამავალი ოთახი და ერთი ბეწო დერეფანი გამოუყვიათ პირველ სართულზე. ავეჯსა და ნივთებზე ვინღა ლაპარაკობს, პატრონების არყოფნაში სრულიად გაეფანტათ და დაენაწილებინათ. დარჩნენ ამ ბნელი „ბინის“ და იქ შემორჩენილი ორიოდე ნივთის ამარა.

ბაბუას ქარხნის ადმინისტრაციისათვის მიუმართავს, თქვენი უწყების სახელით იქნებ დამეხმაროთო. ქარხანას მხრები აუჩეჩავს, ტერიტორია კი გამოგიყავით (სხვათა შორის, საბუთი არსებობს, რომ ამ ტერიტორიის გარკვეული ფართი ბაბუაჩემს ეკუთვნოდა,მაგრამ...), მაგრამ რა უფლება გვაქვს საყოფაცხოვრებო საკითხებში ჩავერიოთო. სინამდვილეში, მიზეზი ნათელი იყო: 1953 წელს, სტალინის სიკვდილის მერე,

ხალხის საქართველოში დაბრუნება მათ სრულ რეაბილიტაციას როდი გულისხმობდა. სანამ ახლიდან არ გადაქექავდნენ საბუთებს, სანამ კიდევ ერთხელ არ გადაღეჭავდნენ მათ ცხოვრებას, ვინ აღირსებდა სრულფასოვანი მოქალაქის სტატუსს? ამიტომ, მგონი, იმ ქეციან ოთახსაც ამადლიდნენ და წარამარა ახსენებდნენ, რომ სხვა „ხალხის მტრებს“ ესეც სანატრელი აქვთო. ამასობაში ამდენი ნერვიულობისა და შეურაცხყოფის გადამტანი ბებია და ბაბუა ლამის ერთმანეთის მიყოლებით გამოესალმნენ წუთისოფელს...

1956 წელს, როგორც იქნა, დაადგათ საშველი და დედამ და მამამ სარეაბილიტაციო ქაღალდი მიიღეს, სადაც ეწერა მეტად მნიშვნელოვანი ორი სიტყვა: „პოლნოსტიუ რეაბილიტიროვან“!

ჩემმა მშობლებმა მეტი სტიმულით განაგრძეს სახლის დასაბრუნებლად ბრძოლა, ორიოდე ოთახის მაინც. მაგრამ ამასობაში

სულ სხვაგავარად მოტრიალდა ვითარება: მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საერთოდ „მოეწმინდათ“ ის ადგილი და ახალი, ხუთსართულიანი სახლი წამოეჭიმათ ჩვენების და მათ მეზობლად არსებული სახლების ადგილზე, იმ ტერიტორიის მაცხოვრებლები კი დაეკმაყოფილებინათ არსებული ფართის გათვალისწინებით. დაახლოებით მიხვდით ალბათ, ლაპარაკია ყოფილი „ჩაის სახლის“ გვერდით არსებულ თაღიან შენობაზე. ჰოდა, იმ სახლს მარტო ფასადი ხომ არ აქვს? შიდა ეზოც ხომ მას ეკუთვნის და ჩვენებისთვის სწორედ იმ შიდა მხარეს, ბნელი და კლდის ყრუ კედელზე აკრული ორი ოთახი მიუციათ.

შესაძლოა დიდი არა, მაგრამ მაინც სრულფასოვანი კარ-მიდამოს სანაცვლოდ ორ ბნელი ოთახი კიდევ ერთი სილის გაწვნა იყო ოჯახისათვის, რომელსაც კარგა ხანს მოუწია „ხალხის მტრის“ სახელის ტარება იმ წევრების გამო, რომელთაც დიადი საბჭოთა კავშირი „გახრწნილ კაპიტალისტურ“ ქვეყნებზე გაცვალეს. საფრანგეთის და ბავარიის მიწაზე თავისუფლად მოარული „დამნაშავეების“ გულში კი, ვინ იცის, რა დარდი და ტკივილი ტრიალებდა... დანგრეულ სახლს რაღა დააბრუნებდა, მაგრამ დედას და მამას იმის მცირე იმედი მაინც ჰქონდათ, რომ უკეთეს პირობებს „მოიპოვებდნენ“.

ერთ მშვენიერ დღესაც მამას შეატყობინეს, აღმასკომში გიბარებენო. მისთვის სრულიად ჩვეული ამბავი იყო ნაირნაირ ინსტანციაში დაბარება, გამოკითხვა, კონტროლი, გაფრთხილება და ა.შ., ამიტომ ისე წავიდა, როგორც სამსახურში. მისდა გასაკვირად, ერთი შორეული ნათესავის კაბინეტში ამოყო თავი. იმ დალოცვილ ადამიანს ყური მოუკრავს, ესა და ეს ოჯახი ბინას ითხოვსო და ერთი აზრი გასჩენია: მთაწმინდაზე, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე, ერთ დიდ ოჯახს გაფართოება უნდა და იქნებ ორმაგი გაცვლით იმ ბინაში მოგახვედროთ, ძველი სახლი კია, მაგრამ დიდი და ნათელი ოთახებია და, რაც მთავარია, საკუთარი სანკვანძი და სათავსოები აქვსო. ეს უკანასკნელი ფაქტი მკვეთრად ხაზგასმული იქნა, რადგანაც, მოგეხსენებათ, იმ დროს ე.წ. „კომუნალკებში“ ცხოვრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

დედას, რასაკვირველია, ახლად აშენებული სახლი ერჩივნა, მაგრამ მაშინდელი მთავრობის მიერ ნაწყალობევი ოთახების სივიწროვისა და უმზეობისაგან იმდენად შეწუხებული იყო, სასახლედ მოეჩვენა მთაწმინდის ბინა და საქმეც გაიჩარხა. (მე რომ მკითხოთ, ეს ბინა მეორე უკიდურესობაა თავისი განათებით. საქმე ის გახლავთ, რომ ოდესღაც აქ სკოლა ყოფილა და კარ-ფანჯრის ასეთი რაოდენობაც ამით აიხსნება.) მოკლედ, ორი ფართო და ერთი მცირე ოთახი ოთხმეტრიანი ჭერით, „კაფელის ფეჩით“, საკუთარი სამზარეულოთი და სველი წერტილებით, სადარბაზოდან საკუთარი და არა „კორიდორული“ შესასვლელით იმხანად შესაშურიც კი გახლდათ.

დასახლდნენ, დაფუძნდნენ და 1958 წლის 12 ოქტომბერს მეც გამოვჩნდი მათ ცხოვრებაში. ■

მარიამ ქვარიანი

რისი მაქნისია სასამართლო, თუკი სამართლიანობამდე არ მიგვიყვანს?!

კარგი მოსამართლეებისა და სასამართლოს არსებობა მნიშვნელოვანია როგორც ადამიანის უფლებების დასაცავად, ისე კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, ხელისუფლების თვითნებობის აღსაკვეთად და ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად. თუმცა, კარგი მოსამართლე ასევე აუცილებელია საზოგადოების უფრო ვიწრო სპექტრისთვისაც - იურისტებს ვგულისხმობ.

მოსამართლე იურიდიულ პროფესიათა იერარქიაში უმაღლეს პოზიციას იკავებს და აწესებს სტანდარტს ნებისმიერი პროფესიონალისთვის. იდეალურ სურათში, იგი დამოუკიდებლობის, გამბედაობისა და სამართლიანობის სიმბოლოა, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს პროფესიულ წრეებსა და ფართო საზოგადოებაში.

მოსამართლის თანამდებობაზე ინიშნებიან მაღალი კვალიფიკაციის, კეთილსინდისიერი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პირები, რომელთა წარსული საქმიანობა და პროფესიული ეთიკაც ამყარებს ნდობას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. მათი გადაწყვეტილებები აზუსტებს კანონს და უძღვება სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებას. მოსამართლის გამბედაობა, პრინციპულობა და ტრანსფორმაციული გადაწყვეტილებები ამაგრებს სამართლებრივ ჩარჩოებს და აყალიბებს საფუძველს მომავალი განვითარებისათვის.

კარგი მოსამართლის გადაწყვეტილება გასაგებად განმარტავს კომპლექსურ სამართლებრივ პრობლემებს და შთააგონებს მიმდევრებს. იურიდიულ სფეროში მოსამართლის თანამდებობა ყველაზე პრესტიჟული პოზიციაა,

რომლისკენაც შეიძლება ახალგაზრდა იურისტი მიისწრაფვოდეს.

როგორ სტანდარტსაც აწესებს მოსამართლე, ისეთ სტანდარტს მიჰყვება სახელმწიფოს სამართლებრივი სპექტრი.

რა ხდება ამ მხრივ საქართველოში?

სისტემის გაჯანსაღება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ყოველი მცდელობა, ჩამოყალიბდეს ინსტიტუციური ხერხემალი, მარცხით მთავრდება. დღეს, მიუხედავად რეფორმების 4 ტალღისა, სასამართლო იმაზე მეტად ჩაკეტილი და მიკერძოებულია, ვიდრე რეფორმების დაწყებამდე იყო. „ქართულმა ოცნებამ“ მოსამართლეთა კლანს მწვანე შუქი აუნთო და ყველა სამართლებრივი ბერკეტით აღჭურვა სასამართლო ხელისუფლებაზე კონტროლის დასამყარებლად.

გაერთიანებული სამეფოს მიერ მოსამართლეების - მიხეილ ჩინჩალაძისა და ლევან მურუსიძის - სანქცირების შემდეგ ირაკლი კობახიძემ მთავრობის სახელით მაქსიმალური მხარდაჭერა გამოუცხადა სასამართლო ხელისუფლებას და დაჰპირდა, რომ გულისხმიერებას გამოიჩენდა სასამართლო ხელისუფლების მიერ დასმული თითოეული საკითხის მიმართ. ამ განცხადებიდან 2 თვეში „ქართული ოცნების“ პარლამენტმა მიიღო ცვლილებები, რომლებიც საკანონმდებლო პროექტზე მეტად წარმოადგენდა კლანის მოთხოვნათა სიას, რათა შური ეძია სამოქალაქო საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მოსამართლეებზე. სასამართლოს ტერიტორიაზე, ვიდეო და აუდიო გადაღების გარდა, გამკაცრდა სანქციები როგორც მოსამართლის, ისე სასამართლოს შეურაცხყოფისთვის. განადგურდა რეფორმების ფარგლებში შექმნილი შემაკავებელი მექანიზმები. დამოუკიდებელი მოსამართლეებისთვის სასამართლო სისტემაში მუშაობა ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც, „ქართულმა ოცნებამ“ მოსამართლეებს საბჭოს ნებართვის გარეშე აკადემიური საქმიანობაც კი აუკრძალა, გაამარტივა ავად სახსენებელი იძულებითი მივლინების წესი და გაამკაცრა დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები.

ასეთ სისტემაში სასამართლო მხოლოდ სცენაა, მოსამართლე - მსახიობი, ადვოკატი - ფსიქოლოგი, მანდატური - ჯალათი, დამსწრე საზოგადოება კი - უძლური მაყურებელი.

მაშინ, როცა მსოფლიო იურიდიული სპექტრი საუბრობს სასამართლო წარმოების სრულად გაციფრულებაზე, მონაცემთა ბაზის ახალი ფორმით დამუშავებასა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის გაზიარებაზე, ბაზებში საძიებო სისტემის განვითარებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ეთიკურ სტანდარტებზე, ჩვენ, იურისტები საქართველოში, მორიგი პოლიტპატიმრის გამამტყუნებელ განაჩენს მოველით და მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილების იმედი გვაქვს.

თუ ვთანხმდებით, რომ, მრავალწლიანი მცდელობის მიუხედავად, არავითარი ძალა ამ გზას სამართლიანობამდე არ მიიყვანს, აშკარაა, რომ ახალი გზაა გასაკვალი და შესაძლოა, სწორედ ეს იყოს ჩვენი თაობის პრივილეგია და პასუხისმგებლობა.

ასეთ სისტემაში სასამართლო მხოლოდ სცენაა, მოსამართლე - მსახიობი, ადვოკატი - ფსიქოლოგი, მანდატური - ჯალათი, დამსწრე საზოგადოება კი - უძლური მაყურებელი.

პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი სამართლებრივი ჩარჩოს პირობებში ყოველთვის გვაქვს ადამიანური კომპონენტი. შესაბამისად, აუცილებელია მოსამართლეთა კორპუსი დაკომპლექტდეს არაკონფორმისტი, ამბიციური, გამბედავი და კვალიფიციური პერსონალით. პერსონალის რეფორმა არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ მინიმალურ, ფორმალურ საკანონმდებლო სტანდარტს, არამედ დეტალურად უნდა შეისწავლოს კანდიდატთა პროფესიული და აკადემიური საქმიანობა, ფინანსური მდგომარეობა და ხასიათის მედეგობა. დამოუკიდებელ კომისიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გადაამოწმოს როგორც პირის

კომპეტენცია, ისე მისი კეთილსინდისიერება და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა. დანიშნულ მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ პასუხისმგებლობის განცდა როგორც საკუთარი გადაწყვეტილებების, ისე ზოგადად სასამართლო სისტემისა და მისი განვითარების მიმართ. მიუხედავად ინდივიდუალური დამოუკიდებლობისა, ყველა მოსამართლეს უნდა ესმოდეს საკუთარი გადამწყვეტი როლი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური კულტურის ჩამოყალიბების პროცესში.

მოქმედი და მომავალი მოსამართლეების დამსახურებაზე დაფუძნებული შეფასების პროცესი, რა თქმა უნდა, საჯაროდ უნდა წარიმართოს და მაღალი პროფესიული სტანდარტით უზრუნველყოს სასამართლოს სისტემის მიმართ ნდობის დანერგვა.

მაშინ, როცა მსოფლიო იურიდიული სპექტრი საუბრობს სასამართლო წარმოების სრულად გაციფრულებაზე, მონაცემთა ბაზის ახალი ფორმით დამუშავებასა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის გაზიარებაზე, ბაზებში საძიებო სისტემის განვითარებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ეთიკურ სტანდარტებზე, ჩვენ, იურისტები, მორიგი პოლიტპატიმრის გამამტყუნებელ განაჩენს მოველით და მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილების იმედი გვაქვს.

მართლმსაჯულების სისტემის ღირსეული პირებით დაკომპლექტების პარალელურად აუცილებლად უნდა შეიცვალოს არსებული სტრუქტურა და საკანონმდებლო ბაზა. საქართველო, როგორც პატარა, ახლო კავშირებისა და შიდა გავლენების მქონე სახელმწიფო, რომელსაც უახლეს ისტორიაშიც არ აკლია ნეპოტიზმის, კორუფციისა და პოლიტიკური გავლენების გამოცდილება, ძალიან მარტივად მოახერხებს ინსტიტუციური მეხსიერებით ამ მავნე პრაქტიკასთან მიბრუნებას და ძველ კალაპოტში ჩადგომას, თუ ამის შესაძლებლობა თავიდანვე არ აღმოიფხვრა. გასათვალისწინებელია, რომ კლანის გავლენები მხოლოდ მოსამართლეებზე არ ვრცელდება და ინსტიტუციის ყველა შრეში გვხვდება. შესაბამისად მავნე თვისებებისგან გადასაჩვევად აუცილებელია ვიყოთ თანმიმდევრული. უნდა მოვიკვლიოთ, რატომ არის ქართული მართლმსაჯულების სისტემა მიდრეკილი სხვადასხვა გავლენის დამორჩილებისკენ და რა იწვევს ასეთ ქცევას. ამ მავნე ციკლის იდენტიფიცირება შესაძლებელია საპარლამენტო კომისიის მოკვლევით და ინდივიდუალურ მოსამართლეებთან გასაუბრებით. თუმცა, კვლევას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ქმედითი ნაბიჯები. საკანონმდებლო ბაზამ მაქსიმალურად უნდა მოარიდოს მოსამართლეები ცდუნებას, უნდა შეიცვალოს გარემო, რომელიც მსგავს ქცევას ახალისებს და ჩამოყალიბდეს ახალი ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც იქნება ნაკლებად ცენტრალიზებული და ბიუროკრატიით გაჯერებული.

სასამართლო ხელისუფლება, ისევე როგორც თითოეული ინდივიდუალური მოსამართლე, უნდა მიისწრაფვოდეს სისტემის თვითმყოფადობისაკენ, ხოლო კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ასეთი გარემოს შექმნისთვის აუცილებელი პირობები. ყველა მოსამართლეს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ არის საჯარო სერვისის მიმწოდებელი და გრძნობდეს ანგარიშვალდებულებას საზოგადოებისა და საკუთარი კოლეგების მიმართ. სისტემამ უნდა ჩამოიყალიბოს შიდა დისციპლინა, იყოს თანმიმდევრული და იზრუნოს დაწესებული მაღალი პროფესიული სტანდარტის დაცვაზე.

ამ გზაზე აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენებიც. ევროკავშირმა წელს გამოაქვეყნა ციფრული მართლმსაჯულების (e-Justice) სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს წევრ სახელმწიფოთა სასამართლო სისტემის ერთიან დიგიტალიზაციას, ამავე მიმართულებით ვითარდება სასამართლო სისტემა

ჩრდილოეთ ამერიკაში და სხვა განვითარებულ რეგიონებში.

დღეს არსებული რეალობის ფონზე შესაძლოა ციფრული სასამართლოს კონცეფცია სასაცილოდ ჟღერდეს, თუმცა ეს მიმართულება განვითარებულ სამყაროში აქტუალურია და თუ გვინდა, რომ არ ჩამოვრჩეთ, სასამართლოს რეფორმირების პროცესში ფოკუსი მომავლისკენ უნდა გვქონდეს მიმართული.

ქართული მართლმსაჯულების სისტემის უპირატესობაა მისი არსებობის ხანმოკლე ისტორია. სასამართლო პრაქტიკა და დოკუმენტაციის წარმოება დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტიდანაა რელევანტური, ხოლო გაციფრულების პროცესი მხოლოდ 29 სასამართლოში უნდა წარიმართოს.

გარდა თანამედროვე სამყაროსთვის ფეხის აწყობის საჭიროებისა, ციფრული სასამართლო კულტურის შემუშავება და სამართლებრივი ტექნოლოგიების განვითარება გვჭირდება სასამართლოში ინდივიდუალური თუ პოლიტიკური გავლენების შესამცირებლად და ასეთი ფაქტების აღმოსაფხვრელად, სასამართლოს გადატვირთულობის შესამცირებლად, სამართალწარმოების დასაჩქარებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც მნიშვნელოვნად გამწვავდება პერსონალის რეფორმის გატარების შემთხვევაში.

გარდა ბიუროკრატიული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუმჯობესებისა, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა გააუმჯობესებს სასამართლოს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, გაამარტივებს წვდომას მართლმსაჯულებაზე და შეამცირებს სახელმწიფო ხარჯებს.

სამართლიანი, გამჭვირვალე და თანამედროვე სასამართლო სისტემა დემოკრატიულ სახელმწიფოში ფუფუნების საგანს არ უნდა წარმოადგენდეს. მსგავსი თამამი ნაბიჯების გარეშე კი წარმოუდგენელია ისეთი წრის გარღვევა, სადაც იჭერენ შავ კატას ბნელ ოთახში მაშინაც კი, როდესაც ის იქ არ არის.

სამართლიანი, გამჭვირვალე და თანამედროვე სასამართლო სისტემა დემოკრატიულ სახელმწიფოში ფუფუნების საგანს არ უნდა წარმოადგენდეს. მსგავსი თამამი ნაბიჯების გარეშე კი წარმოუდგენელია ისეთი წრის გარღვევა, სადაც იჭერენ შავ კატას ბნელ ოთახში მაშინაც კი, როდესაც ის იქ არ არის. ■

მარიამ ქვარიანი *არის იურისტი, 2020 წლიდან მუშაობს საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის კანონის უზენაესობის პროგრამაში. მისი საქმიანობა მოიცავს მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობის, დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას.*

ირაკლი ლაითაძე

თანამედროვეობის ილუზია

ნაწილი 3: მოტივაცია vs დისციპლინა

Via supervadet vadens.
მხოლოდ მიმავალი გაივლის გზას.

დღეს ძალიან ხშირად საუბრობენ მოტივაციაზე და იქმნება შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ მოტივაციაა უმთავრესი ინსტრუმენტი მიზნის მისაღწევად. ამ პროცესში კი, რატომღაც, ნაკლები ყურადღება ეთმობა დისციპლინას.

მოტივაცია ძალიან მნიშვნელოვანია, ის სასტარტო პოზიციაა. ამავე დროს, მოტივაცია წარმავალი და ეფემერულია: დღეს გაქვს მოტივაცია, ხვალ არ გაქვს, ზეგ ისევ გაქვს, მაზეგ - ისევ არა და ა.შ. მოტივაცია, განსხვავებით დისციპლინისაგან, ემოციაა და პრაქტიკულად შეუძლებელიცაა ემოციის მუდმივი შენარ-ჩუნება. ამავე დროს კი, დისციპლინა აზროვნების შედეგია, რაც იმას ნიშნავს, რომ გონების ძალით მისი გამომუშავება შეიძლება. მოტივაცია გვაწყებინებს საქმეს (იქნება ეს ბიზნესპროექტი, ფიზიკური ვარჯიში, სიგარეტისთვის თავის დანებება და უამრავი სხვა რამ), მაგრამ დისციპლინა გვამთავრებინებს ამ საქმეს. მოტივაცია დაგვისვამს მიზანს, მაგრამ დისციპლინა იმუშავებს მის შესრულებაზე. დისციპლინაზე შენს განწყობას, ხასიათს თუ ემოციას გავლენა არ აქვს - მე დღეს, რაც არ უნდა იყოს, ვდგამ ამ პატარა ნაბიჯს, ხვალ ისევ, ზეგ ისევ და ა.შ. მოტივაცია პოპულარულია, რადგან მოტი-ვაციის ეიფორიაში ყოფნა სასიამოვნოცაა და ადვილიც. საზოგადოებაში, სადაც თითქმის ნორმაა მყისიერი დაკმაყოფილების, მყისიერი შედეგის მოლოდინი, სადაც იშვიათია რუტინა და თანმიმდევრულობა - დისციპლინა არ არის პოპულარული, რადგან ის მოითხოვს სისტემატურ ძალისხმევას.

მოტივაცია გვაწყებინებს საქმეს (იქნება ეს ბიზნესპროექტი, ფიზიკური ვარჯიში, სიგარეტისთვის თავის დანებება და უამრავი სხვა რამ), მაგრამ დისციპლინა გვამთავრებინებს ამ საქმეს. მოტივაცია დაგვისვამს მიზანს, მაგრამ დისციპლინა იმუშავებს მის შესრულებაზე.

როდესაც დაღლილობა, შიში და ეჭვი მოვლენ (და ისინი აუცილებლად მოვლენ და თან არაერთხელ), მაშინ მოტივაცია პრაქტიკულად უძლურია მათ წინააღმდეგ. მათი მომგერიებელი მხოლოდ დისციპლინაა, რუტინა, რომელიც ყოველდღიური ბევრი პატარა ნაბიჯისა და ქმედებისგან შედგება. ჩემი აზრით, 90% იმათგან, ვინც ჰყვება, თუ სულ როგორი მოტივირებულია თავის საქმეში - შეგნებულად თუ შეუგნებლად, არ ამბობს სიმართლეს. სამეცნიერო კვლევები ადასტურებს, რომ შეუძლებელია ადამიანი გაუჩერებლივ - დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე და წლიდან

წლამდე - მოტივირებული იყოს. ძალიან, ძალიან ხშირად ადამიანს არ მოსწონს თავისი სამსახური, თავისი საქმე და ამ დროს რომელიმე ბიზნესმენტორი მოუწოდებს, რომ მან თავი უნდა დაანებოს სამსახურს, ნახოს სხვა სამსახური ან დაიწყოს თავისი ბიზნესი. რატომღაც ამ თვითდანიშნულ მასწავლებლებს ავიწყდებათ, რომ ადამიანებს, თავისუფლების გარდა, აქვთ პასუხისმგებლობა (პირველ ყოვლისა, მათზე დამოკიდებული ხალხის მიმართ). ეს მენტორები ხშირად ასევე არ/ვერ ამბობენ ან ვერ იაზრებენ, რომ პასუხისმგებლობა თავისუფლების მედლის მეორე მხარეა. დისციპლინა გვაიძულებს წინსვლას და მუშაობას იმ დროს, როდესაც შენი მოტივაცია, ცნობისმოყვარეობა და აღტაცება აორთქლებულია. ჩემს ერთ მაგალითს მოგიყვებით, რომელიც, მგონი საკმაოდ მკაფიოდ ასახავს და გამიჯნავს ერთმანეთისგან მოტივაციას და დისციპლინას.

რამდენიმე წლის წინ გადავწყვიტე ამესრულებინა ბავშვობის ოცნება და ავსულიყავი კილიმანჯაროს მწვერვალზე (ჯერ კიდევ ძალიან დიდი ხნის წინ ერნესტ ჰემინგუეის წიგნი წავიკითხე „კილიმანჯაროს თოვლიანი მწვერვალები“. მერე კი ამავე სახელწოდების ფილმი ვნახე, ჰოლივუდის ოქროს ეპოქის კინო, სადაც გრეგორი პეკი და ავა გარდნერი კაშკაშებდნენ). მწვერვალზე ასვლის გადაწყვეტილების მიღებამდე საკმაოდ მომატებული ვიყავი წონაში და ვერაფრით მიმყავდა ბოლომდე ათასნაირი დიეტა. ვარჯიშზე ხომ საუბარიც ზედმეტია. როგორც კი

რატომღაც ამ თვითდანიშნულ მასწავლებლებს ავიწყდებათ, რომ ადამიანებს, თავისუფლების გარდა, აქვთ პასუხისმგებლობა

გადავწყიტე კილიმანჯაროზე ასვლა, მაშინ დაიწყო ყველაფერი. ვიცოდი, რომ ამ წონით მთაზე ვერ ავიდოდი. 6 თვე მოვანდომე წონაში დაკლებას და სისტემატურ ფიზიკურ ვარჯიშს. შემდეგ კი წავედი ტანზანიაში და ავედი კილიმანჯაროზე. კილიმანჯაროს მწვერვალზე ასვლა იყო ჩემი მოტივატორი, მაგრამ ექვსთვიანი დიეტა და სისტემატური ვარჯიში

- მხოლოდ დისციპლინის შედეგი. ბევრჯერ გამქრობია მთაზე ასვლის მოტივივაცია და ამ დროს მხოლოდ დისციპლინა მიმერეკებოდა დიეტის დაცვისა და ვარჯიშისკენ.

„ნებისმიერი რამ, რაც შესაძლებელია ადამიანისთვის, შესაძლებელია შენთვის“.

ყოველდღიური დისციპლინა ამარცხებს წაგების შიშს, გაღარიბების შიშს, ცუდ მშობლად ყოფნის შიშს, სიზარმაცეს, პრაქტიკულად ყველაფერს ამ ცხოვრებაში. დისციპლინა იწვევს ჩვევების გამომუშავებას და ეს უკვე აადვილებს ბევრ რამეს. დისციპლინა ახშობს წარმატებით (ვისაც როგორ გვესმის „წარმატება“) გამოწვეულ ქედმაღლობას, აჩერებს იმპულსურ საქციელს. დისციპლინის გამომუშავება და მისით მოქმედება - იმ დროს, როდესაც მიმდინარე რუტინა უაზროდ გვეჩვენება - მიზნის მიღწევის პრაქტიკული გარანტორია.

როდესაც ჩვენ რაღაცას ვერ ვაკეთებთ, ვერ ვერევით საქმეს - ეს ნაკლებად უკავშირდება ჩვენს გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობას ან დროის დეფიციტს. ეს უფრო დისციპლინის არქონის და ნებისყოფის უკმარისობის შედეგია. გავიხსენოთ, რა თქვა რომის იმპერატორმა და სტოიკოსმა ფილოსოფოსმა, მარკუს ავრელიუსმა: „ნებისმიერი რამ, რაც შესაძლებელია ადამიანისთვის, შესაძლებელია შენთვის“. ■

კონსტანტინო ჯიაკვინტო

ნასესხები რამ

ღინგვა ფრანკა თუ ბაბილონის გოდოლი: ინგლისურიდან ნასესხები სიტყვები, სამოქალაქო ლინკური და ლემოკრატიული გახლეჩილობა საქართველოში

მარტივი მორფოლოგიური და სინტაქსური ხერხების გამოყენებით ინგლისური inclusion იქცევა "ინკლუზიურად", stakeholders სტეიკჰოლდერებად, initiation კი ინიცირებად, თითქოსდა ქართულად მჟღერ სიტყვებად, მაგრამ მათი მნიშვნელობა უცხო და გაუგებარი რჩება იმ ადამიანთა უმრავლესობისთვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ურბანულ ელიტას ან არასამთავრობო, ე.წ. ენჯეო, სექტორს.

ენა ცოცხალი ორგანიზამია. ენები მუდმივად ვითარდებიან, სესხულობენ სიტყვებს სხვა ენებიდან, ერგებიან ახალ დროებას. ენა ბუნებრივად იცვლება, როგროც წესი, თანდათან და განგრძობითი პერიოდის განმავლობაში, ისე, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებების დამკვიდრებას ადამიანთა სამი ან მეტი თაობის ცვლა სჭირდება. უცხო ენებიდან სიტყვების სესხება ამა თუ იმ ენასთან ხანგრძლივი შეხებისას ხდება. ეს შეიძლება განაპირობოს დამპყრობელი ქვეყნის ენაზე საქმეთწარმოებამ ან რომელიმე ქვეყანასთან ხანგრძლივმა კულტურულმა და სავაჭრო ურთიერთობამ. ამ გზით ნასესხები სიტყვების ენაში შემოსვლაც ენის ბუნებრივი განვითარების შემადგენელი ნაწილია. როგორც წესი, ნასესხობების ხარჯზე ენის სიტყვათა მარაგის დაახლოებით 2 პროცენტი იცვლება ერთი საუკუნის განმავლობაში.

ქართულმა ენამ, რომელიც არცერთ ფართოდ გავრცელებულ ენობრივ ოჯახს არ მიეკუთვნება, არც - ინდოევროპულს და არც - სემიტურს, საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ განიცადა უცხო ენების გავლენა როგორც დამპყრობელი ქვეყნების ბატონობის, ისე კულტურული ურთიერთობების შედეგად. ისტორიულად, ქართულში უცხო ენიდან ნასესხები სიტყვები თანდათანობით, საუკუნეების განმავლობაში შემოდიოდა. ასე ნელ-ნელა შეითვისა ქართულმა ენამ არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან და რუსულიდან ნასესხები სიტყვები. უცხოური გავლენების მოზღვავებას საქართველო მაღალ დონეზე განვითარებული მთარგმნელობითი მუშაობის წყალობით უმკლავდებოდა. მე-11 საუკუნეში მოღვაწე არსენ იყალთოელის მიერ შემუშავებული ფილოსოფიური ტერმინოლოგია და ვახტანგ VI-ის მიერ ქართულად ადაპტირებული ევროპული და ახლოაღმოსავლური სამეცნიერო ტექსტები ცხადყოფს, რომ ქართველი სწავლულები მოქმედებდნენ არა როგორც ცოდნის პასიური



გამტარნი, არამედ როგორც კულტურული შუამავალნი. ისინი მიზანმიმართულად ირჯებოდნენ იმისთვის, რომ უცხო იდეები და ახალი ცოდნა ქართველებისთვის გასაგები და ნათელი გაეხადათ. ამის მისაღწევად ისინი ახალ ტერმინოლოგიას ქართულ ეპისტემოლოგიურ ჩარჩოებში აქცევდნენ.

საქართველოში ასეთი მთარგმნელობითი ტრადიცია მე-19 და მე-20 საუკუნეებშიც გაგრძელდა. ამ ტრადიციის თვალსაჩინო გამგრძელებლები იყვნენ არნოლდ ჩიქობავა და სიმონ ყაუხჩიშვილი, რომლებმაც საბჭოთა კავშირის პერიოდში, რუსული გავლენის პირობებშიც კი, მოახერხეს შეემუშავებინათ სტანდარტული ტერმინოლოგია და შექმნეს ტექნიკური ლექსიკონები ქართულ ენაზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, საქმის წარმოებისა და განათლების ხელშეწყობის მიზნით.

ქართველი სწავლულები მოქმედებდნენ არა როგორც ცოდნის პასიური გამტარნი, არამედ როგორც კულტურული შუამავალნი. ისინი მიზანმიმართულად ირჯებოდნენ იმისთვის, რომ უცხო იდეები და ახალი ცოდნა ქართველებისთვის გასაგები და ნათელი გაეხადათ. ამის მისაღწევად ისინი ახალ ტერმინოლოგიას ქართულ ეპისტემოლოგიურ ჩარჩოებში აქცევდნენ.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში მანამდე არნახული მოცულობით შემოიჭრა ინგლისურიდან ნასესხები სიტყვების ტალღა, განსაკუთრებით სამოქალაქო, პოლიტიკურ და არასამთავრობო სექტორის ლექსიკაში. მართალია, ნასესხები სიტყვების ნაჩქარევი შემოსვლა შეიძლება ღიაობის და მოდერნიზაციის ნიშნად მივიჩნიოთ, მაგრამ ამ პროცესმა უკონტროლო ხასიათი მიიღო და უნებურად საჯარო დისკუსიები გაუგებარი გახადა საზოგადოების ნაწილისთვის, რამაც გააღრმავა სოციალური ნაპრალები.

90-იანი წლებიდან, როცა საქართველომ დასავლეთისკენ აიღო გეზი, ქართულ ენაში ინგლისურიდან ნასესხები სიტყვების მძლავრმა ნაკადმა დაიწყო შემოსვლა. დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკის ისეთი ცნებები, რომლებიც მანამდე უცნობი იყო საზოგადოებისთვის, უცხო ლინგვისტური შეფუთვით შემოვიდა ხმარებაში, რამაც გაართულა მათი გაგება ფართო საზოგადოებისთვის. წინა პერიოდისგან განსხვავებით, როცა უცხო სიტყვების ენობრივ ადაპტაციაზე სისტემურად და მეთოდურად მუშაობდნენ, დღეს ქართულ ენაში ინგლისური ტერმინები უწესრიგოდ შემოიჭრება. ეს განსაკუთრებით ეხება პოლიტიკის, არასამთავრობო სექტორის და მედიის სივრცეს. ცნებები, რომელთაც არ გააჩნიათ ქართული შესატყვისები, გასაგებია მხოლოდ ქალაქური ელიტისთვის, აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო სექტორში მომუშავე ადამიანებისთვის. საჯარო დისკურსში ისეთი ტერმინების შემოჭრა, როგორებიცაა „იმპლემენტაცია“, „ინკლუზიური“, „კრედიბილური“ და ა.შ., საზოგადოების საგრძნობი ნაწილის სემანტიკურ გაუცხოვებას იწვევს. კვლევები ცხადყოფს, რომ ე.წ ენჯეო სექტორის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების სიტყვათა მარაგის 10-20% ქართუ-

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში მანამდე არნახული მოცულობით შემოიჭრა ინგლისურიდან ნასესხები სიტყვების ტალღა, განსაკუთრებით სამოქალაქო, პოლიტიკურ და არასამთავრობო სექტორის ლექსიკაში. მართალია, ნასესხები სიტყვების ნაჩქარევი შემოსვლა შეიძლება ღიაობის და მოდერნიზაციის ნიშნად მივიჩნიოთ, მაგრამ ამ პროცესმა უკონტროლო ხასიათი მიიღო და უნებურად საჯარო დისკუსიები გაუგებარი გახადა საზოგადოების ნაწილისთვის, რამაც გააღრმავა სოციალური ნაპრალები.



ლად ტრანსლიტერირებული ინგლისური სიტყვებისგან შედგება. მართალია, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დონორის „ენაზე ლაპარაკი“ ხაზს უსვამს მათ თავსებადობას საერთაშორისო საზოგადოებრიობის სტანდარტებთან, ეს მიდგომა ამ ორგანიზაციებს საზოგადოების სწორედ იმ ფენებისგან აშორებს, რომელთა მსახურებაც მათ გაცხადებულ მიზანს წარმოადგენს.

დასავლური განათლების არმქონე, განსაკუთრებით ასაკოვანი და სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისთვის სამოქალაქო-პოლიტიკური ენა უფრო და უფრო გაუგებარი ხდება. შედეგად ვიღებთ საუბრებს სახელმწიფო მმართველობის შესახებ ისეთი ლექსიკით, რომელიც მართული ფენისთვის გაუგებარია და ხელს უშლის მათ დემოკრატიულ პროცესებში ჩართვას. როდესაც დემოკრატიასთან, ადამიანის უფლებებსა და სახელმწიფო მმართველობასთან დაკავშირებული ტერმინები გაუგებარია მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, ეს დემოკრატიულ დეფიციტს წარმოშობს.

წინა პერიოდისგან განსხვავებით, როცა უცხო სიტყვების ენობრივ ადაპტაციაზე სისტემურად და მეთოდურად მუშაობდნენ, დღეს ქართულ ენაში ინგლისური ტერმინები უწესრიგოდ შემოიჭრება. ეს განსაკუთრებით ეხება პოლიტიკის, არასამთავრობო სექტორის და მედიის სივრცეს. ცნებები, რომელთაც არ გააჩნიათ ქართული შესატყვისები, გასაგებია მხოლოდ ქალაქური ელიტისთვის, აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო სექტორში მომუშავე ადამიანებისთვის.

ლიბერალური დემოკრატიის მოწინააღმდეგეებმა, ულტრანაციონალურმა და პოპულისტმა ჯგუფებმა ინგლისურიდან ნასესხები სიტყვების სიჭარბით გამოწვეული ენობრივი გახლეჩა უკვე წარმატებით გამოიყენეს სათავისოდ. ისინი არასამთავრობო სექტორს წარმოაჩენენ, როგორც ელიტას, რომელიც უცხოელების ენაზე ლაპარაკობს და ტექნოკრატულ ენას მასზე უცხო ძალების კონტროლის მტკიცებულებად იყენებენ. ხალხისთვის გაუგებარი ტერმინებით გადმოცემული პროგრესული ღირებულებები ადვილად იფუთება უცხოეთის მიერ თავსმოხვეულ პირობებად. მაგალითად, „გენდერულ თანასწორობას“ პოპულისტები უპირისპირებენ ისეთ მოწოდებებს, როგორებიცაა „ოჯახური ღირებულებების დაცვა“, „ოჯახის სიწმინდე“, „სეკულარიზმს“ უპირისპირებენ „ტრადიციების დაცვას“. ეს მარტივი, ემოციურად დატვირთული მოწოდებები პოპულისტებს საშუალებას აძლევს, თავი წარმოაჩინონ უცხო და ელიტური გავლენებისგან ქართული ეროვნული იდენტობის დამცველებად.

კვლევები ცხადყოფს, რომ ე.წ ენჯეო სექტორის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების სიტყვათა მარაგის 10-20% ქართულად ტრანსლიტერირებული ინგლისური სიტყვებისგან შედგება. მართალია, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დონორის „ენაზე ლაპარაკი“ ხაზს უსვამს მათ თავსებადობას საერთაშორისო საზოგადოებრიობის სტანდარტებთან, ეს მიდგომა ამ ორგანიზაციებს საზოგადოების სწორედ იმ ფენებისგან აშორებს, რომელთა მსახურებაც მათ გაცხადებულ მიზანს წარმოადგენს.

ულტრანაციონალური იდეოლოგიური არგუმენტების მოშველიებით საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული უკუსვლა დღითიდღე უფრო თვალსაჩინო ხდება. დემოკრატიულ ღირებულებებს ქართული ტრადიციების საფრთხეებად წარმოაჩენენ. ანტიდასავლური რიტორიკა მხოლოდ ღიად პრორუსულ ჯგუფებს აღარ ახასიათებს. ამ რიტორიკამ სახელმწიფოს წარმომადგენელ ოფიციალურ პირთა და მთავრობის მხარდამჭერ სატელევიზიო არხებზე მოლაპარაკე პროპაგანდისტების მსჯელობაშიც შეაღწია.

ბევრი თვლის, რომ დღეს საქართველო გზაგასაყარზეა. ქვეყნის პროდასავლურ კურსსა და მის ევროატლანტიკურ მისწრაფებას, რომელიც კონსტიტუციაშია ასახული, სერიოზული საფრთხე ემუქრება. ქვეყანაში მზარდი ავტორიტარიზმის წინააღმდეგ მიმდინარე ჯგუფური და ინდივიდუალური პროტესტი ცხადყოფს, რომ ბოლო ათწლეულებში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაზე გაწეულმა შრომამ შედეგი გამოიღო, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამავე პერიოდში ფართო საზოგადოებრივი განათლების თვალსაზრისით წარმატება ვერ იქნა მიღწეული. ამას მოქალაქეთა შორის ქვეყნის დემოკრატიული განვითარების და ევროინტეგრაციის უპირობო მხარდაჭერის კლებადი ტენდენციაც მოწმობს. საზოგადოების გარკვეული ფენები, განსაკუთრებით ასაკოვანი და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, პოპულისტური იდეოლოგიის მიმართ მოწყვლადნი აღმოჩნდნენ. ეს საზოგადოების იგივე ფენებია, რომლებიც საჯარო დისკურსიდან ყველაზე მეტად ირიყებიან უცხო სიტყვათა მოჭარბების შედეგად გაჩენილი გაგების დეფიციტის გამო.

დასავლური განათლების არმქონე, განსაკუთრებით ასაკოვანი და სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისთვის სამოქალაქო-პოლიტიკური ენა უფრო და უფრო გაუგებარი ხდება. შედეგად ვიღებთ საუბრებს სახელმწიფო მმართველობის შესახებ ისეთი ლექსიკით, რომელიც მართული ფენისთვის გაუგებარია და ხელს უშლის მათ დემოკრატიულ პროცესებში ჩართვას. როდესაც დემოკრატიასთან, ადამიანის უფლებებსა და სახელმწიფო მმართველობასთან დაკავშირებული ტერმინები გაუგებარია მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, ეს დემოკრატიულ დეფიციტს წარმოშობს.

მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს პოლიტიკურ პროცესებზე ბევრი გეოპოლიტიკური ფაქტორი, ძალა და რესურსი ახდენს გავლენას, საბოლოოდ ქვეყნის ტრაექტორიის განმსაზღვრელი მაინც მოსახლეობის მიდგომები და ქართველი ხალხის ნება იქნება. შესაბამისად, აუცილებელია, რომ დემოკრატიული დისკურსი ხელმისაწვდომი და მკაფიო გახდეს საზოგადოების ყველა ფენისთვის და წარიმართოს ისეთ ენაზე, რომელიც არა მარტო აზრს გამოხატავს, არამედ საერთო გაგების საფუძველს ქმნის. ამ მხრივ, დემოკრატიული ცნებების მართებული შინაარსობრივი თარგმანი და ტერმინოლოგიის ქართულ კონტექსზე მორგება არა მხოლოდ ლინგვისტურ ამოცანას, არამედ დემოკრატიისთვის აცულებელ პირობას წარმოადგენს. ■

კონსტანტინო ჯიაკვინტო *არის თბილისის ევროპული სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე. ამერიკელი მამისა და ქართველი დედის შვილი, ის გაიზარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოში ცხოვრობს.*

ილია ნიკოლაიშვილი

თქვენ გაქვთ ჩვენი მხარდაჭერა, ახლა პატივი გვეცით ჩვენ!

„იმ დიდი გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც სამყაროსგან შევიძინე, თუ მორალისა და ვალდებულებების შესახებ რამე დანამდვილებით ვიცი, ყველაფერი ფეხბურთის დამსახურებაა. ის მცირედი, რაც მორალის შესახებ გამეგება, საფეხბურთო მოედნებსა და თეატრის სცენებზე ვისწავლე - ფეხბურთის მოედანი და თეატრის სცენა იყო ჩემი ნამდვილი უნივერსიტეტი.“ - ალბერ კამიუს ამ ინტერვიუს შემდეგ, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა - და მაინც, რომელი უფრო მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის, ფეხბურთი თუ თეატრი? ულაპარაკოდ, ფეხბურთი - მიუგო კამიუმ.

დღეს ქართული ფეხბურთის წიაღში არსებულ მორალურ დილემებზე მინდა გესაუბროთ. სტატიის ციტატით დაწყებას თავს არიდებენ ხოლმე, მაგრამ როცა საქმე მორალსა და ფეხბურთს ეხება, როგორ შეიძლება არ გაგახსენდეს ალბერ კამიუ - ნიჭიერი მეკარე და უდიდესი ადამიანი?

კამიუ ამბობდა, რომ ფეხბურთმა ისეთი ცხოვრებისეული გაკვეთილები მისცა, როგორებიც სხვაგან არსად მიუღია. ის ფიქრობდა, რომ ფეხბურთი პოლიტიკისა და სოციალური ცხოვრების ფარისევლური წესებისგან განსხვავებით ძალიან მარტივ და ცხად მორალურ კანონებზე დგას - სამართლიანობაზე, გუნდისა და თანაგუნდელის ერთგულებაზე, რაც მთავარია, სოლიდარობასა და პასუხისმგებლობის აღების უნარზე.

კამიუს ფეხბურთში არ არსებობს ღმერთი, არ არსებობს იდეოლოგიური მანიპულაცია, მაგრამ არსებობს ერთგვარი სიზიფეს მითი, რომ ლოდი ყოველ ჯერზე დანიშნულების

ადგილზეა მისატანი. ეს კი შეუძლებელია თანაგუნდელის მიმართ თანაგრძნობის, სოლიდარობის, გვერდში დგომისა და პატივისცემის გარეშე.

მოდი, ის სასტიკი დღეები გავიხსენოთ, როცა გასული წლის გაზაფხულზე თბილისის ცენტრალურ გამზირზე საქართველოს რუსეთიზაციის წინააღმდეგ გამოსულ ახალგაზრდებს ქართულგვარებიანი რუსული ხელისუფლება დაუნდობელი ძალითა და სისასტიკით უსწორდებოდა, სცემდა, ასახიჩრებდა, ფიზიკურად და მორალურად ძალადობდა უდანაშაულო, მართალ ადამიანებზე.

იმ ბინძურ იდეოლოგიურ მანიპულაციას, როგორსაც, ალბერ კამიუს აზრით, ფეხბურთში არაფერი ესაქმება, ნაკრების ფეხბურთელებმა სოლიდარობის, თანადგომის, სიზიფეს ტვირთის განაწილების ნაცვლად სირაქლემის პოზით უპასუხეს.

როცა ქვეყანაში ასეთი უსამართლობა, ამხელა მასშტაბის რუსული ბოროტება მეფდება, ნებისმიერ ნორმალურ მოქალაქეს უჩნდება თანაგრძნობის, სოლიდარობის გაცემისა და მიღების სურვილი. იმ დღეებში ამგვარი თანადგომის უკვდავი მაგალითები ვნახეთ უშუალოდ ნაცემი, რეპრესირებული ადამიანების წიაღში. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ხელისუფლების სიმხეცის და ამოცანის სირთულის გათვალისწინებით, თავისუფლების მოყვარული ადამიანები ფართო ეროვნულ სოლიდარობას ელოდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენისგან, სხვადასხვა სფეროდან. განსაკუთრებით თანაგდომას ელოდნენ ქართველი ფეხბურთელებისგან, რომლებმაც სულ რაღაც ორი კვირით ადრე საქართველოსთვის უპრეცედენტო წარმატებას მიაღწიეს. ელოდნენ იმიტომ, რომ ხალხს, ეგრეთ წოდებულ „მეთორმეტე მოთამაშეს“, ამ წარმატებაში არცთუ მცირე წვლილი ჰქონდა შეტანილი. ინტერვიუებში ეროვნული ნაკრების პრაქტიკულად ყველა ფეხბურთელმა თქვა, რომ ხალხისგან მიღებული მუხტის გარეშე ის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა. გულშემატკივრის თანადგომის ფასი გადამწყვეტი პენალტის გამტანმა ნიკა კვეკვესკირმა აღწერა საუკეთესოდ. გაიხსენა, როგორ შევიდა მის სხეულში ხალხის ენერგია და რამხელა წვლილი მიუძღვის გულშემატკივარს მისი ისტორიული პენალტის გატანაში.

როცა ფეხბურთელების ხმა უკვე აუტანლად აგვიანებდა, ხალხს პირველი მხარდაჭერა გიორგი ქოჩორაშვილმა გამოუცხადა. მართალია, არა ცხადი, მკაფიო და რიხიანი სიტყვით, მხოლოდ და მხოლოდ ბანალური „ინსტაგრამსთორით“, რომელზეც ბავშვი და ევროკავშირის დროშა იყო გამოსახული, მაგრამ ხალხიც და ხელისუფლებაც მიხვდა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ტალღის აგორების დასაწყისი შეიძლებოდა გამხდარიყო.

ხელისუფლებამ მთელ თავის ბოროტებას მოუხმო, მთელი თავისი საზიზღრობა მოიმარჯვა და ეროვნულ ნაკრებში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ერის გამაერთიანებლად იქნა გამოცხადებული, უბინძურესი პოლიტიკური მანიპულაციით კრემლის ლაბორატორიებში შემუშავებული ბინძური ნარატივი შეიტანა. მთელი სახელმწიფო დაირაზმა იმ ძალიან სუსტი „ინსტაგრამ სთორის“ ავტორის, გიორგი ქოჩორაშვილის, გასაშავებლად. ნეობოლშევიკ კახა კალაძეს (რომლის ტანზე ბალენსიაგას და მარჯიელას თანამედროვე დიზაინის შარვლებიც ბერიას დროინდელი ჩეკისტი

ნაკრების ფეხბურთელებმა ამ თამაშის ღვთაებრივ სამყაროში არსებული ყველაზე მთავარი წესი, გულშემატკივრებსა და მოთამაშეებს შორის ნაცვალგების წესი დაარღვიეს.

თბილისის დინამოელი ჭიჭიკო ფაჩულიას გალიფედ მოჩანს) ამ სამარცხვინო საქმისთვის ხელის მოკიდებას ვინ დაასწრებდა? სწორედ, მან იკისრა ის ბინძური საქმე, როცა მის კოლეგას, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს, მამის პოლიტიკური საქმიანობის გამო „პოლიტიკურად ანგაჟირებული“ და „ნაცი“ უწოდა, რაც რუსულ-ქოცურ პროპაგანდაში სისხლისმსმელის სინონიმია.

აი, ეს ფაქტი გახდა პირველი მორალური დილემა ეროვნულ ნაკრებში იმ დიდი გამარჯვების შემდეგ. დილემა, რომელიც ცხადი, ღირსეული და მორალურად წელში გამართული პასუხის ნაცვლად სირცხვილით დასრულდა. იმ ბინძურ იდეოლოგიურ მანიპულაციას, რომელსაც, ალბერ კამიუს აზრით, ფეხბურთში არაფერი ესაქმება, ნაკრების ფეხბურთელებმა სოლიდარობის, თანადგომის, სიზიფეს ტვირთის განაწილების ნაცვლად სირაქლემის პოზით უპასუხეს. როცა გვეგონა, რომ ნეობოლშევიკი კალაძის წარმოუდგენელ სიბინძურეს „ჩვენი ბიჭების" უმწვავესი სტატუსები მოჰყვებოდა, აბსოლუტურად საპირისპირო მოხდა - გიორგი ქოჩორაშვილმა ის „ინსტაგრამსთორიც" წაშალა. ეს იყო „ოქროს ბიჭებად" შერაცხული ფეხბურთელების პირველი მორალური დაცემა, სირცხვილი. ერთი კაცის გარდა, ყველამ წყალი ჩაიგუბა პირში. ოღონდ, ის ერთი კაცი, სოლომონ კვირკველია, პირიქით, ყველაზე პატარა კაცი აღმოჩნდა, რომელმაც სირაქლემის პოზაში ყოფნის სირცხვილიც არ იკმარა და კალაძეს საჯაროდ გამოუცხადა მხარდაჭერა. ამით ქართული ფეხბურთის თუ არა, ადამიანობის სანაგვეზე ნამდვილად მოისროლა საკუთარი თავი.

ფეხბურთის ისტორიაში უამრავი დიადი მაგალითია, როცა მოთამაშეებმა სიტყვით და საქმით დაიცვეს ძალადობის მსხვერპლი გულშემატკივრები.

რუსული ძალადობრივი რეჟიმების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, საზოგადოებაში არ შედგეს ისეთი ღირებულებების გარშემო კონსოლიდაცია, როგორებიცაა თავისუფლება, დამოუკიდებლობა, თანასწორობა, დემოკრატია. იმ დიდმა საფეხბურთო გამარჯვებამ რამდენიმე საათში ისე გააერთიანა ხალხი, როგორი ერთობაც ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟის შემდეგ არ გვინახავს. ეს ერთობა რეჟიმისთვის მომაკვდინებელი საფრთხე აღმოჩნდა.

მეტ-ნაკლებად დემოკრატიულ ქვეყნებში საფეხბურთო წარმატება არ ნიშნავს არსებული პოლიტიკური რეალობის აუცილებელ შეცვლას, მაგრამ „ოცნების" მსგავსი რეჟიმებისთვის თუნდაც ფეხბურთის მიზეზით გაერთიანებული ერი რეალური საფრთხეა. ამ ბედნიერებაში ისე აღარ ისმის პროპაგანდის, მორალური რელატივიზმის ხმა, როგორც დიქტატურისთვისაა საჭირო. სწორედ ამიტომ დაიწყო რეჟიმმა ძალადობა. ამიტომ დასჭირდა მას ჯერ კიდევ 2012 წელს მორგებული ნიღბის ჩამოხსნა და ღიად რუსულ გზაზე დადგომა.

ევროინტეგრაციის ახალი შესაძლებლობების კონტექსტში ერის დაახლოება, პოლარიზაციის შესუსტება პოლიტიკურ პროცესებზე რუსული გავლენის მნიშვნელოვან შესუსტებას გამოიწვევდა და კრემლის ქართველი ემისრები მიზნობრივ ესკალაციაზე წავიდნენ. თავისუფალი სამყაროსკენ სვლას წერტილი უნდა დასმოდა. ისე, მოხდა, რომ ისტორიის ამ მონაკვეთში ფეხბურთს მნიშვნელოვანი როლი აღმოაჩნდა. ამიტომ მოუწყო რეჟიმმა საშინელი მორალური გამოცდა ეროვნულ ნაკრებს, რომელიც ვერც ერთმა ფეხბურთელმა ვერ ჩააბარა. მორალური თვალსაზრისით, გიორგი ქოჩორაშვილისთვის საჯარო მხარდაჭერის გამოუცხადებლობა ამ თაობის ნაკრების პირველი დაცემა იყო, რასაც მომდევნო თვეებში კიდევ უფრო დიდი სიმხდალე, ზედაპირულობა, უგულობა და ახლა უკვე საკუთარი გულშემატკივრისთვის ზურგის შექცევა მოჰყვა. ნაკრების ფეხბურთელებმა ამ თამაშის ღვთაებრივ სამყაროში არსებული ყველაზე მთავარი წესი, გულშემატკივრებსა და მოთამაშეებს შორის ნაცვალგების წესი დაარღვიეს.

2004 წელს სამსახურეობრივი მივლინებით „პარი სენ-ჟერმენისა" და „სენტ-ეტიენის" შეხვედრის რეპორტაჟის მოსამზადებლად პარიზში ჩავედი. პსჟ-ს გულშემატკივრებს თავიანთი კლუბის ფეხბურთელებისთვის უზარმაზარი ბანერი ჰქონდათ გამოფენილი: LE SOUTIEN VOUS L'AVEZ, ALORS RESPECTEZ NOUS - თქვენ გაქვთ ჩვენი მხარდაჭერა, ახლა პატივი გვეცით ჩვენ. დამაინტერესა, რას გულისხმობდნენ, მხარდაჭერის სანაცვლოდ, ფეხბურთელების მხრიდან მათ პატივისცემაში. ფრანგ კოლეგას ვკითხე, დავუშვათ პარი სენ-ჟერმენმა, ფანების მხარდაჭერის მიუხედავად, თამაში წააგო, ეს უპატივცემულობად იქნება აღქმული? კონკრეტულად რას გულისხმობენ-მეთქი? პატივისცემაში იგულისხმება თავდადებით თამაში, კლუბის ღირებულებების

ერთგულება და ქომაგის მხარდაჭერა, თუ მათ ვინმე უსამართლოდ მოექცევაო.

აი, ეს არის საფეხბურთო სამყაროს მთავარი წესი - ნაცვალგება ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს შორის. როცა შენ გჭირდება თანადგომა, მე შენ გვერდით ვარ, მაგრამ შენ მე პატივი უნდა მცე. ფეხბურთის ისტორიაში უამრავი დიადი მაგალითია, როცა მოთამაშეებმა სიტყვით და საქმით დაიცვეს ძალადობის მსხვერპლი გულშემატკივრები. თუნდაც, ზვონიმირ ბობანის ისტორია რად ღირს, როცა ზაგრების „დინამოს“ და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ ქომაგებს შორის ატეხილი ჩხუბის დროს ფიზიკურად დაუპირისპირდა სერბ პოლიციელებს „დინამოს“ გულშემატკივრების დასაცავად. სერბული პოლიცია მხარეების დაშორების და ჩხუბის აღკვეთის ნაცვლად ხორვატ გულშემატკივრებს დაერია და ცემა დაუწყო. ბობანი უდიდესი ფეხბურთელი იყო, მაგრამ უკვდავი ლეგენდა და გმირი სწორედ იმ საღამოს გახდა, როცა საკუთარი გულშემატკივრის დასაცავად ფიზიკურად იბრძოლა.

სამწუხაროდ, გულშემატკივარიც სცოდავს. არ არსებობს უპირობო გულშემატკივრობა. გამაოგნებელია, როცა ვაღს იღებ, შენს გუნდს გერმანიაში მიჰყვები და სახლში დაბრუნებულს შენი კერპები ზურგს გაქცევენ, არ გიმჩნევენ, მხარში არ გიდგანან მაშინ, როცა შენი ქვეყნის თავისუფლების დაცვისთვის სისხლში გაბანავებენ და თანადგომა ყველაზე მეტად გჭირდება.

2017 წელს კატალონიის პარლამენტმა ესპანეთის კონსტიტუციის დარღვევით დამოუკიდებლობა უკანონოდ გამოაცხადა. ამ დემარშს ბარსელონაში დამოუკიდებლობის მომხრეებსა და ესპანეთის პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმებს შორის მძიმე შეტაკებები მოჰყვა. პოლიციამ თვალხილულად გადამეტებული ძალა გამოიყენა და ხალხი სასტიკად დაარბია (თუმცა ეს სისასტიკე ივანიშვილის რეჟიმის მეთოდებთან შედარებით ჰუმანური აქტია). მაშინ ამ სისასტიკისა და ძალადობის წინააღმდეგ მთელი საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“ ფეხზე დადგა. არ დარჩა არცერთი ფეხბურთელი, რომელმაც არაორაზროვანი ტექსტით არ მოითხოვა ძალადობის შეწყვეტა, რომელმაც ხალხის ცემაზე პასუხისმგებლობა ესპანეთის ხელისუფლებას არ დააკისრა. „ბარსას“ ზოგიერთი კატალონიელი ვარსკვლავი გინებასაც არ მოერიდა. ეთნიკურად ესპანელი ანდრეს ინიესტა, რომელიც სულაც არ არის კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრე, ყოველგვარი პოლიტიკური მოსაზრებების მიღმა ერთ-ერთი პირველი დაუდგა საკუთარ გულშემატკივარს გვერდით. თვით ლეო მესისაც კი მოუწია ხმის ამოღება, რომელსაც, ფეხბურთის გარდა, საჯაროდ მანამდე არასოდეს არაფერზე ულაპარაკია. „ბარსას“ ყველა ვარსკვლავი ამბობდა მთავარ სათქმელს - კატალონიის მოედანზე სცემენ უდანაშაულო ადამიანებს, სცემენ ჩვენს ფანებს, ჩვენს ხალხს „ბარსას“ მაისურებში, ხალხს, რომელსაც ხვალ „კამპ ნოუზე“ უნდა შევხვდეთ. ჩვენი ხალხის ცემის უფლებას არავის მივცემთ, ან ძალადობა შეწყვიტეთ, ან ბარსას ბაზაზეც მოდით და ჩვენც გვცემეთო. აი, ასეთი არის ფეხბურთის, ამ დიადი თამაშის სამყარო!

მაგრამ რა ვნახეთ ჩვენ, როცა „ოცნების“ რუსული „ომონი“ უდანაშაულო ადამიანებს ასისხლიანებდა? ვნახეთ დაწერილი და მალევე წაშლილი მხდალი ტექსტები, ვნახეთ კიდევ უფრო მხდალი სთორები ინსტაგრამზე, რასაც წაშლაც არ სჭირდება, 24 საათში თავისით ქრება უკვალოდ. ვნახეთ ნაკრების კაპიტნის, გურამ კაშიას, სამარცხვინო დუმილი. არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს მან, ეს სირცხვილი რომ ჩამოირეცხოს? ვნახეთ რუსული რეჟიმის საარჩევნო კლიპში მონაწილეობისთვის დაქირავებული 4 ფეხბურთელი. ვნახეთ, რომ ამხელა ნაკრებში ერთი ადამიანიც არ აღმოჩნდა, რომელიც თანამედროვე სერგო ორჯონიკიძისგან ფულის აღებაზე უარს იტყოდა.

მთელი ნაკრები უყურებდა, როგორ ასისხლიანებდნენ მათ მაისურებიან ქომაგებს ჯალათები, ყოველ დღე უყურებენ, თუ როგორ მოსწყვიტა რუსმა ოლიგარქმა მათი ქვეყანა თავისუფალ სამყაროს, როგორ დაამხო მისი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, როგორ ვეფლობით რუსული ტორფის ჭაობში, მაგრამ

სრულიად გამაოგნებელად ერთი - ერთი! - კაციც კი არ არის მათ შორის, რომელიც იტყვის არას!

სამწუხაროდ, გულშემატკივარიც სცოდავს. არ არსებობს უპირობო გულშემატკივრობა. გამაოგნებელია, როცა ვალს იღებ, შენს გუნდს გერმანიაში მიჰყვები და სახლში დაბრუნებულს შენი კერპები ზურგს გაქცევენ, არ გიმჩნევენ, მხარში არ გიდგანან მაშინ, როცა შენი ქვეყნის თავისუფლების დაცვისთვის სისხლში გაბანავებენ და თანადგომა ყველაზე მეტად გჭირდება.

ცალკე სამყაროა სპორტული მედია, რომელსაც არასდროს ელევა ვაზელინი, მაგრამ რომელსაც იშვიათად უჩნდება კრიტიკული კითხვა.

ფეხბურთელების იმედი არ მაქვს, არც მედიის. ისინი თავისი ნებით არასოდეს შეიცვლებიან. გულშემატკივრები უნდა შევიცვალოთ. ვერავის მოსთხოვ, ბობანივით გმირულად მოიქცეს. იმის ახსნასაც აღარ აქვს აზრი, რომ სპორტი და პოლიტიკა ვერ იმიჯნება. არ ესმით, მაგრამ ის მაინც უნდა გავაგებინოთ, რომ, როცა მათ გულშემატკივრებს ძვლებში ლეწავენ, საწამებელ მანქანებში ტენიან, სიკვდილამდე სცემენ და სახეში აფურთხებენ,

უპირობო ქომაგობა უნდა ჩაანაცვლოს პირობამ LE SOUTIEN VOUS L'AVEZ, ALORS RESPECTEZ NOUS - თქვენ გაქვთ ჩვენი მხარდაჭერა, ახლა პატივი გვეცით ჩვენ!

ამ ჯოჯოხეთის შემოქმედისგან ფული კი არ უნდა აიღო, პირიქით, მისგან ყველანაირად უნდა დისტანცირდე და ხმის ჩახლეჩვამდე იყვირო, რომ შენი უდანაშაულო ქომაგის წამება შეწყვიტონ. ეს არის ფეხბურთის უპირველესი წესი!

დაგვიანებულია, მაგრამ რა გაეწყობა, უპირობო ქომაგობა უნდა ჩაანაცვლოს პირობამ LE SOUTIEN VOUS L'AVEZ, ALORS RESPECTEZ NOUS - თქვენ გაქვთ ჩვენი მხარდაჭერა, ახლა პატივი გვეცით ჩვენ!

დაბოლოს, დიდი მადლობა გიორგი ცინცაძეს და თორნიკე ოქრიაშვილს, რომ ყველაფერი მათი კოლეგების საპირისპიროდ გააკეთეს და იმ სისხლისღვრის დღეებში თავიანთი გულშემატკივრების გვერდით იდგნენ - რუსთაველზე, სადაც საქართველოს ბედი წყდება ხოლმე!

ხალხი იმსახურებს
დამოუკიდებელ
საზოგადოებრივ
მაუწყებელს

ოკუპაციისუფლება მზიას!
ოკუპაციისუფლება პოლიტპატიმრებს!

KHINKALI CENTRE

ჟურნალში გამოყენებულია გიორგი მოსიაშვილის ფოტოები,
დავით სერგიას კარიკატურები და ნუგზარ მეტრეველის ილუსტრაციები

ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილებში გამოთქმული
მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება,
არ გამოხატავდეს „ახალი ივერიის“ რედაქციის პოზიციას.

ახალი ივერია
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
www.akhaliiveria.ge

2025 სექტემბერი, № 3(10)
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”
გიორგი ახვლედიანის № 20
0108, თბილისი, საქართველო

© ჭავჭავაძის ცენტრი, 2025

ახალი ლიტერატურა

ISSN 2720-8729

www.akhaliiveria.ge